გაზეთი ბოლოვრია, „ვერსიას" ერთი

ვერსია

№57 (813) 24 - 26 მაისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი 40 თეთრი

სალომე ზურაბიშვილი დუმილს არღვევს

ის თვისებები, რაზეც მარგველაშვილმა საკუთარი თავის შეფასებისას ისაუბრა, მომავალი პრეზიდენტისთვის ყველაზე პრობლემატურად მეჩვენება. ქვეყანას დღეს არ სჭირდება ადამიანი, რომელიც მხოლოდ იმიტომ გაიმარჯვებს, რომ მმართველ გუნდს წარმოადგენს და სხვა კრიტერიუმები, გარდა პრემიერის ფავორიტობისა, არ გააჩნია. მაინტერესებს, პიროვნებამ, რომელსაც კონცეფცია, ძალა, კომპეტენცია არა აქვს, საკუთარი ლეგიტიმურობა რაზე უნდა დააყრდნოს? კიდევ უფრო უცნაურად მეჩვენება პრემიერის მიერ საპრეზიდენტო კანდიდატის წარდგენის ფორმა ანუ ხაზგასმა „მეგობრულ" ურთიერთობაზე, ხელის გადახვევა...

გვ. 3

ილია მეორე გარდატეხას ელოდება

აფხაზეთისთვის ბრძოლის ახალი ეტაპი იწყება?

გვ. 4

რატომ უპირისპირდება გურამ ოდიშარიას პოეტი ვაჟა ოთარაშვილი

„ბატონო ბიძინა, კულტურის სამინისტროში იმაზე მეტი დომხალი და კრიმინალია, ვიდრე სოფლის მეურნეობის სამინისტროში იყო"

გვ. 12

„ნინო ბურჯანაძის წინააღმდეგ წავალ, თუ ის ბიძინა ივანიშვილს დაუპირისპირდება"

გაურიგდა თუ არა „ოცნებას" „დემოკრატიული მოძრაობა"?

გვ. 5

„ფრთხილად იყავით, ხალხო, აქ „მაგთია!"

„დიახ, ეს მხოლოდ დასაწყისია!"

ვისი დაჭერა იგეგმება მერაბიშვილი-ჭიაბერაშვილის მერე და ივანიშვილის გუნდის რა შეცდომებს უმხელს „ვერსიას" **ირაკლი ტრიპოლსკი**

გვ. 7

რა მოხდა ივანიშვილთან შეხვედრის დროს და იბრძოლებს თუ არა პრეზიდენტის სავარძლისთვის „საქართველოს გზის" ლიდერი

გვ. 11

ემზარ ჯგერენაია ბაზრის მონოპოლისტად და რას პასუხობენ კომპანიაში ექსპერტის ბრალდებებს?

არაჯანსაღი კვება ბავშვებში დიაბეტს, მხედველობის დაქვეითებას, ქვედა კიდურების განგრენას, ინფარქტს, ინსულტს, ნაადრევ სიკვდილს იწვევს

თბილისის სკოლებში სიცოცხლისთვის საშიში საკვები იყიდება!

რატომაა სავსე ბუფეტების დახლები „ჩიპსით", ჰამბურგერით, „კოკა-კოლით" და რატომ არავინ ავონტროლებს მოსწავლეების სასკოლო კვების რაციონს

გვ. 13

მამამ ერთი თვის ჩვილი, როგორც თავად ამბობს, უფალს შესწირა

სამართალდამცველებმა ქალაქ რუსთავში ერთი თვის ჩვილის განზრახ მკვლელობისთვის ბავშვის მამა დააკავეს.

მომხდართან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადება გაავრცელა: „ქალაქ რუსთავის მე-17 მიკრორაიონის 27-ე კორპუსში მცხოვრებმა 1978 წელს დაბადებულმა, ფსიქიკურად დაავადებულმა გივი ჩ-მ საცხოვრებელი სახლის მე-2 სართულის ფანჯრიდან შვილი, ერთი თვის ლადო ჩ. გადააგდო. ჩვილი ადგილზე გარდაიცვალა. როგორც გაირკვა, გარდაცვლილი ჩვილის დედა, 1977 წელს დაბადებული თეონა ჟ, მეუღლის მსგავსად, ფსიქიკურად დაავადებულია.

შემთხვევის ადგილზე გამოძახებული საპატრულო ეკიპაჟები და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები გამოცხადდნენ. გივი ჩ. სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე, საკუთარ სახლში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ გივი ჩ. ქურდობისთვის ნასამართლევია და 2005 წელს მოიხადა სასჯელი.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ბრალდებით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით) დაიწყო, რაც თავისუფლების 7-დან 15 წლამდე აღკვეთას ითვალისწინებს.

რუსთავში მომხდარი ტრაგედიის დეტალების შესახებ დაღუპული ჩვილის ოჯახის წევრებმა გაავრცელეს ინფორმაცია. შვილის მკვლელობისთვის ბრალდებული გივი ჩ-ს დედამ, ციალა ჩ-მ აღნიშნა, რომ მის შვილს ფსიქოტროპული აშლილობა და შიზოფრენია აწუხებს. მისივე ინფორმაციით, დილით მისმა შვილმა თვენახევრის ახალშობილი მეორე სართულიდან გადააგდო, მოგვიანებით კი აღნიშნა, რომ ბავშვი უფალს შესწირა.

ციალა ჩ-ს განცხადებით, მამას შვილისადმი კარგი დამოკიდებულება ჰქონდა და აქამდე ცუდი არაფერი შეუნიშნავს. ამასთან, მისივე ინფორმაციით, ფსიქოტროპული აშლილობა აწუხებს მის რძალსაც, დაღუპული ახალშობილის დედას თეონა ჟ-ს. იგი ამ დროისთვის სახლში იმყოფება, თუმცა კონტაქტში არავისთან შედის.

ამასთან, ჩვილის ბაბუის, ზურაბ ჟ-ს ინფორმაციით, მისი შვილი და სიძე 4 წელია ერთად ცხოვრობენ და ისინი ორ შვილს ზრდიდნენ. მათი უფროსი გოგონა 3 წლისაა და ტრაგედიის დროს სახლში იმყოფებოდა. მისივე ინფორმაციით, ცოლ-ქმარმა ერთმანეთი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაიცნო და მოგვიანებით, ორი შვილი შეეძინათ.

მათივე ინფორმაციით, ბავშვებს მშობლებთან ერთად ბებია, ციალა ჩ. ზრდიდა. ციალა ჩიქობავა აცხადებს, რომ სამი წლის შვილიშვილს, თავად გაზრდის.

„ვერსიანიუსი“

„26 მაისი იქნება საერთო სახალხო დღესასწაული“

26 მაისი იქნება საერთო სახალხო დღესასწაული, რომელსაც მთავრობა, ჯარი და მოსახლეობა ერთად იზეიმებს, — განაცხადა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა, გიორგი მარგველაშვილმა.

მისი თქმით, 26 მაისს დაგეგმილი ღონისძიებების ძირითადი ჩარჩო არ შეცვლილა და ამ დრომდე მხოლოდ დეტალები ზუსტდება, თუმცა ყველასთვის ცნობილია გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ აღლუმი არ იქნება და დამოუკიდებლობის დღეს მთავრობა, ჯარი და მოსახლეობა ერთად აღნიშნავს.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ სამხედრო-საზეიმო ღონისძიებებში კი ავიაციაც იქნება ჩართული. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ღონისძიებებთან დაკავშირებით, თბილისსა და ქუთაისში 23 და 24 მაისს რეპეტიციები ჩატარდება.

ღონისძიებებისათვის მზადების ფარგლებში, 23 მაისს, საღამოს საათებში, თბილისში, რუსთაველის გამზირის, გლდანისა და ვარკეთილის თავზე თვითმფრინავმა — L-39 და ვერტმფრენმა MU-24 გადაიფრინე.

დღეს, 24 მაისს კი, თბილისის თავზე თვითმფრინავები SU-25, L-39 და ვერტმფრენები MU-24 და MU-8 ფრენას განახორციელებენ 06:00-06:30 საათებში, ხოლო ქუთაისის თავზე — 06.30-06.50 საათებში.

„ვერსიანიუსი“

„პროკურატურა ყველა პირობას ქმნის იმისთვის, რომ სამართლიანობის აღდგენა ჩიხში შევიდეს!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ვანო მერაბიშვილის დაპატიმრებამ ლამის ყველა პოლიტსახე გამოაცოცხლა, ვინც ბოლო პერიოდში პოლიტიკური მოვლენების ჩრდილში გადავიდა. მათ შორისაა ორგანიზაცია „ჩემი საქართველოს“ ლიდერი ვალერი გელბახიანიც, რომელმაც მიმდინარე მოვლენებზე საინტერესო შეფასებები გააკეთა:

რაზე ედავება ლაშა ნაცვლიშვილს ვალერი გელბახიანი

„ახალმა მთავრობამ აიღო ვალდებულება მსოფლიოს წინაშე, რომ ნაციონალებთან კოჰაბიტაცია ექნებოდა, თუმცა საზოგადოების მხრიდან იმდენად დიდი იყო დამნაშავე რეჟიმის გასამართლების მოთხოვნა, იგი ორცეცხლშუა მოექცა — დაპირებისამებრ, გაეგრძელებინა კოჰაბიტაციის პროცესი თუ პატივი ეცა ქართველი ხალხის ნებისთვის. ბუნებრივია, რამდენი წვრილფეხაც უნდა დაიჭიროს ხელისუფლებამ, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. აქ მთავარია, ყოფილი რეჟიმის არქიტექტორების დაპატიმრება, რომელთაგან ვანო მერაბიშვილი ერთ-ერთია. რა თქმა უნდა, სააკაშვილს აქვს ხელშეუხებლობის გარანტიები და, ჯერჯერობით, მისი პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგება. გარკვეული გარანტიები აქვთ გიგი უგულავასა და გიგა ბოკერიასაც. მერაბიშვილს კი დაცვის არანაირი მექანიზმი არ ჰქონია და მისი დაპატიმრება ყოველ წუთს იყო მოსალოდნელი. მეორე საკითხია, ეს პროცესი პროცედურულად რამდენად სწორად წავიდა. გაოგნებული ვარ საგამოძიებო ორგანოს მოუმზადებლობით! ჯერ ერთი, ყველა პირის დაკავებისას საჭიროა სასამართლოს განჩინება. ეს ვანოს დროს იმიტომ არ კეთდებოდა, რომ ნაციონალები კანონზე ძალადობდნენ. ახლა სხვა დროა, მაგრამ კანონი მაინც არ კანონობს — დაირღვა სისხლის სამართლის კოდექსის 176-ე მუხლი. არ მესმის, ისე რატომ ხდება, რომ თითქმის ყველა გახმაურებულ საქმეზე პროკურატურას სერიოზული დარღვევები აქვს. ასევე ზურაბ ჭიაბერაშვილი, კახეთის გუბერნატორი, ანუ თანამდებობის პირი რიგით პროკურორს არ უნდა დაეკავებინა. რასთან გვაქვს საქმე — როგორ შეიძლება დამნაშავემ დამნაშავე გაასამართლოს?! ეს აღარაა საზოგადოებრივი წესრიგი, ეს ანარქიაა! მოვუწოდებ ხელისუფლებას, ასეთი არაკომპეტენტური პირები საგამოძიებო ორგანოს მოაშოროს! შესაძლოა, ამ სულელური პროცედურული დარღვევების გამო ქვეყანაში მიმდინარე ასეთი გლობალური პროცესი ჩავარდეს და ამით მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა ისარგებლებს“, — განაცხადა ვალერი გელბახიანმა, რომელმაც ბრიფინგის მერე „ვერსიის“ რამდენიმე კითხვასაც უპასუხა:

— **შეუძლებელია, პროკურორმა არ იცოდეს კანონი.** რაკი ამ დარღვევებს სისტემატური ხასიათი აქვს, მრჩება შთაბეჭდილება, რომ პროკურატურა ყველა პირობას ქმნის იმისთვის, სამართლიანობის აღდგენა ჩიხში შევიდეს! ცხადია, გამოძიება ლაშა ნაცვლიშვილს მიჰყავს და მან უნდა აუხსნას საზოგადოებას, რა ხდება! ბოლობოლო, მთავარი პროკურორის მოადგილემ მერაბიშვილის საქმეს არ უნდა ჩახედოს?! იმდენ დარღვევებს ვხედავ, შეუძლებელია, ამას სერიოზული შეფასება არ მიეცეს! ვედავები პროკურატურას, რომელსაც მართავს ლაშა ნაცვლიშვილი.

— **საქმე, რის გამოც დაგაკავეს 2007 წელს, დახურული არ არის. რატომ და ახალი რა გამოკვეთა გამოძიებამ?**

— სასამართლოს გადამცეს 4-5 თვეა. არც გამოძახებული ვარ, არც პროცესის თარიღი ვიცი, არც საქმეს ვიცნობ. სამწუხაროდ, პროკურატურამ მასალები არ გამაცნო. სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში ვარ და ამას ჰქვია სამართლიანობის აღდგენა?! ვრჩები უკანონო დევნილად. ჩემთვის სამართალი, ჯერჯერობით, არ არსებობს. არც პარლამენტისთვის მიმიმართავს, რათა იმ „პოლიტპატიმრების“ სიაში არ ჩავწერილიყავი! ვეკითხები ყველა იურისტს, რას ნიშნავს როცა ათავისუფლებენ 200 ადამიანს და მათი ყველა განაჩენი რჩება ძალაში?! ე.ი. განაჩენის მიხედვით ისინი დამნაშავეები არიან, ხოლო პოლიტიკური გადაწყვეტილების მიხედვით უდანაშაულონი? ამას ჰქვია აბსურდი და ამ აბსურდის ავტორები ამბობენ, რომ სამართლიანობას აღადგენენ?! მგონი, ყველაფერი პირიქით ხდება და სხვა პროცესებისკენ მივდივართ!

— **პატარკაციშვილის დედას, ქალბატონ ნათელას მოქალაქეობას ართმევენ — ამის შესახებ, როგორც პატარკაციშვილის თანამებრძოლს, პოზიცია არ გაქვთ?**

— ამის შესახებ არაფერი ვიცი, მის ოჯახთან კონტაქტი აღარ მაქვს. შარშან ორჯერ შევხვდი ქალბატონ ნათელას, საკმაოდ თბილი საუბარი გვქონდა. მერე აღარ მინახავს. აღარც თვითონ შემხმიანებია და მეც არ ვაწუხებ. აქ სხვა პროცესები მიდის. საერთოდ, ძალიან დიდი სახელფასო დავალიანებები დარჩა ბადრის ოჯახს. არ მინდა, ამ საქმეში გამოვჩნდე და ვიაქტიურო, რათა შემდეგ მეც პასუხისმგებელი არ გავხდე ამხელა ტვირთზე. დღეს იქნება თუ ხვალ, ოჯახს ამ ფულის გადახდა მოუწევს.

— **თქვენ და ელისო კილაძე, რომელიც ასევე „ჩემი საქართველოს“ წევრია, ერთად აღარ ხართ? ამ ბოლო დროს მხოლოდ კილაძე აქტიურობს.**

— მე ჩემი საქმე მაქვს, კილაძეს — თავისი, თუმცა, რა თქმა უნდა, ორივე ამ მოძრაობის წევრები ვართ. ჩემი იურიდიული ფირმა მაქვს და პოლიტიკისთვის არ მცალია. უბრალოდ, ხანდახან აქტუალურ თემებს ვეხმაურები.

ვერსიანიუსი

პოლიციის კაპიტანმა იოსებ ხუციშვილმა გინესის რეკორდი დაამყარა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელმა, მსოფლიოს ცხრაგზის რეკორდსმენმა, პოლიციის კაპიტანმა იოსებ ხუციშვილმა ცალ ხელზე აზიდვაში გინესის რეკორდი დაამყარა.

შსს-ს ცნობით, შეჯიბრი სამინისტროს სპორტულ კომპლექსში ჩატარდა. ხუციშვილმა კანადელი რეკორდსმენის მიერ 2007 წელს დამყარებული რეკორდი მოხსნა და მარცხენა ხელის მუშტზე წუთში 65 აზიდვა შეასრულა. ხუციშვილის მიერ დამყარებული გინესის რეკორდი საქართველოს რეკორდების ფედერაციის მსაჯებმა დააფიქსირეს.

პირველი მსოფლიო რეკორდი იოსებ ხუციშვილმა აზიდვებსა და ორძელზე აზიდვაში 2010 წელს დაამყარა. მისი სარეკორდო ღონისძიებები შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელშეწყობით ტარდება. შსს-ს სპეციალური ოპერაციების ცენტრის თანამშრომელმა ჟანრი ნოდიამ სიმძიმით აზიდვაში გასულ წლებში ამერიკელი სპორტსმენის მიერ დამყარებული რეკორდი გააუმჯობესა. მან 46,2 კილოგრამის სიმძიმის ტვირთით წუთში 29 აზიდვა შეასრულა. ამავე სამსახურის თანამშრომელმა გიორგი მანველიძემ იოსებ ხუციშვილის მიერ 2012 წელს ორ ხელზე აზიდვაში დამყარებული მსოფლიო რეკორდი მოხსნა. სპორტული ღონისძიების მონაწილეებს წარმატება შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა დავით ცინარიძემ და სამინისტროს სხვა წარმომადგენლებმა მიულოცეს.

„ვერსიანიუსი“

სალომე ზურაბიშვილი დუმილს არღვევს

რა მოხდა ივანიშვილთან შეხვედრის დროს და იბრძოლებს თუ არა პრეზიდენტის სავარძლისთვის „საქართველოს გზის“ ლიდერი

ეროსუდან შელია
557-100-768

სანამ ბიძინა ივანიშვილი მის მიერ შერჩეულ საპრეზიდენტო კანდიდატს კოალიციას გააცნობდა, საქართველოში საგანგებოდ ჩამოსულ სალომე ზურაბიშვილს შეხვდა. ბიზნესცენტრში, პრემიერისა და „საქართველოს გზის“ ლიდერის შეხვედრამ, თითქოს, გაამყარა ხმები იმის შესახებ, რომ კოალიცია საპრეზიდენტო კანდიდატად სალომე ზურაბიშვილს დაასახელებდა, თუმცა მოვლენები სულ სხვა სცენარით განვითარდა. მეტიც, ზურაბიშვილთან შეხვედრიდან რამდენიმე დღეში, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი მას რამდენიმე თანამდებობაზე დანიშვნას სთხოვდა.

სალომე ზურაბიშვილი თითქმის ორკვირიან დუმილს არღვევს, მართალია ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებასთან დაკავშირებით, კომენტარს არ აკეთებს, თუმცა ოცნებების მსხვრევაზე ღიად საუბრობს.

— არა მგონია, პირადი საუბრის გასაჯაროება საინტერესო ან კორექტული იყოს, თუმცა გიდასტურებთ, რომ პრემიერთან შეხვედრისას, გიორგი მაგველაშვილის კანდიდატურა დეტალურად არ განგვიხილავს. ბიძინა ივანიშვილმა მხოლოდ გადაწყვეტილება გამაცნო, რაზეც არ გვიმსჯელია. ამის შემდეგ, მას ჩემი ფიქრებიც გავუზიარე ჩემი კანდიდატურის დამოუკიდებლად დასახელებასთან დაკავშირებით, რაზეც პრემიერმა მიპასუხა, რომ გადაწყვეტილება მის თანხმობას არ ექვემდებარებოდა და, საბოლოოდ, ჩემი მისაღები იყო.

— გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურა თქვენთვის მოულოდნელი იყო ან რამდენად კონკურენტუნარიანი იქნება მისი კანდიდატურა?

— ის თვისებები, რაზეც მარგველაშვილმა საკუთარი თავის შეფასებისას ისაუბრა, მომავალი პრეზიდენტისთვის ყველაზე პრობლემატურად მეჩვენება. ქვეყანას დღეს არ სჭირდება ადამიანი, რომელიც მხოლოდ იმიტომ გაიმარჯვებს, რომ მმართველ გუნდს წარმოადგენს და სხვა კრიტერიუმები, გარდა პრემიერის ფავორიტობისა, არ გააჩნია. მაინტერესებს, პიროვნებამ, რომელსაც კონცეფცია, ძალა, კომპეტენცია არა აქვს, საკუთარი ლეგიტიმურობა რაზე უნდა დააყრდნოს? კიდევ უფრო უცნაურად მეჩვენება პრემიერის მიერ საპრეზიდენტო კანდიდატის წარდგენის ფორმა ანუ ხაზგასმა „მეგობრულ“ ურთიერთობაზე, ხელის გადახვევა... შთაბეჭდილება მექმნება, რომ მთავარი საკითხი გვავიწყდება — მიუხედავად იმისა, რომ მომავალ პრეზიდენტს, სააკაშვილთან შედარებით, შეზღუდული უფლებები ექნება, ის მაინც ხალხის მიერ არჩეულ ფიგურად რჩება.

— იმის თქმა გსურთ, რომ ბიძინა ივანიშვილი მსგავსი ჟესტებით, ფაქტობრივად, ამომრჩეველს საკუთარი ნების გამოხატვის საშუალებას უზღუდავს?

— იმის თქმა, რომ მთავარი პრემიერის სიმპათია და გუნდის წევრობაა, სხვა დანარჩენი კი მეორეხარისხოვანი, ფაქტობრივად, იმაზე მიუთითებს, რომ ამომრჩევლის აზრს მნიშვნელობა უკვე აღარ აქვს. მეტიც, საზოგადოება არჩევნებზე საჭიროც კი არ არის მაშინ, როცა საპრეზიდენტო კანდიდატმა ამომრჩევლის მოზიდვა საკუთარი ხედვით, იდეებით უნდა შეძლოს და საზოგადოებისთვის ანგარიშგასაწევ ფიგურად იქცეს. ნუთუ იმისთვის ვიბრძოდით ამდენი წელი, რომ მნიშვნელობაწართმეული და გამოფიტული არჩევნები დაგვებრუნებინა? ნუთუ ამ ფორმით გრძელდება სააკაშვილის დაწყებული საქმე — ხალხის დარწმუნება იმაში, რომ არჩევნებით თავის ნებას ვერ დააფიქსირებს? არადა, საპრეზიდენტო არჩევნები პირველი ოქტომბრის შემდეგ, რეალურად პირველი თავისუფალი არჩევნები უნდა გახდეს. ის უნდა იქცეს ახალი ხელისუფლების მიერ ჩატარებული არჩევნების მაგალითად და მას დანიშვნისა თუ გარიგებების სუნი არ უნდა ასდიოდეს. თუ ამას დავუშვებთ, არჩევნებისა და დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი ახლადშექმნილი ნდობა საზოგადოებაში აუცილებლად გაქრება და მასთან ერთად ჩვენი ოცნებაც.

— საპრეზიდენტო კანდიდატად, გიორგი მარგველაშვილთან ერთად, ნინო ბურჯანაძეც სახელდება. უკვე მიიღეთ საბოლოო გადაწყვეტილება, ჩაებმებით თუ არა საპრეზიდენტო მარათონში და რამდენად გაქვთ ამ შემთხვევაში გამარჯვების შანსი?

— როცა საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებ, ამის შესახებ, პირველ რიგში, საზოგადოებასა და ამომრჩეველს ვამცნობ. მიმაჩნია, რომ გამარჯვების შანსი ყველა ვითარებაში არსებობს, თუმცა იმასაც ნათლად ვხედავ, რომ ეს შანსი საკმაოდ მცირეა. ისე, გააჩნია, გამარჯვებას რას დავარქმევთ:

თუ ამ შეჯიბრში მონაწილეობის გადაწყვეტილება მივიღე და პროცენტული მაჩვენებლით არჩევნებზე ნაციონალებზე მეტი ხმა მოვიპოვე, დამტკიცდება, რომ ქვეყანაში ნაციონალური მოძრაობა რეალურ ძალას აღარ წარმოადგენს. პირადად ჩემთვის, ეს მართლაც, გამარჯვება იქნება. თუ მეორე ტურიც შედგება, ესეც ქვეყნისთვის საკმაოდ სერიოზული შედეგი იქნება. დაბოლოს, თუ საპრეზიდენტო კანდიდატის როლში საზოგადოებას საკუთარ ხედვას გავაცნობ და დავარწმუნებ, რომ მომავალი საქართველო მუდმივად უკან არ უნდა იხედებოდეს, არც დასავლეთის მარიონეტი უნდა გახდეს და არც რუსეთის მონა, ჩემთვის ესეც დიდი საქმე იქნება.

— ისე, თქვენზე კულუარებში ისიც ითქვა, თითქოს პრემიერი ივანიშვილი თბილისის მერად გამზადებთ?

— არჩევით თანამდებობებზე არ „ამზადებენ“ და არც „ნიშნავენ“ — უკვე დასახელებული კანდიდატურის მიმართ მაქსიმუმ, შეიძლება საჯარო მხარდაჭერა გამოცხადდეს. ამ ეტაპზე, მიმაჩნია, რომ ჩემი გამოცდილებისა და კომპეტენციიდან გამომდინარე, ახალი კონსტიტუციის ფარგლებში, საპრეზიდენტო ფუნქციები ყველაზე კარგად მომესადაგება. რაც შეეხება მერობას, გიგი უგულავას მიერ დატოვებული მრავალი ნაღმის პირობებში, დღეს დარწმუნებული არ ვარ, რომ მერიაში სამუშაოდ შესაბამისი გამოცდილება მაქვს. ისე, ჩემთვის ისიც მნიშვნელოვანია, საზოგადოებამ შეიგნოს, რომ სახელმწიფო სიძულვილის დაძლევის გარეშე ვერ აღდგება.

— სიძულვილის გამოხატულება ალბათ ნაციონალური მოძრაობის წევრებისა და მოქალაქეებს შორის მომხდარი არაერთი დაპირისპირებაა?

— დიახ... დიდი ხნის განმავლობაში, სააკაშვილის რეჟიმს ძალადობის, უსამართლობის, ფუნდამენტალური უფლებების დარღვევის, პოლიტიკური და ეკონომიკური, ადგილობრივი, სამართლებრივი ძალაუფლების ხელში აღების, ამასთან ომის დაწყების გამო ვებრძოდი. შესაბამისად, ახლაც ვერ ვიქნები იგივე მოცემულობის მხარდამჭერი. კანონის უზენაესობის ნაცვლად, ძალადობას ყოველთვის დავგმობ. ისიც მაინტერესებს, რატომ არ განგვიმარტავს ხელისუფლება სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით, რა გეგმები აქვს? ეს აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ ნაციონალური მოძრაობის მიმართ აგრესია საზოგადოებაში ჩაქრეს.

აგრესიით მართვა და ძალადობის გამოყენება სწორედ სააკაშვილის რეჟიმის დამახასიათებელი ნიშანი იყო, როგორც ხალხის მართვის ერთ-ერთი ძირითადი ბერკეტი! ცოტა არ იყოს, იმაზეც ვწუხვარ, რომ ახალმა გუნდმა თავისიანების დაჭერა დაიწყო მაშინ, როცა ჯერ საზოგადოებისთვის სამართლიანობის აღდგენის რეალური განცდა უნდა გაეღვივებინა. შესაძლოა, ახლა ხალხი ცოტა დაბნეულიც იყოს!

ზურაბ ხარატიშვილი სააკაშვილს, ივანიშვილსა და უსუფაშვილს მიმართავს

ხარატიშვილი ქვეყნის პირველ პირებს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი თანამშრომლის შესახებ აწვდის ინფორმაციას, რომელიც ცესკო-ს თავმჯდომარის ინფორმაციით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას თავს არიდებს: **„ბატონებო, მოგმართავთ, რათა უზრუნველყოთ კანონის მოთხოვნათა შესრულება საქართველოს შს სამინისტროს წარმომადგენლების მიერ. 2013 წლის 27 აპრილს სადამკვირვებლო ორგანიზაციამ ბაღდათის №52 საოლქო საარჩევნო კომისიაში შეიტანა საჩივარი, სადაც მომჩივანი ითხოვს პოლიციის ბაღდათის რაიონული სამმართველოს უფროსის, გელა მშვილდაძის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენას საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 79-ე მუხლის შესაბამისად. ბაღდათის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ, საქმის დეტალურად შესწავლისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით, მშვილდაძე არაერთხელ დაიბარეს საოლქო საარჩევნო კომისიაში ახსნა-განმარტების მისაცემად. სამწუხაროდ, აღნიშნული პიროვნება თავს არიდებს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას. ამგვარ ვითარებაში, საარჩევნო ადმინისტრაცია უფლებამოსილია მიმართოს პოლიციას დახმარებისთვის, მაგრამ ვინაიდან საქმე ეხება პოლიციის სამმართველოს უფროსს, მივმართე შს მინისტრს წერილობით და საჯაროდაც, რაზედაც პასუხი არ მიგვიღია. ეს არ იყო პოლიციის მხრიდან საარჩევნო პროცესის მიმართ არასწორი დამოკიდებულების ერთადერთი შემთხვევა 27 აპრილის შუალედური არჩევნების პერიოდში“.**

„ინტერპრესნიუსი“

გია ნოდია: „საქართველოს მცოცავი დიქტატურა უახლოვდება“

ექსპერტი გია ნოდია საქართველოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს, მათ შორის წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების დაკავების ფაქტს სოციალურ ქსელში ეხმიანება: **„ზოგადი განწყობა: ნელ-ნელა, მაგრამ მეთოდურად მოიწევს მცოცავი დიქტატურა, რომელიც თანდათან ასუსტებს და ცდილობს, გასრისოს ყველა ის ძალა, საიდანაც წინააღმდეგობა შეიძლება, შეხვდეს. მას ყოფნის ცხოველური ეშმაკობა საიმისოდ, რომ ზედმეტად არ იჩქაროს და ფორმალურ წესებში მეტ-ნაკლებად ჩაჯდეს, თან ხალხის ნების განმახორციელებლად წარმოაჩინოს თავი და ხანდახან სწორი რაღაცები თქვას. როცა რაღაც ვერ გაუვა, გაჩერდება, ოდნავ უკან დაიხევს, მაგრამ რა პრობლემაა: ცოტა ხანში მეორე მხრიდან შემოუვლის და იმავეს შეეცდება. ეს უზრუნველყოფს იმას, რომ დასავლური შეშფოთება საკმარისად ფრთხილი და გამოზომილია და ძირითად საკითხებთან მიმართებაში, მისი იგნორირება შეიძლება. მისი სტრატეგიაა ყველა ოპონენტს უიმედობის განცდა ჩაუნერგოს: წინააღმდეგობას აზრი არა აქვს, დროზე უნდა გავიქცეთ აქედან, ან სადღაც შევიყუჟოთ და დავიმალოთ. შეიძლება, ამ შეფასების ძალიან მკაცრი დასაბუთება ჯერ ძნელია, მაგრამ მრავალი ნიშანი სახეზეა. ვისაც ამ ფონზე საქართველოდან წასვლა უნდა, სრული გაგებით ვეკიდები, მაგრამ მათთვის, ვინც რჩება: ამ ეტაპზე საღი აზრის შენარჩუნება და ნებისმიერ საკითხზე მკაფიო და პრინციპული პოზიციის დაკავებაა ერთადერთი რაციონალური და პერსპექტიული პოზიცია. შიში, სიზარმაცე, დეპრესია, დეტალებზე „ავარდნა“ და ძირითადის არდანახვაა მთავარი პრობლემა.**

„ინტერპრესნიუსი“

მღვდლებს ბრალი წაუყენეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მე-VII განყოფილების თანამშრომლებმა 17 მაისს რუსთაველის გამზირზე მომხდარ ინციდენტში მონაწილე ორ სასულიერო პირს, სამების ტაძრის არქიმანდრიტს, მამა ანთიმოზ (თამაზ) ბიჩინაშვილსა და იოანე-თორნიკე ერისთავის სახელობის დედათა მონასტრის იღუმენს, მამა იოთამ (ირაკლი) ბასილაიას ბრალი წაუყენეს.

გამოძიება შეკრების ან მანიფესტაციის უფლების ხელყოფის, უკანონოდ და ძალადობით ხელის შეშლის ფაქტზე სსკ-ის 161-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს.

17 მაისის ინციდენტთან დაკავშირებით, გამოძიება გრძელდება.

ყოვლად მიუღებელია ის იდეები, რომლის დანერგვაც უნდათ საქართველოში, მაგრამ ძალიან სამწუხაროა ისიც, რომ ქართველი სამღვდელოება უზრდელად იქცეოდა, — ეს განცხადება კი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ 22 მაისს, საღამოს, სამებაში, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის პარაკლისის დაწყებამდე განაცხადა.

პატრიარქი 17 მაისის მოვლენებს შეეხო და ყველას სიმშვიდისკენ მოუწოდა: **„ჩვენ გვაწუხებს, როცა განსაცდელი მოდის, სინამდვილეში, უნდა ვხარობდეთ, როდესაც უფალი გვიგზავნის განსაცდელს. წმინდა მამები გოდებდნენ და ტიროდნენ, როდესაც განსაცდელი არ ჰქონდათ. რაც მოხდა 17 მაისს, სამწუხაროა. ყოვლად მიუღებელია ის იდეები, რაც უნდათ, დანერგონ საქართველოში, მაგრამ ძალიან სამწუხაროა ისიც, რომ ქართველი სამღვდელოება უზრდელად იქცეოდა. მინდა, ყველას მოვუწოდო სიმშვიდისკენ. არ შეიძლება, შეურაცხყოფა მივაყენოთ სხვას. ბოროტებას მხოლოდ სიკეთე და სიყვარული კურნავს“.**

პატრიარქმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველოში წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის წმინდა ნაწილებს ჩამოაბრძანებენ და მიმართა მრევლს, რომ ღირსეულად დახვდნეს ამ მოვლენას. უწმინდესმა პური და ღვინო აკურთხა, რომელიც მრევლს დაურიგდა.

22 მაისსვე, საგანგებო განცხადება გაავრცელა საპატრიარქომ, სადაც ძალადობას ემიჯნება.

მამა მიქაელ ბოტკოველმა განაცხადა, რომ საპატრიარქო გამოთქვამს გულისტკივილს იმ მოვლენების გამო, რაც მოჰყვა არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ მიერ 17 მაისს თბილისში დაგეგმილი აქციის ჩატარების მცდელობას, რომელიც „პროვოკაციული ხასიათის იყო“.

მამა მიქაელ ბოტკოველის თქმით, ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ქრისტიანული და სხვა ტრადიციული სარწმუნოების მიმდევარია, ამგვარი აქციები მოსახლეობის მიერ ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდად აღიქმება, რაც სამართლიან პროტესტს იწვევს, მით უმეტეს, რომ აქციის ორგანიზატორებმა **„არაფერს გაუწიეს ანგარიში და შეარჩიეს ის დრო და ადგილი, რომელიც ისტორიულ მეხსიერებასა და ტრადიციებთან ძლიერ ემოციურ კავშირშია, ეს კი დამატებით გამაღიზიანებელ და მაპროვოცირებელ ფაქტორად იქცა“.**

მისივე თქმით, ქვეყანა ვერ შეეგუება ცოდვის ლეგალიზებას, თუმცა მიუხედავად ამისა, ძალადობას გამართლება არ აქვს და საპატრიარქო ცალსახად ემიჯნება მომიტინგეთა ნაწილის აგრესიულ ქმედებებს, რომელიც არც სამართლებრივი და არც სარწმუნოებრივი ქცევის ნორმებში ჯდება.

საპატრიარქოში ასევე აცხადებენ, სამწუხაროა, რომ პროცესებში სასულიერო პირებიც მონაწილეობდნენ და ამ ერთეულმა ადამიანებმა მთელ ეკლესიას ზიანი მიაყენეს.

როგორც მამა მიქაელ ბოტკოველმა აღნიშნა, საპატრიარქო შეისწავლის მათ ქმედებებს და სათანადო რეაგირებას მოახდენს. თუმცა, მისივე თქმით, რომ არა სასულიერო პირების უდიდესი ნაწილის ძალისხმევა 17 მაისის მოვლენების დროს და პოლიციის თანამშრომელთა თავდადებული ქმედება, შედეგი შესაძლოა, გაცილებით მძიმე ყოფილიყო.

„ინტერპრესნიუსი“

ილია მეორე გარდაჭეხას ელოდება

მირიან ლებანიძე

ის, რაც თურქეთიდან დაბრუნებულმა საქართველოს პატრიარქმა გვამცნო, აფხაზეთისთვის ბრძოლის ახალი ფაზის დასაწყისს მოასწავებს. კულისებსმიღმა მიმდინარე ჭიდილის დეტალები არ ხმაურდება, თუმცა ილია მეორის მიერ მოკლედ ნათქვამი, რომ მსოფლიო პატრიარქსა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმინდა სინოდთან ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ბედზე საუბარს კამათის სახე ჰქონდა, ვითარების უკიდურეს სიმძიმეზე მეტყველებს. ჩანს, თუ თვით ბართლომე პირველი არა, სინოდის ნაწილი მაინც აფხაზეთის სეპარატისტული ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას ემხრობოდა და ილია მეორესაც ამისკენ მოუწოდებდა.

სტატუს-კვო შენარჩუნდა: მსოფლიო პატრიარქმა, ბართლომე პირველმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მთლიანობა. მეტიც, შეთანხმდნენ, რომ ორი პატრიარქი ერთად ეწვევა მეამბოხე რეგიონს და ილია მეორე, როგორც ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, აფხაზებს ქორეპისკოპოსად ადგილობრივ სასულიერო პირს წარუდგენს.

ილია მეორეს წინდაუხედავი და ნაჩქარევი განცხადებები არ სჩვევია, მაგრამ აქამდე მის ინიციატივებს აფხაზეთში ჩასვლასთან დაკავშირებით გაგრძელება არ მოჰყოლია. ამჯერად კი, საუბარია არა მხოლოდ ვიზიტსა და ურთიერთობების დათბობის მცდელობაზე, არამედ — აფხაზებისთვის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში დაბრუნების შეთავაზებაზე. ილია მეორის ხელდასხმული თუნდაც ეროვნებით აფხაზი ქორეპისკოპოსის მიღება, სწორედ ამას ნიშნავს. დღეს კვანძის ამგვარად გახსნა წარმოუდგენელია. **„თუკი საქართველოს პატრიარქი ამას მიაღწევს, ეს იქნება მისი დიპლომატიის დიდი გამარჯვება და გმირობა“,** — აღნიშნავს პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე.

უკანასკნელ რამდენიმე წელიწადში ეპარქიაში ვიტარება უკიდურესად დაიძაბა და აირია. განხეთქილება მოხდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისგან განდგომილ აფხაზ მღვდელმსახურებშიც და მათი მართვა უკვე სეპარატისტების მფარველ რუსულ ეკლესიასაც უჭირს. კონსტანტინოპოლის საპატრიარქო არენაზე მხოლოდ ამის შემდგომ გამოჩნდა და მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების ორი გიგანტის ინტერესებიც გადაიკვეთა.

კონსტანტინოპოლის ეკლესიის თამაშში ჩართვა საქართველოსთვის ერთდროულად საშიშიცაა და ხელსაყრელიც, რადგან ორივე მხრიდან არსებობს ეკლესიის ერთიანობის ხელყოფის საფრთხე, თუმცა მათ ჭიდილში შესაძლოა, გამოიკვეთოს სამივე მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მისაღები გადაწყვეტილება.

რუსეთისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოებს, ტრადიციულად, დაძაბული ურთიერთობა აქვთ. რუსეთს აქვს ამბიცია, რომ ახალი ბიზანტია და მართლმადიდებელი სამყაროს ლიდერია; ამავდროულად, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო არ თმობს საუკუნეების წინ მისთვის მინიჭებულ პრივილეგიებს. მათ შორის ურთიერთობები, განსაკუთრებით, რუსეთის გასაბჭოების შემდეგ დამძიმდა. მსოფლიო პატრიარქატმა რუსული ეკლესია კომუნისტებთან კავშირში დაადანაშაულა. მათ შორის იყო და დღემდეა დავა გავლენის სფეროებთან დაკავშირებით.

1996 წელს მსოფლიო საპატრიარქომ ესტონეთის ავტონომიური მართლმადიდებელი ეკლესია დაიქვემდებარა. არადა, იგი რუსეთის ეკლესიას საკუთარ კანონიკურ ტერიტორიად მიაჩნდა. ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის რუსეთისგან გამოყოფის სურვილმა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ უკრაინელების შესაძლო მხარდაჭერამ. თავის მხრივ, რუსეთი ცდილობს, შეიჭრას ისტორიული ბიზანტიის ტერიტორიაზე — თურქეთში და გახსნას საკუთარი ეკლესიები, რაც მსოფლიო საპატრიარქოს აღიზიანებს...

კონსტანტინოპოლისა და რუსეთის ეკლესიის პაექრობას ზოგჯერ წმინდა პოლიტიკური მიზნებისთვისაც იყენებენ. 2010 წელს მოსკოვზე მორიგი წყენის გამო, ბელორუსის პრეზიდენტი თურქეთში ვიზიტისას, ანკარაში კი არა, სტამბოლში ჩაფრინდა და თურქ კოლეგას იქ შეხვდა. იგი მსოფლიო პატრიარქს ეწვია და მოლაპარაკებები დახურულ კარსმიღმა გამართა. რუსულ მედიაში აგორდა ხმები, რომ ბელორუსს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადება სურდა და მხარდაჭერას მსოფლიო პატრიარქისგან ითხოვდა. მოსკოვმა იმ ეტაპზე ლუკაშენკოსთან სასწრაფოდ მონახა საერთო ენა და ბელორუსის ეკლესიის ავტოკეფალიაზე საუბარი ჩაჩუმდა.

ქართულ-აფხაზურ საეკლესიო ურთიერთობებში მსოფლიო პატრიარქის ჩარევის ინიციატივა, ერთი შეხედვით, რაც უნდა საკვირველი იყოს, აფხაზებისგან წამოვიდა. 2008 წლამდე ქართული ეკლესიისგან განდგომილ აფხაზ მღვდლებს რუსეთის ეკლესია მფარველობდა. 1992-1993 წლების ომის შემდეგ რამდენიმე სასულიერო პირმა სოხუმის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად ბესარიონ აპლია აირჩიეს.

აფხაზთა სურვილის მიუხედავად, რუსეთის ეკლესია მათ ავტოკეფალიას სამი მიზეზით ვერ სცნობდა: **1. მართლმადიდებელი ეკლესიების კანონების მიხედვით, ავტოკეფალისთვის აუცილებელია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის თანხმობა; 2. რუსეთი იურიდიულად ჯერ კიდევ არ აღიარებდა აფხაზეთის დამოუკიდებლობას. ამდენად, აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობა მისთვის პოლიტიკურად წამგებიანი იყო და 3. რუსეთში შიშობდნენ და დღემდეც შიშობენ, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის სასულიერო პირებისთვის ავტოკეფალიის მიცემის შემდეგ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობას დაუჭერს მხარს.**

დღეს კიევის პრორუსული ორიენტაციიდან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ უკრაინის ეკლესიამ ავტოკეფალიის ინიციატივა ისევ გამოიჩინოს, თუმცა ცინცაძის თქმით, პოლიტიკური მოვლენები ზოგჯერ სწრაფად და სრულიად განსხვავებული მიმართულებით იცვლება და ამ ფაქტორზე რუსეთის პატრიარქი თვალს ვერ დახუჭავს.

2008 წელს რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის ცნობის შემდეგ, სეპარატისტებს ეკლესიის საერთაშორისო აღიარების მოპოვების იმედი გაუძლიერდათ. 2009 წელს ბესარიონ აპლიამ აფხაზეთის ეკლესიის ავტოკეფალია გამოაცხადა, თუმცა ამ პროცესებში თავი იჩინა შიდა განხეთქილებამ. 2011 წლის მაისში ახალ ათონში მღვდელმონაზვნებმა დოროთე დბარმა და ანდრეი ამპარმა „საეკლესიო-სახალხო კრება“ მოიწვიეს და მასზე საერო, მათ შორის მოუნათლავი ადამიანები დაასწრეს. მათ მთელი რიგი საეკლესიო კანონების დარღვევით, აფხაზური ეკლესიის „ავტოკეფალია“ ხელახლა გამოაცხადეს, ხოლო საეპისკოპოსო კანდიდატად დოროთე დბარი დაასახელეს. გაუგონარი თვითნებობისა და მკრეხელობის გამო, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მაიკოპისა და ადიღეის მიტროპოლიტმა ტიხონმა მის იურისდიქციის ქვეშ მყოფ დბარსა და ამპარს მღვდელმსახურების უფლება ერთი წლით შეუჩერა.

2012 წლის იანვრის დასაწყისში, თბილისში მოულოდნელად შეიტყვეს, რომ დბარი და ამპარი მსოფლიო პატრიარქს, ვითომდა მისივე მიწვევით, შეხვდნენ და ავტოკეფალიის აღიარება სთხოვეს. აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა დარწმუნებულია, რომ მაშინ აფხაზურ სასულიერო წრეებში განხეთქილება რუსეთის ხელდასხმით მოხდა. დბარი თურქეთს მათივე წაქეზებით ეწვია, რათა აფხაზებს მსოფლიო პატრიარქის კარტის გათამაშებაც ეცადათ.

აფხაზურმა მხარემ განაცხადა, რომ ბართლომე პირველი მათ საკითხის სინოდზე განხილვასა და მოკლე დროში გადაწყვეტილების მიღებას დაპირდა. კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ ეს ინფორმაცია სასწრაფოდ უარყო. ამას მოჰყვა დბარისა და აპლიას მორიგი დაპირისპირება და მაიკოპისა და ადიღეს ეპისკოპოსის მორიგი დადგენილება მათთვის ამჯერად, სამი წლით მღვდელმსახურების აკრძალვის შესახებ. თავის მხრივ, დბარმა და ამპარმა რუსულ ეკლესიასთან ურთიერთობის სრული გაწყვეტის შესახებ გამოაცხადეს.

დასასრული მე-5 გვერდზე

მე-4 გვერდიდან

„დბარისა და ამპარის ვითომდა რუსულ ეკლესიასთან განდგომა მსოფლიო პატრიარქის თვალის ასახვევად ხდება“, — აცხადებს გვაზავა.

აფხაზი სასულიერო პირების კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კარზე გააქტიურებით შეშფოთებული ქართული დელეგაცია სექტემბერში სტამბულს ეწვია და ბართლომე პირველის მხრიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთიანობის მხარდაჭერა მიიღო. მიმდინარე წლის იანვარში ბართლომე პირველი ილია მეორის იუბილისა და აღსაყდრების წლისთავთან დაკავშირებით, თბილისს ესტუმრა. პატრიარქებმა სეპარატისტული ეკლესიების თემატიკაზე ისევ ისაუბრეს.

რამდენიმე დღეში საქართველოს პატრიარქი რუსეთის პატრიარქ კირილს მოსკოვში ეწვია. კირილმა ილია მეორისადმი კომპლიმენტები არ დაიშურა, მაგრამ აფხაზეთისა და ცხინვალის ეკლესიებზე საუბრისას, საკმაოდ თავშეკავებული იყო. მან ქართველ კოლეგას დაუდასტურა, რომ პრობლემის მოსაგვარებლად ერთობლივი მუშაობაა საჭირო. ილია მეორე მოსკოვში პრეზიდენტ პუტინსაც შეხვდა, რის გამოც საქართველოში საპარლამენტო უმცირესობისა და მიხეილ სააკაშვილის კრიტიკა დაიმსახურა. ამავდროულად, რუსული პრესა აღშფოთებას ვერ მალავდა, რადგან ქართველმა პატრიარქმა რუსეთის ეკლესიისა და სახელმწიფოს მეთაურებს არა მარტო ქართული ეკლესიის, არამედ სახელმწიფოს ერთიანობის პრინციპის დაცვა მოსთხოვა.

რუსეთის პატრიარქმა, ილია მეორის ვიზიტიდან მცირე ხნის შემდეგ, საინტერესო ინტერვიუ მისცა რუსეთის ერთ-ერთ ტელეარხს და თქვა ის, რაც ოფიციალურ ქრონიკაში არ დაფიქსირებულა. მან აგვისტოს ომის მიზეზებზე საუბრისას კრემლის პოზიცია გაიმეორა და აღნიშნა, რომ აუცილებელია გადაწყვეტილების მოკლე დროში მიღება. მისი განცხადებით, მორწმუნე მრევლი დიდი ხანია ეკლესიის გარეშე ცხოვრობს, კანონიკურად არ აღევლინება წირვა-ლოცვა, არ ხდება წმინდა საიდუმლოებების აღსრულება, რაც დიდხანს აღარ უნდა გაგრძელდეს. მნიშვნელოვანია, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოც იგივე პრობლემაზე საუბრობს. ორივე ეკლესია, ოფიციალურად, ამ არგუმენტით ცდილობს აფხაზური ეკლესიის ავტოკეფალიის მიზანშეწონილობის დასაბუთებას.

რუსეთის პატრიარქთან შეხვედრის შემდეგ, საქართველოს ეკლესია საკმაოდ იმედიან განცხადებებს აკეთებდა, რაც არ გამართლდა მარტში, სოჭში ქართული სასულიერო დელეგაციის აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტთან ალექსანდრ ანქვაბთან შეხვედრაზე. ანქვაბმა ბორჯომ-ბაკურიანის მიტროპოლიტ სერაფიმეს გადაჭრით უთხრა, რომ აფხაზები საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში არ დაბრუნდებიან და საერთოდაც, ქართველი მღვდლების აფხაზეთში ჩასვლის წინააღმდეგია.

ხომ არ იყო ანქვაბთან მიტროპოლიტ სერაფიმეს შეხვედრა რუსეთის ეკლესიის მიერ დაგეგმილი სპექტაკლი? დიახ, დაბეჯითებით ამბობს გია გვაზავა.

„ჭეშმარიტად დიპლომატიური გარღვევები საჯარო განცხადებებით კი არა — დახურულ კარსმიღმა მოლაპარაკებებით ხდება. ჩვენ არ ვიცით ილია მეორის, კირილისა და ბართლომე პირველის მოლაპარაკებების დეტალები. ყველაფრის მიუხედავად, რუსეთის ეკლესიას საქართველოს ეკლესიის ერთიანობა უნდა აწყობდეს. ქართული მართლმადიდებელ სამყაროში დიდი წონის მქონე სამოციქულო ეკლესიაა და ამ დროს, ვინ დგას იქით?“ — კითხვას სვამს ცინცაძე.

გარდა იმისა, რომ აფხაზურ სასულიერო წრეებს არ გააჩნიათ შესაბამისი წონა, გასათვალისწინებელია თვით აფხაზების სარწმუნოებრივი სიჭრელე: დიდი ნაწილი ოფიციალურად მართლმადიდებელი ქრისტიანია, მაგრამ ბევრიც ისლამს აღიარებს, უფრო მეტნი კი — კერპთაყვანისმცემლობას. აფხაზური დიასპორის 100% მაჰმადიანურია. **„სავარაუდოდ, რუსეთის პატრიარქი ამ ფაქტორსაც ითვალისწინებს“,** — აცხადებს ცინცაძე.

ილია მეორის განცხადების მეორე დღესვე, დროოთე დბარმა apsny.ru-ს განუცხადა: **„ქართული ეკლესიის წინამძღვრები სასურველს ჭეშმარიტებად ასაღებენ... ქორეპისკოპოსთან დაკავშირებით კი, ეს არის ქართული მხარის მსოფლიო პატრიარქის წინაშე თავის მართლება იმის გამო, რომ აფხაზ ხალხს არა აქვს შესაძლებლობა, ჰყავდეს თავისი ეპისკოპოსი... იმედი მაქვს, აფხაზურ მხარეს არ არიან ისეთები, ვისაც ქორეპისკოპოსობა სურს... დიახ, ქორეპისკოპოსი ნიშნავს „სოფლის ეპისკოპოსს“...**

სოსო ცინცაძე აფხაზი პოლიტიკური და სასულიერო წრეების ყოველივე ქართულისადმი ანტაგონიზმიდან გამომდინარე, ვარაუდობს, რომ შესაძლოა, ილია მეორისა და ბართლომე პირველის სოხუმში ვიზიტი არ შედგეს.

ცხადია, რომ საკითხი წინააღმდეგობებით არის აღსავსე და თითოეულ პოზიციას თავ-თავისი სუსტი და ძლიერი მხარეები აქვს. ჯერჯერობით, ქართულ მხარეს აფხაზურ საკითხში წამატებები არ ჰქონია. ოპტიმიზმის საფუძველს მხოლოდ პატრიარქის იმედიანი განცხადებები და ბოლო დროს, რუსეთისა და მსოფლიო პატრიარქთან გააქტიურებული დიპლომატია იძლევა. **„ამ ეტაპზე, ვერ ვხედავ შესაძლებლობას, რომ საქართველოს, რუსეთისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოების ინტერესები ერთმანეთს დაემთხვეს. მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით ჩვენი შანსები საქართველოს ნატოში გაწევრიანების შესაძლებლობაზე მეტია“,** — ამბობს ცინცაძე.

სავარაუდოდ, ილია მეორის სოხუმში ვიზიტის ჩაშლის, ან აფხაზთა მიერ ქორეპისკოპოსის კანდიდატურის უარყოფის შემთხვევაში, რუსეთისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოებში აფხაზური ეკლესიის ავტოკეფალიის მომხრენი ქართულ ეკლესიაზე ზეწოლას განაახლებენ.

ნონა გაფრინდაშვილი: „ნინო ბურჯანაძის წინააღმდეგ წავალ, თუ ის ბიძინა ივანიშვილს დაუპირისპირდება“

გაურიგდა თუ არა „ოცნებას“ „დემოკრატიული მოძრაობა“?

რუსუდან შელია
557-100-768

სახალხო კრების აღმასრულებელმა საბჭომ პარტია „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოსთვის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე 2013 წლის ოქტომბრის არჩევნებში საპრეზიდენტო კანდიდატად დაასახელა. ამასობაში, შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრ ვანო მერაბიშვილს, რომელიც უკვე დაპატიმრებულია, სავარაუდოდ, ბრალი 26 მაისის აქციის ეპიზოდითაც დაუმძიმდება. დაიწყო თუ არა სამართლიანობის აღდგენის პროცესი და რა შემთხვევაში დაუპირისპირდება ნინო ბურჯანაძეს? — „ვერსიას“ სახალხო კრების თავმჯდომარე ნონა გაფრინდაშვილი ესაუბრა.

— ვანო მერაბიშვილი იმ ბანდის ერთ-ერთი მთავარი ხელმძღვანელი იყო, რომელიც 9 წლის განმავლობაში, ქვეყანას ძალადობრივად მართავდა. პირველ რიგში, მან პასუხი უნდა აგოს 2011 წლის 26 მაისს მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით, თუმცა იმაშიც ვერავინ დამარწმუნებს, რომ აქციის დარბევის გადაწყვეტილება ვანო მერაბიშვილმა პრეზიდენტთან შეუთანხმებლად მიიღო. პირიქით, პირველი დამნაშავე, ბრძანების გამცემი მიხეილ სააკაშვილია, ხოლო ვანო მერაბიშვილი ამ საქმეში მეორე მოქმედი პირია.

— ვანო მერაბიშვილთან ერთად, მიხეილ სააკაშვილის გასამართლებასაც ითხოვთ?

— მიკვირს, რაში სჭირდება ამ ყველაფერს რამდენიმეთვიანი გამოძიება, როცა დანაშაულის დამადასტურებელი ზღვა ფოტო და ვიდეომასალა არსებობს? ჩვენი მოთხოვნაა, კანონის წინაშე პასუხი ყველა დამნაშავემ აგოს. არ მაქვს მოლოდინი, რომ ამ შემთხვევაში, გამოძიება პრეზიდენტამდე მივა, რადგან ახლა მასზე, როგორც „დემოკრატიის შუქურაზე“, მთელი მსოფლიოა გადაფარებული. ის ნაციონალებიც უნდა გასამართლდნენ, რომლებსაც 26 მაისს მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით სინანულიც კი არ გამოუთქვამთ, არც იმ ფაქტს შეუწუხებია ვინმე, რომ რუსთაველის გამზირზე ადამიანები ფიზიკურად დაასახიჩრეს, დახოცეს, დასცინეს... ახლა ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები გამოდიან და იმის თქმას ბედავენ, რომ თურმე 17 მაისს ხელისუფლებამ ადამიანის უფლებები შელახა. პირიქით, მიმაჩნია, რომ პოლიცია 17 მაისს მოწოდების სიმაღლეზე იყო და რომ არა ისინი, დაპირისპირება ბევრად მძიმე ფორმას მიიღებდა.

— 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით, პრეზიდენტის განცხადებას გიგა ბოკერიას მეუღლე გამოეხმაურა, სააკაშვილს „წუწკი“ უწოდა და ინსტინქტების დაჩლუნგებაშიც „ამხილა“. ნაციონალური მოძრაობის რღვევის პროცესი კვლავ აქტუალურია?

— ყველამ კარგად ვიცით, რომ ნაციონალური მოძრაობა ძალადობრივადაა შეკავშირებული, საბოლოო ჯამში, ძალადობით გაერთიანებული გუნდი ერთმანეთს აუცილებლად დაერევა. მართლა მიკვირს, აქამდე როგორ შეძლეს ერთმანეთის ატანა... რაც შეეხება გიგა ბოკერიას ცოლს, საქართველოში აქამდეც გვყავდა ჰომოსექსუალები, მაგრამ ვინ უშლიდა ხელს? რუსთაველზე ხალხი ამ ადამიანების წინააღმდეგ კი არა, ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის შესაჩერებლად გამოვიდა, თან პროვოკაციაც აშკარა იყო. ნაციონალურ მოძრაობასაც სხვა რა უნდოდა, მაგრამ მწამს, სამართლიანობა ამ ქვეყანაში აუცილებლად აღდგება. ბატონი ბიძინა ჩემთვის ისტორიული პიროვნებაა... როცა ჩემს ირგვლივ მყოფი ადამიანები, სამართლიანობის აღდგენის პროცესის გაწელვასთან დაკავშირებით, აღელვებულები ბატონი ბიძინას დადანაშაულებას იწყებენ, ყველას ვამშვიდებ და ვეუბნები, რომ ქვეყანაში ყველაფერი მალე დალაგდება, პროცესი კი მხოლოდ იმიტომ გაიწელა, რომ ნაციონალურ მოძრაობას გარკვეული ბერკეტები ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს. სხვა მხრივ, მიმაჩნია, რომ კოალიციამ 7 თვეში იმაზე მეტი გააკეთა, ვიდრე ნაციონალურმა მოძრაობამ ცხრა წელიწადში. ახლა მიხეილ სააკაშვილი ქვეყანას მხოლოდ ძირს უთხრის და ცდილობს, ხელისუფლება საზღვარგარეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდოს, რითიც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ საქართველოს პრეზიდენტი კი არა, ნაციონალური მოძრაობის ლიდერია.

— სახალხო კრებამ ნინო ბურჯანაძე საპრეზიდენტო კანდიდატად ოფიციალურად დაასახელა. იმ ფონზე, როცა ბიძინა ივანიშვილი გიორგი მარგველაშვილის უკონკურენტობაზე საუბრობს, ფიქრობთ, თქვენს კანდიდატს გამარჯვების შანსი რეალურად აქვს?

— ქალბატონი ნინო ბურჯანაძე გამოცდილი დიპლომატი და პოლიტიკოსია, რომელსაც ქვეყნის გარეთ საკმაოდ დიდი ავტორიტეტი აქვს. ამ მიმართულებით ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ მას კონკურენტი ჰყავს... მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში მის მიმართ გარკვეული კითხვები იყო, ნაცმოძრაობის დანარჩენი წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, მან შეცდომები გულწრფელად მოინანია და ოპოზიციაშიც ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით გადავიდა. დიდი ხანია მასთან ერთად ვიბრძვი, ქალბატონმა ნინომ საკმაოდ ღირსეული თვისებები გამოამჟღავნა და მისი ინტელექტის გათვალისწინებით, ვფიქრობ, თუ ნინო ბურჯანაძე ქვეყნის პრეზიდენტი გახდება, ეს, სახელმწიფოს პოლიტიკური დაბალანსების თვალსაზრისით, წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. აქვე ხაზგასმით ვამბობ, რომ „ქართულ ოცნებას“ არც ერთ შემთხვევაში არ დავუპირისპირდებით.

— კი მაგრამ, მარგველაშვილს თქვენი საპრეზიდენტო კანდიდატი უკვე ხომ დაუპირისპირეთ... თუ მიდასტურებთ, რომ „ოცნებასა“ და ნინო ბურჯანაძეს შორის გარიგება შედგა და პრემიერმა სუსტი კანდიდატი ბურჯანაძისთვის გზის გასათავისუფლებლად დაასახელა?

— გარიგება არაფერ შუაშია, უბრალოდ, მიმაჩნია, რომ გიორგი მარგველაშვილი და ნინო ბურჯანაძე ერთმანეთის კონკურენტები არ არიან. ქალბატონი ნინო არ არის ის პოლიტიკოსი, რომელიც საქართველომ უნდა დაკარგოს. პირიქით, მასზე ძლიერი პოლიტიკური ფიგურა, ჯერჯერობით, არ მეგულება. რაში მაინტერესებს, გიორგი მარგველაშვილი უკონკურენტოა თუ არა? ბიძინა ივანიშვილის გუნდში არაერთი მთავარი მოქმედი პირი სწორედ ჩვენი ყოფილი თანაგუნდელია. მთავარია, წინასაარჩევნო პროცესი დემოკრატიულად წარიმართოს და არჩევნებიც ისე ჩატარდეს, როგორც ეს ევროპულ სახელმწიფოს შეეფერება. არაფრის მტკიცებას დავიწყებ, ხალხმა გადაწყვიტოს, ვინაა მართალი და ვინ იმსახურებს საქართველოს პრეზიდენტობას. სხვათა შორის, ბიძინა ივანიშვილს არასოდეს დაუმალავს, რომ ნინო ბურჯანაძის მიმართ სიმპათიითაა გამსჭვალული, ასე რომ, თუ ადამიანებს საკუთარი პოლიტიკური ინტერესები გააჩნია, ეს კონფლიქტს სულაც არ ნიშნავს. კი ბატონო, ხელისუფლებას პატივს ვცემთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნდა დავმუნჯდეთ და ხმა არ ამოვიღოთ.

ოქტომბრის არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ ყველა ჩვენ ხელთ არსებული რესურსი და ადამიანები მივახმარეთ, მეტი რა გაგვეკეთებინა? საზოგადოებამ გადაწყვიტოს, ვინ უფრო ძლიერი კანდიდატია — გიორგი მარგველაშვილი თუ ნინო ბურჯანაძე. არავინ იფიქროს, რომ ახლა ოპოზიციაში ვართ, პირიქით, ბატონმა ბიძინამ განაცხადა, რომ კრიტიკა სჭირდება, მაგრამ პირდაპირ გეუბნებით, თუ ქალბატონი ნინო ბიძინა ივანიშვილს დაუპირისპირდება, პირველი მე ვიქნები, ვინც მის წინააღმდეგ გამოვა. თავადაც დაინტერესებული უნდა იყოს, რომ ქვეყანაში ხელისუფლება დაბალანსდეს, რასაც ქალბატონი ნინო ხელს შეუწყობს.

— ანუ გიორგი მარგველაშვილის გამარჯვების შემთხვევაში, კოალიცია ძალაუფლების უზურპაციას მოახდენს და პოლიტიკური სისტემა კვლავ დაუბალანსებელი იქნება?

— ასე ნამდვილად არ ვფიქრობ, მაგრამ თუ საზოგადოება გიორგი მარგველაშვილს დაუჭერს მხარს, მას გამარჯვებას ჩვენც მივულოცავთ. სხვათა შორის, თუ ნინო ბურჯანაძე არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს, ეს პირველ რიგში, ნაციონალებს გაახარებს, რადგან აქვთ პრეტენზია, რომ ქვეყანაში მეორე ოპოზიციის სახელი მოიპოვონ. სანამ ნაციონალური მოძრაობა, როგორც დამნაშავე რეჟიმი, არ გასამართლდება, ნინო ბურჯანაძის კანდიდატურა, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილისთვის უნდა იყოს მისაღები.

დავით ბაქრაძე: „თუ ახალი მთავრობა საბჭოთა ანაბრების თემას „დაძრავს“, ამას მივესალმები!“

საბჭოთა ანაბრები ქართული საზოგადოებისთვის მარადიულ პრობლემად იქცა. იყო მცდელობა საკითხის გადაჭრის, მაგრამ, საბოლოო ჯამში, დაზარალებული მეანაბრეები ისევ დაზარალებულად დარჩნენ და შესაბამისი კომპენსაცია არ მიუღიათ. ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო რიტორიკაში ანაბრებს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა, თუმცა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ეს საკითხი ყველას მიავიწყდა.

თემა დღესაც აქტუალურია და, როგორც ექსპერტები აცხადებენ, თუკი სახელმწიფო მისი გადაჭრის გზებს თუნდაც გრძელვადიან პერსპექტივაში დაგეგმავს, ეს იქნება სოციალური სამართლიანობის აღდგენა და დადებით იმიჯს შეუქმნის იმ ხელისუფლებას, რომელიც ამ ვალდებულების შესრულებას დაიწყებს. ახალი ხელისუფლების მხრიდან ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერის დავით ბაქრაძისთვისაც მისასალმებელი ფაქტი იქნება.

„თუ ახალი მთავრობა რამეს გამოძებნის, მათ შორის პრემიერის პირადი შესაძლებლობებით რაიმე გზა თუ გამოიძებნება ამ საკითხის გადასაჭრელად, მე ამას საჯაროდ მივესალმები და ვიტყვი, რომ კარგი ნაბიჯი გადადგა ახალმა მთავრობამ“, — აცხადებს ის „გურიანიუსთან“ ინტერვიუში.

— ბატონო დავით, როგორ ფიქრობთ, ახალი მოწვევის და ახალი მთავრობის პირობებში დადგება ანაბრების თემა დღის წესრიგში? რამდენად რეალურია საბჭოთა ანაბრების დაბრუნება დაზარალებული მეანაბრეებისთვის?

— რომ შევხედოთ, საქართველოს ბიუჯეტი ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვერ შეძლებს საბჭოთა ანაბრების გასტუმრებას, თანხის რაოდენობიდან გამომდინარე. გარკვეული საუბრები ამ თემაზე ახალი ხელისუფლების მხრიდან არის, თუმცა ჯერჯერობით, კონკრეტული ინიციატივა მათგან არ მომისმენია, ვნახოთ...

თუ ეს მთავრობა შეძლებს, რომ საბჭოთა ანაბრების თემა დაძრას და რაიმე პროცესი დაიწყოს, მე ამას მხოლოდ მივესალმები, თუმცა ეჭვი მეპარება, რომ იმ პირობებში, რაც დღეს ხდება, როდესაც რეალურად ბიუჯეტის შესრულების პრობლემა არსებობს, ეკონომიკური ზრდა შემცირებულია, მთავრობას ამის რესურსი ჰქონდეს. თუმცა კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუ მათ ამის პოლიტიკური სურვილი გააჩნიათ, თუ ამის დასაბუთებულ გეგმას წარმოადგენენ, მე მზად ვარ, ამას საჯაროდაც მივესალმო.

— როდესაც ნაციონალური მოძრაობა ქვეყნის სათავეში მოდიოდა, ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება სწორედ ანაბრების დაბრუნებას ეხებოდა. რატომ ვერ მოახერხა თქვენმა პარტიამ ამ პრობლემის გადაჭრა?

— მე ასეთი საარჩევნო დაპირება არ მახსოვს, ყოველ შემთხვევაში, რაც მახსოვს, 2004 -ის საპარლამენტო არჩევნების აქეთ და ასეთი დაპირება არ გაგვიცია. შეხვედრებზე ხშირად აყენებდნენ ამ საკითხს ადამიანები, მაგრამ ყოველთვის გულახდილად ვპასუხობდი: რა თქმა უნდა, შემიძლია გითხრათ, რომ კი ბატონო, დავიწყებთ ამის მოგვარებას და 30 წლის შემდეგ გაგისტუმრებთ, მაგრამ ეს იქნება ტყუილი, რადგან ახლა ქვეყნის ბიუჯეტს ამის საშუალება არ აქვს-მეთქი. მერჩივნა, მწარე სიმართლე მეთქვა ადამიანებისთვის, ვიდრე იმ ბიუჯეტის პირობებში რამეს შევპირებოდი ტყუილად. მე მათ ყოველთვის გულწრფელად ვპასუხობდი ამ შეხვედრებზე, მაგრამ, როგორც ასეთი, როგორც დაპირება, არ მახსოვს. მიუხედავად იმისა, რომ 2004 წლის საპარლამენტო არჩევნებიდან ვმონაწილეობ.

თუ ახალი მთავრობა რამეს გამოძებნის, მათ შორის პრემიერის პირადი შესაძლებლობებით რაღაც გზა გამოიძებნა, მე ამას საჯაროდ მივესალმები და ვიტყვი, რომ კარგი ნაბიჯი გადადგა ახალმა მთავრობამ.

„გურიანიუსი“

ვანო მერაბიშვილი „მატროსოვის“ ციხეში გადაიყვანეს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ყოფილი პრემიერის ადვოკატი პატიმრობის გირაოთი შეცვლას ითხოვს

22 მაისს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ყოფილ პრემიერ-მინისტრსა და ნაციონალური მოძრაობის გენერალურ მდივანს, ვანო მერაბიშვილს აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა, ხოლო ზურაბ ჭიაბერაშვილს — 20-ათასლარიანი გირაო. კახეთის მოქმედი გუბერნატორის ოჯახმა გირაოს თანხა 23 მაისს გადაიხადა. ორი ნაციონალი მაღალჩინოსნის დაკავებისას, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურორმა შოთა ტყეშელაშვილმა გახსნილად მერაბიშვილის კორუფციული საქმიანობის ორი მნიშვნელოვანი ეპიზოდი გამოაცხადა. პირველი მისი პრემიერ-მინისტრობის პერიოდს ეხება, როცა მერაბიშვილმა **„2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ, ამომრჩევლის მოსყიდვის და სახელმწიფო სახსრებით პარტიის შენიღბული და ფარული დაფინანსების მიზნით, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ ზურაბ ჭიაბერაშვილსა და სხვა პირებთან ერთად, დაგეგმა და განახორციელა თვალთმაქცური მოქმედებები“**. მეორე ეპიზოდი ეხება კვარიათში, საერთაშორისო საინვესტიციო კომპანიის კუთვნილი ფეშენებელური აგარაკის მითვისებას, რომლის მესაკუთრეც ვანო მერაბიშვილმა 2009 წლის მაისში, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე დააკავა და მერე თითქმის ოთხი წელი ამ ქონებით უსასყიდლოდ სარგებლობდა. აგარაკი მერაბიშვილმა შსს-ს სახსრებით გაარემონტა და ჯამში, სახელმწიფოს 158-ათასლარიანი ზარალი მიაყენა. გარდა ამისა, უახლოეს დღეებში, მერაბიშვილს, შესაძლოა, ბრალი კიდევ 2 ეპიზოდით დაუმძიმდეს — 2011 წლის 26 მასის აქციის დარბევა და სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმე. თუმცა, ჯერჯერობით, არც ერთ ამ საქმესთან დაკავშირებით პროკურატურას კონკრეტული ბრალეულობების შესახებ არაფერი უცნობებია. ვანო მერაბიშვილს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის სამი მუხლით აქვს წაყენებული, რაც 7-დან 11 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

ამომრჩევლის მოსყიდვა ედება ბრალად კახეთის მოქმედ გუბერნატორს, ყოფილ ჯანდაცვის მინისტრსა და ყოფილ მერს, ზურაბ ჭიაბერაშვილსაც, რომელმაც განმარტებები იზოლატორიდან გამოსვლისას გააკეთა. ჭიაბერაშვილმა მისი დაკავებისას დაშვებულ პროცესუალურ დარღვევებზე ისაუბრა და საქართველოს მთავრობას პოლიტიკური ოპონენტების დაპატიმრების წინ დაფიქრებისკენ მოუწოდა. **ზურაბ ჭიაბერაშვილი: „მე სიცოცხლის ბოლომდე მაქვს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგი და მე მხოლოდ იუსტიციის მინისტრს, როგორც საქართველოს ნომერპირველ პროკურორს, უნდა დავეკავებინე. რაც შეეხება ბრალდებას, იგი აბსურდულია და აშკარად პოლიტიკურ ხასიათს ატარებს... მართლა სასწაული უნდა ხდებოდეს, რომ იმ პირობებში, როცა მთელი საერთაშორისო საზოგადოება გვიყურებს, წინ გველის ვილნიუსის სამიტი და საქართველო აკაკუნებს ნატოს კარზე, ქვეყანას ასეთი უარყოფითი იმიჯი შევუქმნათ და დავაპატიმროთ ყოფილი პრემიერ-მინისტრი და ყოფილი ჯანდაცვის მინისტრი“,** — განაცხადა პრეზიდენტის რწმუნებულმა კახეთში და დასძინა, რომ რეგიონში საქმიანობას დაუყოვნებლივ გააგრძელებს. კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი ისაა, რომ ქუთაისის იზოლატორიდან გამოსულ ჭიაბერაშვილს გარეთ არც ერთი „ნაციონალი“ არ დახვედრია, მიუხედავად მათი ორდღიანი მხარდამჭერი აქციებისა. ჭიაბერაშვილის თქმით, ალბათ, ნაციონალებს მისი დახვედრა „უბრალოდ არ მოუნდათ“, თუმცა 23 მაისს, საღამოს, ჭიაბერაშვილი ჟურნალისტებს შეხვდა, მომხდარზე ისაუბრა, ნაციონალების არდახვედრა კი უბრალოდ გაუგებრობით ახსნა.

რაც შეეხება ვანო მერაბიშვილს, იგი სასჯელაღსრულების ნომერ მეცხრე, ე.წ. მატროსოვის დაწესებულებაშია გადაყვანილი, სადაც, სხვათა შორის, სასჯელს უკვე რამდენიმე თვეა ბაჩო ახალაიაც იხდის. 22 მაისს, თითქმის 4-საათიან სასამართლო პროცესზე პროკურატურამ ექსპრემიერისთვის თავისუფლების წინასწარი აღკვეთა რამდენიმე არგუმენტით დაასაბუთა: 1. ციხის გარეთ მყოფ მერაბიშვილს მოწმეებზე ზეწოლა შეუძლია. 2. მას საზღვარგარეთ და ქვეყნის შიგნით აქვს ფართო კავშირები და შეუძლია, მკაცრი სასჯელის შიშით დატოვოს ქვეყანა. მით უმეტეს, მას უკვე აქვს საზღვარი ვინმე ლევან მაისურაძის სახელით გადაკვეთილი. 3. პროკურორის თქმით, მერაბიშვილის მეუღლემ, თაკო სალაყაიამ 21 მაისს, მას შემდეგ, რაც მერაბიშვილს ჩაბარდა პროკურატურის უწყისი დაკითხვის თაობაზე, ქვეყანა დატოვა: **„სახლიდან ამოღებულ იქნა ფული, რაც გვაფიქრებინებს, რომ ის საზღვარგარეთ წასასვლელად ემზადებოდა“**, — განაცხადა პროცესზე პროკურორმა.

თუმცა საფრანგეთიდან იმავე დღეს დაბრუნებულმა **თაკო სალაყაიამ** საკმაოდ ლოგიკური განმარტება გააკეთა: **„მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ ჩემი მეუღლის უდანაშაულობაში. ჩვენ მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას არ ვეთანხმებით და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას აუცილებლად გავასაჩივრებთ. ჩვენ, მისი ოჯახის წევრები, მეგობრები და ახლობლები მის გვერდით ვართ, ვიქნებით და ბოლომდე ვიბრძოლებთ. რაც შეეხება ქვეყნიდან ჩემს გასვლას, დიახ, წასული ვიყავი, თუმცა როგორც კი შევიტყვე მერაბიშვილის დაკავების შესახებ, მაშინვე დავბრუნდი და შეუძლიათ გადაამოწმონ, რომ ახლა აქ ვარ. აბსურდია ისიც, რასაც პროკურატურა თანხების შესახებ აცხადებს — თუ ქვეყნიდან გავიქეცი, მაშინ თანხა რატომ დავტოვე სახლში?! ასეთ რაღაცებზე ძალიან მეცინება!“**

სასამართლო პროცესზე გულიანად ეცინებოდა ვანო მერაბიშვილსაც, რომელიც განსაკუთრებით პროკურორის მიერ მის წინააღმდეგ წაყენებულმა ბრალდებებმა გაამხიარულა. მერაბიშვილის ადვოკატის, გიორგი ჩივიაშვილის თქმით, დღეს მერაბიშვილი თავს კარგად გრძნობს და ბრძოლის ხასიათზეა; მეტიც — ექსპრემიერი დარწმუნებულია, რომ საკუთარ უდანაშაულობას დაამტკიცებს. როგორც ჩივიაშვილმა ვანო მერაბიშვილთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, საუბარი შეეხო იმ შუამდგომლობას, რომლის მიხედვით დაცვის მხარე პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს და ეცდება, აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა გირაოთი შეცვალოს.

მიმდინარე მოვლენები უყურადღებოდ, ბუნებრივია, არც ნაციონალურ მოძრაობას დაუტოვებია — ვრცელი კომენტარი ჯერ პერსონალურად, შემდეგ კი პარტიის ლიდერშიპთან ერთად, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა **დავით ბაქრაძემ** გააკეთა: **„ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება ახალ ეტაპზე გადავიდა. ვფიქრობ, ყველა ის ადამიანი, ვინც მიიჩნევს, მერაბიშვილის დაკავება სასიხარულო, სასეირო, გულისმოსაფხანი მოვლენა იყო, სამწუხაროდ, ძალიან მოკლე ხანში დარწმუნდება, რომ დღევანდელი დღე სერიოზული და შეუქცევადი ცვლილებების დასაწყისია საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისთვის! საკუთარ თავს უფლებას არ მივცემ, მოსამართლის გადაწყვეტილებაზე კომენტარი გავაკეთო, მიუხედავად იმისა, რომ ვფიქრობ, სხვა გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო მიღებული. მთელი ის აურზაური და ზეწოლა, რომელიც მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა სასამართლოსთან, ალბათ, გარკვეული გავლენისა და დატვირთვის მატარებელიც იყო“.**

კიდევ ერთი თემა, რაც აქტუალური მერაბიშვილის ე.წ. მატროსოვის ციხეში გადაყვანის შემდეგ გახდა ისაა, რომ ამ ციხეში უკვე ზის ბაჩო ახალაია. თუმცა ვანო მერაბიშვილსა და მის ადვოკატს ამ თემაზე საუბარი უცვლელი არგუმენტის, აბსურდულობის გამო არ სურთ. თავის მხრივ, თემას ეხმაურება სასჯელაღსრულების მინისტრი **სოზარ სუბარიც: „ახლა ციხეში არაფერი ხდება, არანაირი გადაძახილი არ არის. თუ ვინმე იყვირებს, შესაბამისი ქმედებების ადეკვატურ ზომებს მივიღებთ, თორემ თითო ადამიანზე თითო ციხეს ვერ ავაშენებთ!“**



„დიახ, ეს მხოლოდ დასაწყისია!“

ვისი დაჭერა იგეგმება მერაბიშვილი-ჭიაბერაშვილის მერე და ივანიშვილის გუნდის რა შეცდომებს უმხელს „ვერსიას“ **ირაკლი ტრიპოლსკი**

ეროსუდან შელია
557-100-768

ამბობს, რომ დუშეთის წინა მაჟორიტარებისგან განსხვავებით, რაიონს ხშირად სტუმრობს და მოსახლეობასაც აქტიურად ხვდება. პარალელურად, აღიარებს, რომ არჩევნების შემდეგ, სოციალური პრობლემების მოგვარება, ჯერჯერობით, ვერ მოხერხდა. როგორ აფასებს კოალიციის დუშელ საპრეზიდენტო კანდიდატს, ვანო მერაბიშვილისა და ზურა ჭიაბერაშვილის შემდეგ, ყოფილი სახელისუფლებო გუნდიდან, ვისი დაკავება იგეგმება? — „ვერსიას“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, დუშეთის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ტრიპოლსკი ესაუბრა.

— რომ გითხრათ, დუშეთში მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა და ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის-მეთქი, მოგატყუებთ, თუმცა გარკვეული პერსპექტივები გამოიკვეთა. რაც მთავარია, წინა მაჟორიტარ დეპუტატებთან შედარებით, შეძლებისდაგვარად, ყველა სოფელში დავდივარ და ვცდილობ, ყველაფერი ისე გავაკეთო, როგორც წესი და რიგია. სხვათა შორის, არჩევნების შემდეგ ბევრი საუბრობდა, გამგეობებსა და მუნიციპალიტეტებში კოალიცია ზეწოლას ახდენსო, მაგრამ მსგავსი რამ დუშეთში არ მომხდარა, პირიქით, ყველაფერი კანონმდებლობის შესაბამისად გავაკეთე. ვერ ვიტყვი, ნოვატორები ვართ-მეთქი, მაგრამ დუშეთი ერთ-ერთი პირველი რაიონი იქნება, რომლის მუნიციპალიტეტებშიც სტრუქტურები შეიცვლება. ნაცმოძრაობის მმართველობის დროს, თანამშრომელთა უმრავლესობამ არ იცოდა, რა სამუშაო უნდა გაეწია — ერთ-ერთმა მითხრა კიდეც, დაგვავალეთ, ბატონო ირაკლი და შევასრულებთო. ახლა ყველა თანამშრომლის მოვალეობები გაწერილია, კვირის ან თვის ბოლოს, ანგარიშსაც წერენ და თავის მხრივ, სამსახურის უფროსიც აბარებს ანგარიშს გამგებელს.

— სანამ ბიუროკრატიულ პრობლემებს აგვარებთ, სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად რა კეთდება ან რატომ არავინ ზრუნავს მთის დაპირებული კანონის მიღებაზე?

— სასაზღვრო სოფლები იცლება, მათ ნაცვლად კი, ჩვენს ტერიტორიაზე, ჩეჩნები გადმოდიან და გარკვეული პრეტენზიებიც უჩნდებათ. ეს კარგად გვაქვს გაცნობიერებული და ბუნებრივია, მთის კანონზეც ვმუშაობთ. ზოგადად, ყველა ახალი ხელისუფლება პრობლემებს ცუდ მემკვიდრეობას აბრალებს. ჩვენც დავიწყეთ მსგავსი საუბარი, თუმცა სამწუხაროდ, დღეს ადამიანები უკიდურესი სიღარიბის ზღვარზე არიან. გადავწყვიტე, მეგობრების დახმარებით ფონდი შემექმნა და დუშელებისთვის ერთჯერადი დახმარება, ფქვილი, მაკარონი და სხვა პროდუქტი დამერიგებინა. პირველივე შემთხვევისას მივხვდი, რომ ძალიან დიდი შეცდომა დავუშვი, რადგან მოსახლეობაში უკმაყოფილება გაჩნდა, ჩვენ შორის ზოგიერთი ნაციონალია და იმათ რატომ ეხმარებითო... არადა, ადამიანებს პოლიტიკური შეხედულებების მიხედვით არ ვყოფთ.

— მაკარონისა და ფქვილის ერთჯერადად დარიგებას, არ სჯობია, სამუშაო ადგილები შექმნათ?

— დიახ, ამ მიმართულებით მდგომარეობის შეცვლაზე უკვე ვმუშაობთ. არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით, დუშელი მოსახლეობის გადამზადება დავიწყეთ — კომპიუტერს, ინგლისურსა და ბუღალტერიას ვასწავლით. ამასთან, სოფლის მეურნეობისა და რეგიონების განვითარების ასოციაცია მოსახლეობას კრედიტების აღებაში ეხმარება, რადგან აღმოჩნდა, რომ ბევრმა, განაცხადის დაწერა არ იცის. არავინ იფიქროს, ჩატარებული სამუშაოებით კმაყოფილი ვარ, პირიქით, დუშეთის მოსახლეობას ხშირად ვეუბნები, იაქტიუროს და ჩაერთოს, მაგალითად, 60 გადამამუშავებელი საწარმოს შექმნის პროექტში. რძის პროდუქტების გადამამუშავებელი ქარხნებისთვის 600 ათასიდან მილიონამდე ლარის გამოყოფა შეგვიძლია. მოგეხსენებათ, კოალიციის კანდიდატი დუშელია. დუშელებს ჯერ ის უხაროდათ, გიორგი მარგველაშვილი განათლებისა და მეცნიერების მინისტრი რომ იყო, ახლა კი ორმაგად გახარებულები არიან, რადგან შესაძლოა, დუშეთში მცხოვრები ადამიანი საქართველოს პრეზიდენტი გახდეს.

— თუმცა გიორგი მარგველაშვილს, დუშეთის გარდა, ნაკლებად იცნობენ.

— პირადად მე, ვფიქრობ, რომ გიორგი მარგველაშვილი საკმაოდ დადებითი პიროვნებაა. რა თქმა უნდა, მჯობზე მჯობი არ დაილევა, მაგრამ მიმაჩნია, რომ ბიძინა ივანიშვილმა საპრეზიდენტო კანდიდატი საკმაოდ სწორად შეარჩია. გიორგის დიდი ხანია ვიცნობ და კარგად მახსოვს, რომ იგი ჩემს თაობაში იმედისმომცემ ფილოსოფოსად აღიქმებოდა. საერთოდ, საქართველოში ვერ ვნახე ადამიანი, ვისზეც მხოლოდ კარგს ამბობენ.

— ჭორები თქვენ ირგვლივაც უხვად დაგროვდა, ბევრმა ისიც თქვა, საზოგადოებრივ მაუწყებელში პროცესებს მართავდაო. გიორგი ბარათაშვილი მართლა თქვენი ცოლის ნათესავია და დირექტორის თანამდებობაზე მისი დაბრუნება თქვენი დამსახურებაა?

— რა თქმა უნდა, საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე პროცესებს მე ვმართავდი... — ამას ირონიით ვამბობ. სერიოზულად თუ ვიმსჯელებთ, შეგახსენებთ, რომ 2008 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ვიყავი და ოთხ თვეში, პირადი განცხადების საფუძველზე გადავდექი. რატომღაც ევროსაბჭოში მაშინ არავის უკითხავს ჩემი გადაწყვეტილების მიზეზების შესახებ. არავინ დაინტერესებულა, ვინმემ მაიძულა გადაწყვეტილების მიღება თუ გიჟი ვიყავი. სხვათა შორის, როცა ევროსაბჭომ „მაუწყებელში“ მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით რეკომენდაციები გამოგვიგზავნა და აღნიშნა, ახალი ხელისუფლება ტელევიზიის საქმიანობაში უხეშად ერევაო, ევროპარლამენტის დეპუტატებს საპასუხო წერილიც გავუგზავნე და რამდენიმე წლის წინ მომხდარი ფაქტიც შევახსენე. კარგად ვიცი, ცხრა წლის განმავლობაში ამ არხზე რა ხდებოდა, როგორ კეთდებოდა პოლიტიკური თოქ-შოუ და რამდენად პოლიტიზირებული იყო საინფორმაციო გამოშვებები. მაშინ ლევან გახელაძე ჩემი მოადგილე იყო და მანაც ამის შესახებ დეტალურად იცის. საბედნიეროდ, უკვე მივიღეთ კანონი, რომელიც ტელევიზიაში შექმნილ ვითარებას უკეთესობისკენ შეცვლის. რაც შეეხება გიორგი ბარათაშვილს, ვფიქრობ, საქართველოში ნათესაობა არავის უკვირს. როცა ამ სკანდალის აგორება დაიწყო, 87 წლის დედას ვკითხე, ბოლოს და ბოლოს, გამაგებინე, გიორგი ბარათაშვილი როგორ გვენათესავება-მეთქი. მიპასუხა, რომ თურმე, გიორგი ბარათაშვილი დედაჩემის ბებიის ძმისშვილიშვილის შვილიშვილია, რომელსაც ადრე ხან ქელეხში, ხანაც ქორწილში ვხვდებოდი. სიცრუეა, თითქოს ის ჩემი ცოლის ნათესავია, უბრალოდ, ორივეს გვარად ნადირაძე გვყავს ცოლად. სხვათა შორის, ხათუნა ბერძენიშვილისთვის, რომელიც საზოგადოებრივ მაუწყებელზე „მეცხრე არხის“ საინფორმაციო გადაცემის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გადავიდა, არავის უკითხავს „პირველი არხიდან“ წასვლის შემდეგ კრწანისის გამგებლად როგორ დაინიშნა. მსგავს რაღაცებს ყურადღებას აღარ ვაქცევ. არჩევნებამდეც ამბობდნენ, ტრიპოლსკი ხელფასის სახით, თვეში 95 ათას ლარს იღებდაო და 950 ათასი ლარით დამაჯარიმეს. სიცილის გარდა, ამ ყველაფერზე სხვა რა რეაქცია უნდა მქონდეს? მთავარია, ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა დაწყებულია.

— ვანო მერაბიშვილისა და ჭიაბერაშვილის დაკავებით ქვეყანაში სამართლიანობა აღდგება? ბიძინა ივანიშვილმა დაკავების პროცესების აქტიურ ფაზაში შესვლა დაანონსა. იცით, კიდევ რომელი ყოფილი მაღალჩინოსნის დაკავება იგეგმება?

— დიახ, კიდევ ბევრ რამეს გაიგებთ, ეს მხოლოდ დასაწყისია, მაგრამ ამ თემებზე მოგვიანებით ვისაუბრებ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოქალაქეების უმეტესობის მსგავსად, მეც მიმაჩნია, რომ სამართლიანობის აღდგენა საკმაოდ გაიწელა, უიმედოდ არასოდეს ვყოფილვარ. გულწრფელად გეტყვით, ვხედავ, რომ გუნდი შეცდომებსაც უშვებს, ხალხიც ბრძენია და ამ ყველაფერს ამჩნევს კიდეც, მაგრამ ალბათ, მთავრობა ნელ-ნელა მწყობრში ჩადგება.

— რა არის იმის მიზეზი, რომ ხელისუფლებაში მოსვლიდან 7 თვეში, ჯერ დავით კირვალიძის სკანდალი მოხდა, შემდეგ კი გელა ხვედელიძის მიერ ჩადენილი უკანონობა გამოაშკარავდა?

— მიზეზი ალბათ ისაა, რომ გუნდს კოორდინაცია აკლია, თანაც პირველი ოქტომბრის შემდეგ, ყველა თავისუფლად ალაპარაკდა. ადრე მოქალაქეები საკუთარ პრობლემებზე საუბარს მხოლოდ სამზარეულოში ბედავდნენ, დღეს კი მთელი სიბინძურე და სიღატაკე ერთდროულად ამოტივტივდა, რომლის დარეგულირებაც გარკვეულ დროს მოითხოვს. დიახ, სულ ვამბობდი, რომ კოალიციაში ფრთიანი ანგელოზები არ არიან, მათ შორის არც მე, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ხვედელიძემ ფარული ჩანაწერების გამოქვეყნებით ქვეყანა დააქცია. კი, ბატონო, რაც აჩვენა, სიბინძურე იყო, მაგრამ იმას უნდა რცხვენოდეს, ვინც ეს ჩანაწერი გააკეთა და ვინც მასში მონაწილეობს.

— ცდილობთ, გაამართლოთ გელა ხვედელიძე, რომელმაც პირადი ცხოვრების ამსახველი, უკანონოდ მოპოვებული ვიდეოჩანაწერი გაასაჯაროა?

— რა თქმა უნდა, არა — მსგავს ფაქტებს მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ვებრძოდი. მისასალმებელია, რომ შეცდომას ჩვენს თანაგუნდელსაც არ ვპატიობთ, უბრალოდ, დრამატიზება არ უნდა მოვახდინოთ და დამნაშავეები სათანადოდ დავსაჯოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ კანონი ყველასთვის ერთი გახდება და სამართლიანობა აღდგება.

ვერსიანიუსი

საია-მ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატები წარადგინა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, პარლამენტს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრებად ნინო ბაქაურის, ზურაბ ძლიერიშვილისა და კახა წიქარიშვილის კანდიდატურებს სთავაზობს.

საია-ს თავმჯდომარემ კანდიდატების მრავალწლიან გამოცდილებასა და ღირსებებზე ისაუბრა. კახა კოჟორიძეს თქმით, ნინო ბაქაურს აქვს იურისტად მუშაობის 16-წლიანი და მოსამართლედ მუშაობის 3-წლიანი გამოცდილება. იგი იყო სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე და 2008 წელს სასამართლო პროტესტის ნიშნად დატოვა.

რაც შეეხება ზურაბ ძლიერიშვილს, იგი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი და მრავალი კვლევის, ნაშრომისა თუ სამეცნიერო სტატიის ავტორია.

კახა წიქარიშვილი 2012 წლიდან დღემდე გაერო-ს განვითარების პროგრამის ექსპერტად მუშაობს და არის რამდენიმე კვლევის ავტორი.

როგორც კახა კოჟორიძემ კანდიდატების წარდგენისას განაცხადა, სამართლის აღიარებული სპეციალისტები ცნობილნი არიან თავიანთი პრინციპული გადაწყვეტილებებით: **„ისინი კანონის მოთხოვნებს გადაჭარბებით აკმაყოფილებენ და აქვთ სასამართლო თემატიკაზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. საია შეეცადა, დაესახელებინა კანდიდატები, რომლებსაც გააზრებული აქვთ, რა არის სასამართლოს დამოუკიდებლობა. სასამართლოს დამოუკიდებლობის კუთხით ჯერ კიდევ არსებობს კითხვები და თუ პარლამენტი ჩვენს მიერ შეთავაზებულ კანდიდატებს მხარს დაუჭერს, ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რათა სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი გაუმჯობესდეს“.** კოჟორიძის თქმით, ვერანაირი კანონი ვერ იქნება სასამართლოს დამოუკიდებლობის გარანტი, თუ ამის უზრუნველყოფას გადაწყვეტილების მიმღები პირები არ შეეცდებიან, „ამიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა იმას, ვინ იქნებიან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები“.

„ინტერპრესნიუსი“

Amnesty International-ის ყოველწლიური ანგარიში საქართველოსაც ეხება

საერთაშორისო უფლებადამცველმა ორგანიზაციამ Amnesty International მსოფლიოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ ყოველწლიური ანგარიში წარმოადგინა, სადაც საქართველოცაა ნახსენები.

როგორც ანგარიშშია აღნიშნული, საპარლამენტო არჩევნებამდე საქართველოში ოპოზიციური პარტიების წევრებსა და მხარდამჭერებს ავიწროებდნენ, აშინებდნენ და უსამართლოდ სჯიდნენ; პოლიტიკური შეხედულებების გამო, რეგიონებში რამდენიმე ადამიანი, მათ შორის, სკოლის მასწავლებლები, სამსახურიდან გაათავისუფლეს.

ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშში ასევე მოხვდა 2012 წელს, საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე „ქართული ოცნების“ წევრთა და სხვადასხვა რეგიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტები.

ასევე განხილულია ჟურნალისტთა მდგომარეობა საქართველოში 2012 წელს და აღნიშნულია, რომ თავდასხმასა და სიტყვიერ შეურაცხყოფას აწყდებოდნენ როგორც პროოპოზიციური, ასევე პროსახელისუფლებო ჟურნალისტები.

„26 ივნისს, მერეთში ადგილობრივი ოპოზიციის აქციის გაშუქებისას, „ინფო 9“-ის, „მე-9 არხისა“ და ტელეკომპანია „თრიალეთის“ ჟურნალისტებს ფიზიკურად და სიტყვიერად გაუსწორდნენ. 12 ივლისს, ასევე შიდაქართლში, სოფელ კარალეთში ოპოზიციის ლიდერებსა და ხელისუფლების მხარდამჭერთა შორის მომხდარი შეტაკების შედეგად 10 ჟურნალისტი დაშავდა“, — ამ ფაქტებზე გამოძიების შედეგად რამდენიმე ადამიანი, მათ შორის თვითმმართველობის წარმომადგენლები, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ბრალდებით გაასამართლეს.

Amnesty International ყურადღებას ამახვილებს ასევე საქართველოში შეკრების თავისუფლებაზე და აღნიშნავს, რომ საქართველოში შეკრების თავისუფლება მეტწილად შეუზღუდავია. როგორც ანგარიშშია აღნიშნული, არჩევნებამდე თბილისშიც და რეგიონებშიც ფართომასშტაბიან აქციებს მართავდნენ როგორც ნაციონალური მოძრაობის, ასევე „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, თუმცა მიუხედავად ამისა, დაფიქსირდა ძალადობისა და დარბევის შემთხვევები, განსაკუთრებით რეგიონებში.

„მაისში, ქუთაისში ადგილობრივმა ხელისუფლებამ წყლის ჭავლი გამოიყენა ოპოზიციური პარტიის აქტივისტთა დასაშლელად, რომლებიც მშვიდობიან აქციას მართავდნენ ქუთაისობის აღსანიშნად. 26 მაისს კი, მერეთში „ქართული ოცნების“ ადგილობრივებთან შეხვედრის წინ, დაპირისპირება მოხდა. შედეგად რამდენიმე ადამიანი დაშავდა, მათ შორის ჟურნალისტებიც. გავრცელებულ ვიდეოში კი გამოჩნდა, რომ დაპირისპირებაში ჩართულნი იყვნენ საჯარო მოხელეებიც“, — ნათქვამია Amnesty International-ის ყოველწლიურ ანგარიშში.

საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ ანგარიშში ასევე საუბარია საქართველოში რელიგიურ უმცირესობათა დისკრიმინაციაზე: **„რელიგიურ უმცირესობებსა და ორთოდოქსებს შორის შეხლა-შემოხლა მოხდა. პოლიციის ჩარევის შემდეგ, მუსლიმმა მომლოცველებმა შეძლეს ლოცვის აღსრულება, თუმცა ხელისუფლებამ ვერ შეძლო რელიგიური ძალადობის დაგმობა ცალსახა თვალსაზრისით“.** ანგარიშში საერთაშორისო ორგანიზაციას მოჰყავს 26 ოქტომბერს, სოფელ ნიგვზიანში და 30 ნოემბერს სოფელ წინწყაროში მომხდარი ინციდენტები, სადაც ადგილობრივი ქრისტიანები ადგილობრივ მუსლიმ მოსახლეობას დაუპირისპირდნენ.

საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციის ბოლო ქვეთავი ეთმობა საქართველოში ლგბტ პირთა მდგომარეობას. აღნიშნულია, რომ 2012 წელს თბილისში ორთოდოქსები თავს დაესხნენ ლგბტ-ს: **„17 მაისს, თბილისში, ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს გამართულ მშვიდობიან აქციაზე „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირისა“ და ორთოდოქსთა ჯგუფი თავს დაესხა „იდენტობის“ წარმომადგენლებს, რომლებიც ლგბტ პირების უფლებებს იცავდნენ. მათ შორის წარმოშობილ ჩხუბში პოლიცია ჩაერთო. ინციდენტის შედეგად 5 ადამიანი დააკავეს, თუმცა მალევე გაათავისუფლეს“.**

„ინტერპრესნიუსი“

დეპუტატი დავით ლორთქიფანიძე დეპუტატ პაატა ლეჟავას დაკითხვას ითხოვს

რატომ არ დაკითხეს 26 მაისის აქციის მონაწილე „ოცნების“ წევრი და წაუყენებენ თუ არა ბრალს ვანის ნაციონალ მაჟორიტარს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა წევრმა, დავით ლორთქიფანიძემ 26 მაისის საქმის გამოუძიებელ დეტალებზე საუბარი ჯერ კიდევ პარლამენტში დაიწყო. იგი ნაციონალების ხელისუფლების რამდენიმე წევრს 26 მაისის ღამეს ერთ-ერთი გარდაცვლილის, სულიკო ასათიანის მკვლელობაში ადანაშაულებდა და მთავარ პროკურორს საქმის გამოძიებისკენ მოუწოდებდა. პლენარულ სხდომაზე, სადაც ლორთქიფანიძემ ეს საკითხი წამოჭრა, მას იმ ცნობილი ნაციონალის გვარი არ დაუსახელებია, ვინც ასევე აქტიურად ფიგურირებდა 26 მაისის საქმეში. ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის დაკავების შემდეგ, დავით ლორთქიფანიძემ 26 მაისს დაღუპული სულიკო ასათიანის გვამის ექსპერტიზის რამდენიმე დეტალი გაასაჯაროა.

ეს საქმე, შესაძლოა, დაკავებული შს მინისტრის, ვანო მერაბიშვილის ბრალდების კიდევ ერთი ეპიზოდი გახდეს. ამის შესახებ პროკურატურამ მერაბიშვილის დაკავების დღესვე განაცხადა, თუმცა როგორც ირკვევა, ჯერჯერობით, 26 მაისის ღამის ბევრი მნიშვნელოვანი მოწმე დაკითხულიც არ არის, ხოლო დაღუპულთა გვამებიდან აღებული სინჯები ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, ნაციონალური ხელისუფლების ბრძანებითაა განადგურებული. ამ დროს პროკურატურა აცხადებს: **„ფაქტობრივად, დასრულებულია გამოძიება ეპიზოდზე, რომელიც შეეხება 26 მაისს. საპროტესტო აქციის დაშლის დროს, ივანე მერაბიშვილის უშუალო დავალებით, ორგანიზებითა და პირადი კონტროლით, საპოლიციო ქვედანაყოფების მიერ მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ ადგილი ჰქონდა აშკარად არათანაზომიერი, არაპროპორციული და გადაჭარბებული ძალის განზრახ გამოყენებას, რის შედეგადაც, გარდაიცვალა ორი და ჯანმრთელობის დაზიანებები მიიღო მრავალმა ადამიანმა“.**

ყველას ახსოვს 2011 წლის 26 მაისის ღამეს ორი ადამიანის — ნიკა კვინტრაძისა და სულიკო ასათიანის ტრაგიკულად დაღუპვის ამბავი. აქედან ასათიანის გვამის მდგომარეობის შესახებ დეპუტატი **დავით ლორთქიფანიძე,** როგორც თავად ირწმუნება, დეტალურ ინფორმაციას ფლობს, რაც გამოძიებამ მერაბიშვილის წინააღმდეგ უნდა გამოიყენოს. მისივე განცხადებით, ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ასათიანის ოჯახი გააქტიურდა და გვამის განმეორებითი ექსპერტიზა მოითხოვა. ექსპერტიზა ჩატარდა, თუმცა დასკვნის მიხედვით, გარდაცვალების მიზეზები ვერ დგინდება, ხოლო პირველი ექსპერტიზის დროს, მიცვალებულის სხეულიდან აღებული ნიმუშები განადგურებულია! შესაბამისად, გარდაცვალების რეალური მიზეზის დასადგენად ერთადერთი გზა მოწმეთა დაკითხვაა: **„მზად ვარ, გამოვცხადდე პროკურატურაში და მოწმის სახით მივცე ჩვენება. გამოძიებას სრულად არ დაუკითხავს იმ პირთა წრე, ვინც 26 მაისის მოვლენებსა და, უშუალოდ, დარბევაზე საინტერესო ინფორმაციას ფლობს. ახლო ურთიერთობა მქონდა დაღუპული სულიკო ასათიანის ოჯახთან, საუბარია მამაკაცზე, რომლის გვამი 2 დღის შემდეგ, ვითომ შემთხვევით, სუპერმარკეტის თავზე აღმოაჩინეს. პირველივე დღიდან ვიყავი ჩართული სულიკო ასათიანის საქმეში, რადგან ეს ადამიანი, როგორც რამდენიმე ვანელი აქტივისტი, თავიდანვე აქტიურად მონაწილეობდა ნაციონალების წინააღმდეგ გამართულ აქციებში. გამაოგნებელი იყო ის, რომ მისი, ფაქტობრივად, გახრწნილი გვამი ოჯახს 29 მაისს გადასცეს, ხოლო მის დაკრძალვაზე 50-ზე მეტი ადამიანი არ მოვიდა, რადგან ადგილობრივმა პოლიციამ დააშინა. მაგალითად, მათი მეზობელი, ნაცმოძრაობის აქტივისტი გოჩა ფაიქიძე ყველას აფრთხილებდა, დაკრძალვაზე მისვლა არ გაებედათ და ხალხს ამისთვის ფულსაც ურიგებდა. ფაიქიძე ასახელებდა ვანის პოლიციის უფროსს, ვინმე კანდელაკს, ვისგანაც ოჯახის დაშინების დავალებას უშუალოდ იღებდა; გამოძიებას ისინი არ დაუკითხავს, არც მე ვარ დაკითხული და კვლავინდებურად ვითხოვ გამოძიებასთან შეხვედრას — შემიძლია, პროკურატურას საინტერესო ინფორმაცია მივაწოდო!“**

ლორთქიფანიძის თქმით, ასათიანის ოჯახს, მისი დაღუპვის მიზეზად, ელექტროენერგიის ჯიხურში ყოფნა და დენის დარტყმა გამოუცხადეს, მან კი თავად დაათვალიერა ასათიანის დასახიჩრებული გვამი:

„ასათიანის ცხედარს ძალადობის ნიშნები ეტყობოდა — მარცხენა თვალი ჩავარდნილი, ყელი გამოღადრული, მარცხენა ხელიც მძიმედ დაშავებული ჰქონდა. ამ ყველაფერს, ჩემთან ერთად, დაადასტურებენ ის ადამიანები, ვინც გვამი გააპატიოსნეს — ხავთასი და ადეიშვილი! ზეწოლაში მაშინ აქტიურობდა პარლამენტის ახლანდელი წევრი, ნაციონალი პაატა ლეჟავა, რომელიც ამბის მიჩქმალვით იყო დაინტერესებული. 2011 წელს ოჯახს არანაირი საექსპერტო დასკვნა არ უნახავს, გვამის პათანატომიური გაკვეთის შემდეგ, ხოლო როცა ალტერნატიული ექსპერტიზა მოითხოვეს, ამოიღეს მიცვალებული საფლავიდან, წაიღეს ქუთაისში, ჩაუტარეს ეგსჰუმაცია და დაიდო დასკვნა, რომლის შესაბამისად, ასათიანის გარდაცვალების მიზეზი ვერ დგინდება. ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი ნორმით, პათანატომიური დასკვნა 1 წელიწადში ნადგურდება და სამწუხაროდ, დღეს მისი გამოყენება შეუძლებელია!“

„ვერსიამ“ „ოცნების“ დეპუტატს, **დავით ლორთქიფანიძეს** რამდენიმე კითხვა დაუსვა, რადგან სახარბიელოდ არც 26 მაისის ეპიზოდის გამოძიება მიმდინარეობს და საქმეში როგორც ძველი, ისე ახალი ხელისუფლების რამდენიმე წევრის ჩვენებაც არ ჩანს:

— 26 მაისის აქციების დროს, ნაციონალური მოძრაობის ყველა დეპუტატს აღებული ჰქონდა ვალდებულება ეკონტროლებინა, მისი რაიონიდან ვინ მონაწილეობდა მაისის აქციებში, მერწმუნეთ, აუტკივარ თავს არავინ აიტკიებდა, რომ არა დავალება ზემდგომებისგან. უნდა დაიკითხოს ყველა ეს პირი და დანაშაულებრივი ჯაჭვი აუცილებლად მივა ვანო მერაბიშვილამდე! მე სახალხო კრებასთან არანაირი კავშირი არ მქონია, არც წევრი ვყოფილვარ, უბრალოდ, ვიყავი აქტიური მოქალაქე და რამდენიმე ვანელთან ერთად, ჩემს პოზიციას ვაფიქსირებდი. რუსთაველის გამზირზე ვიყავი 26 მაისს, მერე რესპუბლიკურ საავადმყოფოშიც გახლდით დაზარალებულებისა და დაჭრილების მისახედად.

— თქვენ, როგორც აქციის მონაწილე, დაკითხული რატომ არ ხართ?

— არ ვიცი! ჯერ კიდევ სააკაშვილის ხელისუფლების დროს, 1 წლის წინ განვაცხადე, რომ მზად ვიყავი გამოძიებასთან სათანამშრომლოდ, ახლაც კი არავის დაუკითხივარ, თუმცა გამოძიება არ დასრულებულა და თუ არ დამიბარებენ, ჩემი ინიციატივით მივალ გამომძიებელთან!

— ერთ-ერთი ხელმოსაჭიდი ამ ეპიზოდში, მერაბიშვილის წინააღმდეგ ისაა, რომ მან უშუალოდ გასცა 26 მაისის აქციის დარბევის ბრძანება, ამის დასამტკიცებლად გამოძიებას თუ აქვს რამე?

— შს საქმეთა ყოფილ მინისტრს რა ბრძანება ჰქონდა გაცემული, ვერ გეტყვით, ვიცი ის, რომ შს სამინისტრო გასამხედროებული სტრუქტურაა, სადაც მთელი ვერტიკალი მინისტრს ემორჩილება და საკუთარი ინიციატივით არავინ მოქმედებს!

— ანუ ვანის პოლიციის ექსუფროსი რომ დაკითხონ, იტყვის, რომ დაღუპულის ოჯახზე ზეწოლას მერაბიშვილი აიძულებდა?

— ვანის მაშინდელი პოლიციის უფროსი უნდა დაიკითხოს და მან უნდა აღიაროს, ვისი ბრძანებით ემუქრებოდა ასათიანის ოჯახს ტექსტით — გაჩერდით, თორემ მე შემექმნება პრობლემებიო! ჩემი ინფორმაციით, ოჯახი აცხადებს, რომ მათთან დადიოდა ნაციონალი დეპუტატი, ვანის მაჟორიტარი პაატა ლეჟავა და ვარდოსანიძე, იმერეთის უშიშროების მაღალჩინოსანი, რომელიც თითოეულ წევრზე ზეწოლას ახდენდა! ვიცი ისიც, რომ ოჯახს ასობით ათასი დოლარი შესთავაზეს, მაგრამ ეს თანხა არ აუღიათ. პირდაპირ ვიტყვი, ამ ეპიზოდზე მერაბიშვილს ბრალი რომ არ წაუყენონ ან გირაოთი გამოუშვან, მოსახლეობაში ეს უდიდეს აღშფოთებას გამოიწვევს!

ფარული ჩანაწერები შსს-ს სერვერზე მიერთებული ვიდეოთვალით, ვანო მერაბიშვილის ბრძანებით დამზადდა!

რატომ უნდა გაუქმდეს ყოფილი შს მინისტრის ბრძანება?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

მედიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, ხელისუფლებასთან ერთად, აქტიურად განიხილავენ საკითხს — როგორ უნდა მოიქცეს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელსაც სხვისი პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების საკმაოდ დიდი არქივი, აწ უკვე დაპატიმრებული წინამორბედისგან „მემკვიდრეობად“ ერგო. ყველა თანხმდება, რომ ირაკლი ღარიბაშვილის უწყებამ ფარული ჩანაწერები უნდა გაანადგუროს და ამის საწინააღმდეგო არც თავად შს მინისტრს აქვს. სამწუხაროდ, მხოლოდ ფარული ჩანაწერების განადგურება პრობლემას ვერ აღმოფხვრის. მთავარია, შს ექსმინისტრის, ვანო მერაბიშვილის ის ბრძანება გაუქმდეს, რომლითაც საქართველოში ტოტალური კონტროლი და შსს-ს ცენტრალურ სერვერთან „გლობალური წვდომა“ დაკანონდა.

2010 წლის ზაფხულის მიწურულს, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებული სასტუმროების მფლობელებს, შენობის გარეპერიმეტრზე სპეციალური ვიდეოთვალის დამონტაჟება მოსთხოვეს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ სერვერთან „გლობალურ წვდომაში“ უნდა ყოფილიყო. მანამდე, ასეთი ვიდეოთვალი აფთიაქებსა და კაზინოებშიც დაამონტაჟეს. ხვდებით, ალბათ, რომ ამ გადაწყვეტილების ავტორი საქართველოს შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრი ვანო მერაბიშვილი იყო. მინისტრის ბრძანება ძალაში 2011 წლის 15 იანვრიდან შევიდა. „ვერსიაში“ კი ამ თემაზე ჯერ კიდევ 2010 წლის შემოდგომით ვწერდით, იქამდე, ვიდრე მინისტრის ბრძანება ოფიციალურად შევიდოდა ძალაში.

ვანო მერაბიშვილის ბრძანება ვიდეომეთვალყურეობის სისტემების დამონტაჟებას ეხებოდა. აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშების ორგანიზატორები ვალდებულები იყვნენ, ისეთი ტექნიკური საშუალებები დაემონტაჟებინათ, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ჩაწერილი ინფორმაციის გადატანას ინფორმაციის ელექტრონულ მატარებელზე (CD-ზე, ჩიპზე და ასე შემდეგ) გამოსახულების ხარისხის დანაკარგის გარეშე. გარდა ამისა, თუ აქამდე კამერის ჩაწერის ხარისხში ვიდეოგარჩევადობა 640x480 პიქსელი უნდა ყოფილიყო, ახლა ჩანაწერის გარჩევადობა არანაკლებ 3 მეგაპიქსელი — 2048x1536 უნდა იყოს, ხოლო დღეღამის რეჟიმში განხორციელებული ჩანაწერი ადამიანის (ობიექტის) ზუსტი იდენტიფიცირების საშუალებას უნდა იძლეოდეს. სავალდებულოა, რომ ვიდეოთვალთვალის აპარატურას ISO სერტიფიკატი ჰქონდეს.

მნიშვნელოვანია, რომ ვიდეომეთვალყურეობის სისტემა კაზინოში იმ ადგილზე უნდა დაემონტაჟებინათ, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო შეარჩევდა, ხოლო დისტანციური მონიტორინგის განხორციელების მიზნით, აზარტული და მომგებიანი თამაშების ორგანიზატორი ვალდებული იყო, გარეპერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის სისტემა, გლობალურ ქსელთან მიეერთებინა. გარდა ამისა, ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟებასთან დაკავშირებით, მფლობელსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის შესაბამისი აქტიც გაფორმდებოდა.

მართალია, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებაში სასტუმროს მფლობელების ვალდებულებები განსაზღვრული არ იყო, მაგრამ როგორც „ვერსიამ“ მაშინ გაარკვია, ეს ბრძანება სასტუმროების მფლობელებსაც ეხებოდა. ფაქტია, რომ სპეციალური ექსპერტიზის გარეშე, სასამართლოში ვიდეო და აუდიოჩანაწერი ნივთმტკიცებად არ ითვლება. ჯერ კიდევ სამი წლის წინ ვწერდით, რომ ამ ტიპის ჩანაწერებს შანტაჟისთვის გამოიყენებდნენ, რადგან სასტუმროში დამონტაჟებული ვიდეოთვალი სწორედ შსს-ს ცენტრალურ სერვერზე იყო მიერთებული.

გასაგებია, რომ აფთიაქებში ვიდეოთვალის დამონტაჟება აუცილებელი იყო, რადგან ნარკოტიკული საშუალებების რეალიზების ფაქტები შემცირებულიყო, ამ ტიპის ვიდეოთვალი კაზინოებშიც აუცილებელია, რადგან ყოველთვის არსებობდა ეჭვი, რომ იქ ფულს ათეთრებენ, მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, სასტუმროში ვიდეოთვალის დამონტაჟება აშკარად „ნოუ-ჰაუ“ იყო ქართულ სინამდვილეში. სამი წლის წინანდელ სტატიაში, „ვერსიამ“ ორი მარტივი კითხვა დასვა, რომლებიც დღეს განსაკუთრებით აქტუალურია: რატომ არ არსებობს ამ ქვეყანაში კონფიდენციალური ინფორმაციის ცნება და რატომ არ შეიძლება, ნებისმიერი პირის პირადი ცხოვრება დაცული იყოს?

„მოდი, ცოტა ხნით თავი დავანებოთ უხამსი მაგალითების მოყვანას და ერთი წუთით წარმოვიდგინოთ — ადამიანი, რომელიც სასტუმროში მიდის, ბიზნესმენია. დავუშვათ, რომელიმე უცხოურ კომპანიასთან აწარმოებს მოლაპარაკებას, რომლის წარმომადგენელი იმ სასტუმროში დაბინავდა, სადაც ბიზნესმენი თავის სავარაუდო პარტნიორს უნდა შეხვდეს. რა გარანტია არსებობს, რომ შსს-ს „გლობალური“ თვალთვალის შედეგად, სასტუმროს მფლობელი ან ის, ვინც თვალთვალს აწარმოებს, ამ ინფორმაციას ბიზნესმენის კონკურენტს არ მიაწვდის და გარიგებას არ ჩაშლის? დავუშვათ, სხვა ბიზნესმენი სასტუმროში თავის პარტნიორს ხვდება, სადაც ხელშეკრულება უნდა გააფორმოს, ასეთ შემთხვევაში, მისი კომერციული საიდუმლო არ გამჟღავნდება? უხამს მაგალითებს თავი დავანებოთ-თქო, მაგრამ ამის გარეშეც არ გამოდის. შევეცდები, ერთი მაგალითი, მაქსიმალურად დელიკატურად აღვწერო: დავუშვათ, რომელიმე პოლიტიკოსი აპირებს, სასტუმროში არც ისე დელიკატური „ვიკ ენდი“, საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან მოიწყოს. შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამონტაჟებული ვიდეოთვალი კი კარგს რომ არაფერს დააკვირდება, ამას დიდი ფილოსოფია არ სჭირდება. ახლა ამ ყველაფერს ისიც დაუმატეთ, რომ წინ 2013 წლის არჩევნებია და ყველაფერი ცხადზე უცხადესია — წინასაარჩევნო კამპანიისთვის ნიადაგი მზადდება. მზადება დიდი ხანია დაიწყო, მაგრამ ამ ბრძანებით, აშკარაა, რომ პოლიტიკური კომპრომატების ომი ახალ ფაზაში გადავა. კაციშვილმა არ იცის, ვის, როდის და რა ჩანაწერს აუფრიალებენ 2013 წელს“, — ვწერდით „ვერსიაში“.

სამი წლის წინანდელ სტატიაში, მაშინდელი ვითარების შეფასება „ვერსიამ“ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **ემზარ ჯგერენაიას** სთხოვა, რომელმაც განგვიცხადა, რომ არც ერთი უცხოელი ინვესტორი არ დაამონტაჟებდა ამ ტიპის ვიდეოთვალს სასტუმროში, რომელიც „გლობალურ წვდომაში“ იქნებოდა შსს-ს სერვერთან: **„ფაქტია, არავინ იცის, ზოგი სასტუმროს მფლობელი რას აკეთებს და რაშია შემჩნეული. შესაძლოა, ეჭვი აქვს ვინმეს, რომ ეს სასტუმრო კი არა, ბორდელია, მაშინ ასეთი გადაწყვეტილება გასაგებია. მოდი, სერიოზულად შევხედოთ ამ ყველაფერს, როგორც კი კამერებს დააყენებენ და ეს ინფორმაცია ოფიციალურად გავრცელდება, ეს ბრძანება აზრს დაკარგავს, რადგან იმ სასტუმროში აღარავინ შევა. კომპრომატების მოძებნა რომ უნდოდეთ, აშკარად კი არ გააკეთებენ ამას, ისე იმოქმედებენ, კაციშვილი ვერ შეამჩნევს ვერაფერს. ვინმეს თვალთვალი რომ უნდოდეთ, ამისთვის სულაც არ სჭირდებათ განსაკუთრებული კამერების დაყენება და ხელშეკრულების გაფორმება. მაგალითად, კაზინოს შემთხვევაში, გარკვეული ეჭვი არსებობს, რომ იქ ფულს ათეთრებენ, მაგრამ კაზინოში უკვე არის კამერები. ამ ბრძანების შემდეგ, შესაძლოა, ისე დაფრთხეს ადამიანი, რომ კაზინოშიც არ შევიდეს.**

დასასრული მე-10 გვერდზე

ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის გამოვლენის მიზნით, უწყებათაშორისი ჯგუფი შეიქმნება

თბილისის საერთაშორისო აეროპორტის საბაჟო გამშვები პუნქტის ბაზაზე, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების უკანონო ბრუნვის გამოვლენის მიზნით, უწყებათაშორისი ჯგუფი შეიქმნება.

შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, ჯგუფის შექმნას თანამშრომლობის მემორანდუმი ითვალისწინებს, რომელიც შემოსავლების სამსახურსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოს შორის 22 მაისს გაფორმდა.

მემორანდუმი, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად, ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების უკანონო ბრუნვის გამოვლენის მიზნით შეიმუშავეს. დანაყოფში საქართველო-აშშ-ის თანამშრომლობით გაწვრთნილი ძაღლებიც იქნებიან.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ხელი მოაწერეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელმა პირებმა.

„ინტერპრესნიუსი“

სარფის საბაჟოზე იარაღი აღმოაჩინეს

სარფის საბაჟოზე იარაღი აღმოაჩინეს. ამის შესახებ ინფორმაცია შემოსავლების სამსახურმა გაავრცელა. „სარფის“ საბაჟო გამშვები პუნქტის კონტროლის ზონაში თურქეთიდან VOLKSWAGEN TRANSPORTER-ის მარკის მინივენით, თურქეთის მოქალაქე მესუტ კ. 22 მაისს შემოვიდა. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა ავტომანქანის დათვალიერებისას, სალონის წინა მარჯვენა სავარძელთან მოთავსებულ ე.წ. ხალიჩის ქვეშ აღმოაჩინეს ცეცხლსასროლი იარაღი მარკით: SARSILMAZ T1102-04B007937 — 9-მილიმეტრიანი, 3 მჭიდითა და 39 ცალი საბრძოლო ვაზნით.

შემოსავლების სამსახურის ცნობით, საქმის მასალები შემდგომი რეაგირებისათვის შესაბამის უწყებას გადაეცა.

„ინტერპრესნიუსი“

წითელ ხიდზე ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი პრეპარატების შემომტანები დააკავეს



წითელ ხიდზე ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტების შემომტანები დააკავეს. TSAR-OK-ის ფირმის სამგზავრო ავტობუსი საქართველოში წითელი ხიდის საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით აზერბაიჯანიდან შემოვიდა.

სატრანსპორტო საშუალებას თურქეთის მოქალაქე ემირ მ. მართავდა. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა ეჭვის საფუძველზე, ავტობუსი და მგზავრები დეტალურად დაათვალიერეს.

ბარგის დათვალიერების შედეგად, საბარგულში არსებულ ერთ-ერთ მუყაოს ყუთში 80 აბი ნარკოტიკული საშუალება OPIUM, 80 აბი ფსიქოტროპული საშუალება NUX-VOMICA და 60 აბი ფსიქოტროპული საშუალება KETILEPT აღმოაჩინეს.

საქმის მასალები შემდგომი რეაგირებისთვის შსს-ს კრიმინალურ პოლიციას გადაეცა.

„ინტერპრესნიუსი“

მერაბ ბერიძე

პრეზიდენტის პარტია საპრეზიდენტო არჩევნებამდე დაიშლება?

„ნაცმოძრაობის დაცემა კლასიკური სქემით ხდება, რომლითაც მაფიოზური ორგანიზაციები იშლებიან. პარტიაში მიდის ბრძოლა კლანებს შორის“

ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის დაპატიმრება თანაგუნდელებმა უკვე შეაფასეს „რევანშად“ და ნაცმოძრაობის დისკრედიტაციად. ამ ფაქტმა ბევრი დაარწმუნა, რომ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხებულ ნაცმოძრაობას მზის ქვეშ არსებობისთვის რთული ბრძოლა მოუწევს. ექსპერტები პარტიას უკვე დიდი ხანია, პოლიტიკურ აღსასრულს უწინასწარმეტყველებენ.
პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ ერთიან ნაციონალურ მოძრაობას დაშლა-დანაწევრება შიდაპარტიული დაპირისპირების გამო ელის. ხოლო ექსპერტები — კახა კახიშვილი და ნიკა ჩიტაძე ამბობენ, რომ პარტია მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დაიშლება. ასეა თუ ისე, პოლიტოლოგების ლამის აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ „ხერხემალში გადატეხილი“ ნაცმოძრაობის საბოლოო დანაწევრება დროის საკითხია. პროცესი კი უკვე დაწყებულია.

ბოლო დროს, ნაციონალური მოძრაობა დატოვეს პარლამენტისა და საკრებულოს, ასევე პარტიის რიგითმა წევრებმა. დეპუტატ მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, ეს პროცესი „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების ზეწოლას უკავშირდება. ამასთან, პარტია საკუთარ რიგებში ახალ აქტივისტებს იწვევს და დაშლის შესაძლებლობას კატეგორიულად უარყოფს.

ნაცმოძრაობის რიგები თერთმეტმა დეპუტატმა დატოვა: ექვსმა „უპარტიო მაჟორიტარი დეპუტატების“ ფრაქცია შექმნა, ხუთი ფრაქციის გარეშეა. ამჟამად, პარტიას პარლამენტში 53 წარმომადგენელი ჰყავს, ხოლო „ქართულ ოცნებას“ – 86.

„პოლიტტექნოლოგიებისა და არჩევნების კვლევითი ცენტრის“ ხელმძღვანელი **კახა კახიშვილი** მიიჩნევს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ამ დროისთვის, პარტია შეკრულია და მთელი ძალისხმევა საპრეზიდენტო არჩევნებზე მეორე ადგილის დაკავებისკენაა მიმართული: **„თუ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა დაიშალა, ეს იქნება საერთო ინტერესებით გაკეთებული ტაქტიკური სვლა, მათ შორის ამომრჩევლების შენარჩუნებისთვის, რადგან არჩევნების წინ პოლიტიკური პარტიებისთვის ალიანსებისა და კოალიციების შექმნა დამახასიათებელია“.** მისივე თქმით, სხვა პარტიებს შეიძლება, არ სურდეთ ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთ წევრთან თანამშრომლობა, მაგრამ თუ ცალკე პოლიტიკურ პარტიად მოგვევლინებიან, ეს პარტიები ნაცმოძრაობის დარჩენილ ნაწილთან ალიანსში შესვლას მოისურვებენ.

პოლიტოლოგი **სოსო ცისკარიშვილი** ამბობს, რომ ნაცმოძრაობის დაშლა ცალკეულ დაჯგუფებებს შორის შიდაპარტიული ბრძოლების შედეგად შეიძლება მოხდეს: **„ნაცმოძრაობის დაცემა კლასიკური სქემით ხდება, რომლის მიხედვითაც მაფიოზური ორგანიზაციები იშლებიან. პარტიაში მიდის ბრძოლა კლანებს შორის, რომლებიც ხელისუფლებაში ყოფნისას, თანაარსებობას ახერხებდნენ, რადგან გავლენისა და მოღვაწეობის სფეროები გადანაწილებული ჰქონდათ“.**

ცისკარიშვილის თქმით, ამჟამად, პარტიის შიგნით დაპირისპირებაა დაკავებული ექსპრემიერის, ვანო მერაბიშვილის, ასევე დაკავებული ბაჩო ახალაიასა და კრიმინალური პოლიციის ხელმძღვანელის, ირაკლი კოდუას მომხრეებს შორის. ნაციონალურ მოძრაობაში შიდაპარტიულ დაპირისპირებაზე საუბრობს საერთაშორისო უსაფრთხოების კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი ნიკა ჩიტაძეც, თუმცა დარწმუნებულია, რომ პარტია მთლიანობას ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებამდე შეინარჩუნებს. მანამდე კი, ჩიტაძე არ გამორიცხავს პარტიიდან დეპუტატების „გადინების“ პროცესის გაგრძელებას. მისივე აზრით, ძლიერი ოპოზიციის შენარჩუნება საქართველოს ხელისუფლების ინტერესებშია, რადგან მას „სჭირდება ძლიერი ოპოზიცია, იმისგან დამოუკიდებლად, ეს რომელი პოლიტიკური ძალაა“.

თავის მხრივ, ქართული პოლიტიკის ვეტერანი **ნოდარ ნათაძე** ამბობს, რომ **„დღეისთვის, ერთი ფაქტორი გარკვეულია, ნაციონალები ყველა კამათს მშრალი ანგარიშით უგებენ ივანიშვილის ხალხს, პროცესზე გარე ფაქტორებიც მოქმედებს — ნაციონალები რუსეთის აგენტურაა, რაც დასავლეთმა იცის, მაგრამ ამ პოლიტიკურ ძალას მხარს უჭერენ მათთვის უფრო მისაღები კანდიდატურის გამოჩენამდე; ივანიშვილს კი, რაც უნდა იფიცოს, დასავლეთი მხარს არ უჭერს. იციან, რომ ისიც რუსულ თამაშს თამაშობს. ყოველივე იმის მიხედვით გადაწყდება, ნახავენ თუ არა სააკაშვილისა და ნაციონალების რეალურ შემცვლელს, რომელიც ისევე იქნება კონტროლირებადი, როგორიც რუსეთის აგენტი სააკაშვილი“.**

ამ ფონზე, ნათაძე იმედოვნებს, რომ დასავლეთის არჩევანი სალომე ზურაბიშვილზე შეჩერდება: **„სააკაშვილი დროში ძალიან შეზღუდული პერსპექტივის წინაშე იმყოფება, ის და ე.წ ნაციონალები პოლიტიკური ცხოვრებიდან მალე შარშანდელი თოვლივით გაქრებიან. რატომ უჭერს დასავლეთი მხარს სააკაშვილს? ამაზე პასუხი ნამდვილი ტრაგედიაა. სააკაშვილს შეუზღუდველად ახასიათებს ის, რომ ფსიქოლოგიურად, ორგანიზაციულად... მზადაა, საქართველო ყველა პარამეტრში ანგრიოს, რაც მსოფლიო პოლიტიკის მმართველ სუბიექტებში, სამწუხაროდ, პლუსად მიიჩნევა. ქართველების ყველაზე მძიმე და სასწრაფო ამოცანაა, ჩვენს მეგობარ და ბუნებრივ მოკავშირე დასავლეთს ამ დამოკიდებულებაზე ხელი ავაღებინოთ და ჩვენ ეს შეგვიძლია.**

სალომე ზურაბიშვილი, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი, ყველას დაფერთხავს ისე, რომ მათგან ბუნდღა არ დარჩება“.

ოქტომბერში საქართველოს ახალი პრეზიდენტი ეყოლება. ემოციების დრო აღარ არის და არჩევანი ცივი გონებით უნდა გავაკეთოთ. ურთულეს სამეზობლოსა და სამყაროში დანაკარგის გარეშე პოლიტიკაა გასატარებელი. ნაციონალურმა მოძრაობამ გარკვეულ სიკეთესთან ერთად, ქვეყანას ტერიტორიის 20% დააკარგვინა და პოლიტიკურ ჩიხში შეიყვანა. პოლიტიკურმა ძალებმა მოსახლეობისთვის საკუთარი თავის შესათავაზებლად მორალური უფლება უნდა მოიპოვონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, არჩევანი არ გაჭირდება და ზოგიერთებს ისტორიის სანაგვე არ ასცდება.

პრობლემა

ფარული ჩანაწერები შსს-ს სერვერზე მიერთებული ვიდეოთვალით, ვანო მერაბიშვილის ბრძანებით დამზადდა!

მე-9 გვერდიდან

რაც შეეხება იმ სასტუმროს, რომელზეც ინფორმაცია მოგაწოდეს და რომლის მფლობელსაც ვიდეოთვალის დამონტაჟება აიძულეს, უნდა ვიცოდეთ, კონკრეტულად, რომელი სასტუმროა და რატომ მოსთხოვეს კამერის დამონტაჟება, თუმცა ბათუმის „ინტურისტს“ რომ არ მოსთხოვდნენ, ზუსტად ვიცი. ისე, ზოგი, ერთსაათიანი სასტუმრო რომ მართლაც საეჭვოდ მოქმედებს, ესეც ფაქტია“.

გლობალური ვიდეოთვალთვალის ბუმი, სამი წლის დიდი მითქმა-მოთქმისა და, გარკვეულწილად, შიშის საფუძველიც კი გახდა. აფთიაქებს, კაზინოებსა და სასტუმროებს სულ მალე, სავალუტო ჯიხურები, ტოტალიზატორები და სლოტ-კლუბებიც მიუმატეს. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ შსს-ს სერვერზე მიერთებული ვიდეოთვალი უკვე კომერციულ ბანკებში დაამონტაჟეს. „ვერსია“ ამ თემას კიდევ ერთხელ მაშინ მიუბრუნდა, როდესაც ვანო მერაბიშვილის ბრძანება ძალაში შევიდა. დავინტერესდით, კონკრეტულად რა საკანონმდებლო ცვლილება ან კანონი დაედო საფუძვლად ვანო მერაბიშვილის ბრძანებას, რომელიც 2011 წლის 15 იანვრიდან შევიდა ძალაში? რა ეწერა კანონის განმარტებით ბარათში? „ვერსიას“ ამ თემაზე **ბია ხუროშვილი** ესაუბრა, რომელიც მაშინ მთავრობის საპარლამენტო მდივანი იყო:

„ეს არის ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის დებულება, რომლის მიხედვით, დღეს უკვე მოქმედი კანონის თანახმად, შიდა და გარეპერიმეტრზე უნდა მოქმედებდეს ვიდეომეთვალყურეობის სისტემა. ეს სისტემა გარკვეულ პარამეტრებს უნდა შეესაბამებოდეს და ექსპლუატაციის წესების დაცვით უნდა დამონტაჟდეს. ეს დღეს უკვე მოქმედი რეგულაციაა რამდენიმე დაწესებულებაში, მათ შორის, ტოტალიზატორებში, კაზინოებსა და სლოტ-კლუბებში, სადაც დანაშაულთა ძალიან დიდი პროცენტი სწორედ ამ ვიდეომეთვალყურეობის სისტემების საშუალებით გაიხსნა. რაც მთავარია, ეს დებულება ისე არ უნდა გავიგოთ, რომ მას მხოლოდ და მხოლოდ დანაშაულის გახსნის მნიშვნელობა აქვს, არამედ ეს არის პრევენციული ხასიათის. როდესაც ადამიანმა იცის, რომ მონიტორინგი ხორციელდება, ხშირ შემთხვევაში, ძალადობრივი ხასიათის დანაშაულის ჩადენისგან თავს შეიკავებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის ბრძანებით, იგივე რეგულაციები გავრცელდება ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში. რაც შეეხება აფთიაქებს, ამ სისტემის დამონტაჟების აუცილებლობას ორი მიზეზი აქვს, პირველი — რისკი, რომელიც არსებობს ფულთან დაკავშირებით და მეორე — თქვენ იცით, რომ წამლები ძალიან ხშირად დამნაშავეთა სამყაროს სამიზნეა და ეს არ ეხება მხოლოდ ფსიქოტროპულ საშუალებებს, წარმატებით მოიხმარენ სხვადასხვა შემადგენლობის სამკურნალო საშუალებებსაც, რაც ნარკომანების თავდასხმის მიზეზია. აქედან გამომდინარე, აფთიაქებიც რისკის ჯგუფს განეკუთვნება და, საზოგადოების უსაფრთხოების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ შიდა და გარეპერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემები დამონტაჟდეს“.

მართალია, გია ხუროშვილი დაჟინებით გვიმტკიცებდა, რომ მსგავსი ტიპის ვიდეოთვალი სასტუმროებში არავითარ შემთხვევაში არ დამონტაჟდება და ეს მხოლოდ ქალაქში გავრცელებული ჰიპერ-ჭორიაო, მაგრამ იქვე დასძინა, რომ ამ გადაწყვეტილების ამოსავალი წერტილი, საზოგადოების უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაა. გია ხუროშვილმა განგვიმარტა, რომ ვიდეოჩანაწერები, უშუალოდ, დაწესებულებებში შეინახებოდა და სხვა უწყებებს, ამ ჩანაწერებთან წვდომა არ ექნებოდათ, გარდა კანონით განსაზღვრული კონკრეტული შემთხვევებისა, როდესაც დანაშაულის ფაქტის დაფიქსირებისას, სამართალდამცავ უწყებას უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით, ჩანაწერი მტკიცებულების სახით გამოითხოვს.

წინა ხელისუფლების პირობებში, მთავრობა ამა თუ იმ გადაწყვეტილებას ისე შეაპარებდა საზოგადოებას, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილების გაპროტესტებას უკვე პოსტფაქტუმ აზრი არ ჰქონდა. შსს-ს ცენტრალურ სერვერთან „გლობალურ წვდომაში“ მიერთებული ვიდეოთვალი კი ჯერ აფთიაქებსა და კაზინოებში, შემდეგ — სასტუმროებში დანერგეს და მინისტრის ბრძანება მხოლოდ ამის შემდეგ აგვიფრიალეს. რაც მთავარია, ბრძანებაში სასტუმროები საეროდ არ იყო ნახსენები, მაგრამ ეს მაინც რიგითი, ტექნიკური უზუსტობაა და სხვა არაფერი.

ჩანს, ვანო მერაბიშვილის უწყებაში მართლაც გამოყვეს სპეციალური საშტატო ერთეული, რომელსაც სხვა საქმე არ ჰქონდა იმის გარდა, რომ 24 საათის განმავლობაში, მხოლოდ სასტუმროებს უნდა დაკვირვებოდა. დღეს უკვე გაირკვა და აშკარაა, რომ ამ ტიპის ფარული ჩანაწერები ერთმანეთზე არ გადაუბამთ, არც ფილმებად აუკინძავთ და არც რომელიმე ეროტიკულ საიტზე აუტვირთავთ — ფარული ჩანაწერები პოლიტიკური შანტაჟისთვის გამოიყენეს. არადა, რომელიმე კონკრეტული ჩინოვნიკის ან თუნდაც, რიგითი პოლიციელის ბრალეულობა კი არ იკვეთება, ყველაფერში „დამნაშავე“ ის ვიდეოთვალია, რომელიც შსს-ს ცენტრალურ სერვერზეა მიერთებული და, შესაბამისად, ძალოვანი უწყების წარმომადგენლები, სასტუმროებში განვითარებულ მოვლენებს, პარალელურ რეჟიმში ადევნებენ თვალ-ყურს.

„ფრთხილად იყავით, ხალხო, აქ „მაგთია!“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ემზარ ჯგერენაია, რომელიც ჟურნალის — „საქართველო და ეკონომიკა“ — გამომცემელია, კომპანია „მაგთის“ მონოპოლისტობაში ამხელს. რამდენიმე დღის წინ, მან ახალი ტელეფონი შეიძინა, თავისი სიმ-ბარათი განაახლა და ანგარიში 50 ლარით შეავსო. მეორე დღეს, ანგარიშიდან თანხა ჩამოაჭრეს. როცა ჯგერენაიამ „მაგთის“ ერთ-ერთ ოფისს მიმართა, ოპერატორმა გოგონამ აუხსნა — განახლებული სიმ-ბარათი ახალ ტელეფონში რომ გადაიტანეთ, პროგრამები ავტომატურად განახლდა და თანხაც ამიტომ ჩამოგეჭრათო...

რატომ მიიჩნევს „მაგთის“ ემზარ ჯგერენაია ბაზრის მონოპოლისტად და რას პასუხობენ კომპანიაში ექსპერტის ბრალდებებს?

15 წელზე მეტია, ემზარ ჯგერენაია „მაგთიკომის“ აბონენტია და 10 წელია, როუმინგით სარგებლობს, მაგრამ როგორც „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, მსგავსი პრობლემა ადრე არასდროს შექმნია. მისი თქმით, პრობლემა 2012 წლიდან, განსაკუთრებით კი 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ დაიწყო:

„მაგალითად, 2012 წლის გაზაფხულზე, ორი დღით ვიყავი თურქეთში. როუმინგი ჩართული მქონდა, მაგრამ არც ინტერნეტით მისარგებლია, არც ფოსტა შემიმოწმებია, არსად დამირეკავს და მესიჯიც კი არ გამიგზავნია. რომ დავბრუნდი, ტელეფონი გამეთიშა. მივედი „მაგთის“ ოფისში, სადაც მითხრეს, რომ 1 500-ლარიანი დავალიანება მქონდა, ოღონდ წესიერად ვერ ამიხსნეს, რის გამო დაგროვდა. ჩემს დავას „მაგთის“ წარმომადგენლებთან შედეგად ის მოჰყვა, რომ დავალიანება 6 თვით გადაავადეს და გრაფიკით გადავიხადე. დღემდე არ ვიცი, რატომ გადამახდევინეს ამხელა თანხა. მითხრეს, ტელეფონი ინტერნეტში უშენოდ ირთვებოდაო. თურმე „მაგთის“ ინტერნეტი, ფულს თავისით მაჭრიდა. იმის გამო, რომ ეს ნომერი ძალიან მჭირდება, იძულებული გავხდი, დავალიანება დამეფარა. დარწმუნებული ვარ, „მაგთი“ ასე მხოლოდ ბიზნესმენებს ექცევა. რიგით მოქალაქეებს, შესაძლოა, იმდენად მცირე თანხას აჭრის, რომ „მაგთის“ აბონენტები ამას ვერც კი ამჩნევენ“.

1 500-ლარიანი დავალიანება ნელ-ნელა კი დაფარა, მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, რამდენიმე დღის წინ, ჯგერენაიას ანგარიშიდან „მაგთიმ“ 50 ლარი მხოლოდ იმიტომ ჩამოაჭრა, რომ ახალ ტელეფონში პროგრამები ავტომატურად განახლდა. არადა, ამბობს, რომ არც ერთი პროგრამა არ გადმოუწერია და ტელეფონის საშუალებით, ინტერნეტშიც არ შესულა: **„გავოგნდი. არ მესმის, რას ნიშნავს ეს ყველაფერი. „მაგთის“ ვთხოვე, ჩაერთოთ ინტერნეტი. არც კი ვიცი, არსებობს თუ არა პროგრამების ავტომატურად განახლების ტარიფი. მხოლოდ ის ვიცი, რომ გარკვეული მეგაბაიტები უნდა ვიყიდო, რათა სხვადასხვა პროგრამები გადმოვწერო. პირველად გავიგე, რომ უფასო პროგრამების განახლებაში ფული უნდა ჩამომაჭრან. არავის უთქვამს, რომ პროგრამის განახლებას 50 ლარი სჭირდება, თორემ ინტერნეტს საერთოდ არ ჩავრთავდი! საინტერესოა, რიგითმა მოქალაქემ პროგრამის განახლებაში 50 ლარი როგორ უნდა გადაიხადოს? ფრთხილად იყავით, ხალხო, აქ „მაგთია“, რადგან „მაგთი“ და ინტერნეტი საიდუმლო სამყაროა, რომელსაც ვერავინ შიფრავს! ამას აკეთებს კომპანია, რომელმაც მთავრობას უფასო კორპორატიული მომსახურება შესთავაზა, რაც ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევაა. ეს არის დემპინგის კლასიკური მაგალითი, როდესაც უფასოდ სთავაზობთ მთავრობას კორპორატიულ მომსახურებას და ამით ტენდერი მოიგეთ. რეალურად, „მაგთიმ“ კონკურენტ კომპანიებს ბაზარი დაუხურა. ნებისმიერი ეკონომისტი დაგიდასტურებთ, რომ უფასო მომსახურება საგადასახადო კანონმდებლობით ისჯება“.**

ემზარ ჯგერენაია ამბობს, რომ „მაგთიმ“ მოქალაქეებისა და სხვა ფირმებისგან იმ ფულის ამოღება დაიწყო, რის ხარჯზეც, მთავრობას უფასოდ ემსახურება. მისი თქმით, „მაგთი“ მონოპოლისტია და ამ ძალას ცუდად იყენებს. ტენდერმა, რომელიც „მაგთიმ“ მოიგო, სხვა კომპანიებმა ვერ მიიღეს მონაწილეობა და მათთვის ეს ბაზარი დაიხურა. ჯგერენაია ამბობს, რომ ამ ვითარებაში, ერთადერთი გამოსავალია, „მაგთის“ აბონენტებმა, საკუთარ ტელეფონებში ინტერნეტი გათიშონ. გარდა ამისა, კომპანიამ ტარიფები უნდა გამოაქვეყნოს, რათა მომხმარებელმა იცოდეს, რეალურად, რა ჯდება ესა თუ ის მომსახურება. რაც მთავარია, უნდა დადგინდეს, რატომ გაიმარჯვა კომპანიამ ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ ტენდერში ნულოვანი ტარიფით და რატომ უწევს უფასო კორპორატიულ მომსახურებას „მაგთიკომი“ ივანიშვილის მთავრობას?

„ვერსიამ“ ემზარ ჯგერენაია 22 მაისს ჩაწერა. ინტერვიუს დროს მან მესიჯი მიიღო, რომ მითითებული ნომრიდან (მაგთის აბონენტი) მის ანგარიშზე, 500 მეგაბაიტი გადმორიცხეს. ჯგერენაიამ მითითებულ ნომერზე დარეკა. „მაგთიკომის“ ერთ-ერთი ოპერატორის ნომერი აღმოჩნდა. „ვერსიამ“ ემზარ ჯგერენაიასა და ოპერატორის საუბარი ჩაიწერა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

ემზარ ჯგერენაია: — გამარჯობა. თქვენი ნომრიდან 500 მეგაბაიტი ჩამერიცხა. ეს რას ნიშნავს?

„მაგთის“ ოპერატორი: — მოითმინეთ... ბატონი ემზარი ბრძანდებით? „მაგთიკომის“ წარმომადგენლები ვართ და ამ ნომრიდან, თქვენთვის მეგაბაიტები შევიძინეთ. სათავო ოფისიდან დაგვირეკეს, რომ ანგარიშზე 50 ლარი უნდა დაგიბრუნდეთ.

ე. ჯ. — ჰო, მაგრამ 500 მეგაბაიტი დამიჯდა და ანგარიში შევსებული არ არის.

მ. ო. — ტექნიკური პროცესია. თანხა რომ დაჯდეს, 500 მეგაბაიტი უნდა გქონდეთ და ამიტომ შევიძინეთ თქვენთვის ეს 500 მეგაბაიტი.

ე. ჯ. — რატომ ჩამომაჭრეს 50 ლარი? თქვენს ტარიფებში ხომ არ წერია, რომ „აბდეითის“ გამო, ფული ჩამომეჭრებოდა?

მ. ო. — იმიტომ, რომ 1 მეგაბაიტის ღირებულება 70 თეთრია და სტანდარტული მეგაბაიტები საკმაოდ ძვირია. ვინაიდან, თქვენი მეგაბაიტების ვადა აქტიური არ იყო, ამიტომ ჩამოგეჭრათ. როგორც მითხრეს, თქვენს ნომერზე ხდება ეს ყველაფერი, მაგრამ კომპანიაში ამ პრობლემას აგვარებენ, რათა მომავალშიც იგივე მდგომარეობაში არ აღმოჩნდეთ. დღესვე დაგიბრუნდებათ თანხა და თან თქვენი ნომერიც დაიბლოკება, რომ მინუსებში აღარ გახვიდეთ. შემდგომში ეს გამოირიცხება, რადგან ინტერნეტ-სერვისი საერთოდ გაგეთიშებათ.

ე. ჯ. — ანუ გამოსავალი ისაა, რომ „მაგთის“ ინტერნეტით არ ვისარგებლო? გამოდის, კომპანია თავის პროდუქტზე უარს ამბობს?

მ. ო. — იცით, რა? გამოსავალი ისაა, რომ თუ ინტერნეტ-სერვისი მოგინდებათ, ისეთ პროგრამაში უნდა გადაიყვანოთ თქვენი ნომერი, რომ მსგავსი რამ აღარ მოხდეს. ჩვენ თვითონ გადავიყვანთ ამ პროგრამაში და როდესაც ინტერნეტ-სერვისის ჩართვა მოგინდებათ, შეეცადეთ, ყოველთვის გქონდეთ მეგაბაიტები.

„ვერსია“ კომპანია „მაგთის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, **ნინო სურგულაძეს** დაუკავშირდა, რომელმაც ემზარ ჯგერენაიას პრეტენზიასთან დაკავშირებით, საკმაოდ ვრცელი პასუხი გამოგვიგზავნა:

„იმის გამო, რომ „სმარტფონის“ მფლობელი აბონენტები, ზოგჯერ სათანადოდ ვერ ფლობენ თანამედროვე აპარატის ფუნქციებს და არ ითვალისწინებენ აღნიშნული ტელეფონების შესაძლებლობებს, უსაფუძვლო და უსამართლო პრეტენზიები უჩნდებათ მობილური ოპერატორების მიმართ. შესაბამისად, ცილისწამების მსხვერპლი ხდება მობილური ოპერატორი, რომლის კომპეტენციასა და სანდოობას, აბონენტის გაუფრთხილებლობის გამო, ზიანი ადგება. უფრო კონკრეტულად რომ განვმარტოთ, ახალი თაობის ტელეფონები ავტომატურად ახორციელებენ ინფორმაციის განახლებას აპარატში. ტელეფონი ისე უკავშირდება ინტერნეტს და ისე ტვირთავს გარკვეულ ინფორმაციას, რომ აბონენტმა ამაში, შესაძლოა, მონაწილეობა არ მიიღოს. შედეგად კი, დავალიანება უგროვდება. იმისთვის, რომ აბონენტმა თავიდან აიცილოს ინტერნეტის მოხმარებით გამოწვეული არასასურველი დავალიანება, აპარატში ფუნქცია cellular data Off-ზე უნდა დააყენოს. ინტერნეტ-როუმინგის შემთხევვაში კი Data Roaming უნდა გათიშოს, დააყენოს off-ზე მაშინ, როდესაც სერვისით არ სარგებლობს და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ჩართოს“.

ნინო სურგულაძის თქმით, „მაგთიკომი“ ფართო საზოგადოებას სრულ ინფორმაციას აწვდის, რათა მომხმარებლების ინტერესები დაიცვას. ეს ინფორმაცია კომპანიის ვებ-გვერდზეა განთავსებული და ნებისმიერი დაინტერესებული პირი ნახავს: **„კონკრეტულად, ბატონ ემზარს რაც შეეხება. მომხმარებელთა მომსახურებისა და ტექნიკურმა დეპარტამენტებმა, მრავალგზის განიხილა მისი შემთხვევა. ტექნიკური მოკვლევის შემდეგ დადგინდა, რომ ბატონ ემზარს გააქტიურებული ჰქონდა როუმინგული მომსახურება და მობილური ოპერატორი TurkCell-ის მომსახურებით სარგებლობდა. ამ პერიოდში, ბატონ ემზარს ჰქონდა BlackBerry-ს ტელეფონი. ამ ტიპის აპარატების ოპერაციული სისტემა, გარკვეული აპლიკაციების (რომელთა აქტივაციასაც ახდენს მომხმარებელი) სრულყოფილად მუშაობისთვის მოითხოვს ინტერნეტთან კავშირს, რასაც უზრუნველყოფს დამოუკიდებლად, მფლობელის ინიციატივის გარეშე. ფაქტია, ტელეფონმა უზრუნველყო ინტერნეტ-კავშირი. ბატონ ემზარს დაუგენერირდა ინტერნეტ-ტრაფიკი და შესაბამისად, დავალიანება გაჩნდა, რაც „მაგთიკომის“ დეტალურ ამონაწერშიც ჩანს, რომელიც „თურქელმა“ მოგვაწოდა. 2013 წლის 19 მაისს, ბატონმა ემზარმა, ნომრის ანგარიშზე 50 ლარი დარიცხა, რომელიც 21-22 მაისს, ინტერნეტის მოხმარებაზე დაეხარჯა. როგორც გაირკვა, სიმ-ბარათი ახალ აპარატში ჩადო, რამაც გამოიწვია გაუთვალისწინებელი ინტერნეტ-სერვისის მოხმარება და შესაბამისად, თანხის (50 ლარის) გახარჯვა. შესაძლოა, აპარატმა თვითონ განახორციელა ოპერატიული სისტემის განახლება ან შესაძლოა, აბონენტმა გაუცნობიერებლად გამოიყენა ინტერნეტი. კიდევ ერთხელ გვინდა, მივმართოთ მომხმარებელს და გავაფრთხილოთ, რომ მობილურ ოპერატორებში დამნაშავის ძებნის ნაცვლად, ასეთი ინციდენტების თავიდან ასაცილებლად, ტელეფონის აპარატის მენიუდან, როუმინგით სარგებლობის პერიოდში, მონაცემთა გადაცემის შესაძლებლობა შეზღუდონ. Mobile Network Options-ის შესაბამის პუნქტში, Data services while Roaming-ის Off პოზიციაზე დაყენებით, ტელეფონი ინტერნეტთან კავშირს მხოლოდ როუმინგული მომსახურების შემთხვევაში გაწყვეტს. რაც შეეხება ინტერნეტით სარგებლობას, ანალოგიურად დააყენონ cellular data Off-ზე, რათა გათიშონ ინტერნეტი, თუ არ აქვთ ინტერნეტით სარგებლობის სურვილი და უფრთხიან მისგან წარმოქმნილ დავალიანებას. თუმცა „მაგთიკომს“ ინტერნეტ-პაკეტების ფართო არჩევანი აქვს, თანაც შეღავათიანი პირობებით“.**

რაც შეეხება ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ ტენდერს, ნინო სურგულაძის თქმით, დაბალმა ფასებმა, მაღალმა ხარისხმა, დაფარვის უდიდესმა არეალმა, მოთხოვნილი სერვისების სრულად უზრუნველყოფამ და ტენდერის სამართლიანად ჩატარებამ, „მაგთიკომის“ გამარჯვება უზრუნველყო:

„ზოგადად, კორპორატიული და ფიზიკური პირებისთვის განკუთვნილი მომსახურება, ყოველთვის და ყველა ქვეყანაში განსხვავდება ერთმანეთისგან. კორპორატიული შეთავაზებების დროს, მსოფლიოში აპრობირებული ბიზნესის პრაქტიკაა, რომ გასათვალისწინებელია კონკრეტული ორგანიზაციისთვის შეთავაზებული მომსახურების მოცულობა და დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობა. სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულებისთვის შეთავაზებული პირობები, მნიშვნელოვანი დანაზოგია სახელმწიფოსთვის, თუმცა „მაგთიკომი“ ინდივიდუალურ ბაზარზეც მომხმარებლებს ფართო არჩევანს სთავაზობს არა მარტო ბრენდების, არამედ — შეღავათიანი სატარიფო გეგმების მხრივაც. მაგალითად, ბანის სატარიფო გეგმა — „ზერო +“, დიდად არ განსხვავდება სახელმწიფო ორგანიზაციებისთვის შეთავაზებული ტარიფებისგან. „ზერო +“-ის პირობებში, მომხმარებელი ზარის წამოწყების სანაცვლოდ, 0 თეთრად საუბრობს ქსელში“.

გამოხმაურება „ვერსიის“ სტატიაზე

მიმდინარე წლის 19 აპრილს გაზეთმა „ვერსიამ“ გამოაქვეყნა სტატია, სათაურით — „ბიზნესმენების სია, რომლებმაც ნაცმოძრაობა 13 მილიონით, ქართული ოცნება კი 4,5 მილიონით დააფინანსეს“. „ვინ აფინანსებდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს. ვინ არიან ის კერძო პირები თუ ბიზნესმენები, რომლებიც საპარლამენტო არჩევნებზე ნაციონალურ მოძრაობას ფულს ურიცხავდნენ, რა ბიზნესდივიდენდებს ფლობენ ისინი და რამდენი ჩაურიცხეს სააკაშვილის გუნდს საარჩევნოდ პოლიტიკურ ყულაბაში?...“ — ვკითხულობთ სტატიის შესავალ ნაწილში. როგორც ირკვევა, საგაზეთო მასალა მომზადებულია ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ახალ ანგარიშზე დაყრდნობით. სტატიაში ასევე მოცემულია „საზოგადოებისთვის ცნობადი ბიზნესმენების“ ჩამონათვალი და შემოწირულობები. „ნაციონალური მოძრაობის შემომწირველთა სიაშია ისეთი ცნობილი სახეები“, — წერს გაზეთი, როგორიცაა ლევან კაჭარავა („ტილიკა“), რომელსაც, თურმე, შემოწირულობის სახით, 60 000 ლარი გაუღია“. პროტესტი სწორედ ლევან კაჭარავასთან დაკავშირებულ ამ ინფორმაციის თაობაზე გაგვიჩნდა. შემწირველთა სიაში მართლაცაა დაფიქსირებული პიროვნება ლევან კაჭარავა, თუმცა ვაცხადებთ, რომ ის ნამდვილად არ გახლავთ ბიზნესმენი ლევან კაჭარავა, ცნობილი მეტსახელით „ტილიკა“, რადგან: სწორედ ნაციონალურმა მოძრაობამ, „შეკერილი“ ბრალდებების მეშვეობით, ლევან კაჭარავა აიძულა, საქართველო დაეტოვებინა. იგი სამი წლის განმავლობაში იმყოფებოდა ძებნაში და გახლდათ დევნის მსხვერპლი. მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის დამარცხების შემდეგ გახდა მისთვის შესაძლებელი საქართველოს საზღვრის გადმოკვეთა. შესაბამისად, გაზეთ „ვერსიაში“ მითითებული ინფორმაცია, ლევან კაჭარავას („ტილიკას“) მიერ ნაციონალური მოძრაობის დაფინანსებასთან დაკავშირებით, არ შეესაბამება სიმართლეს.

პატივისცემით, ირმა ჭკადუა, ლევან კაჭარავას ადვოკატი

სადახლოზე არადეკლარირებული ოქრო აღმოაჩინეს

სადახლოს საბაჟო-გამშვებ პუნქტზე არადეკლარირებული ოქრო აღმოაჩინეს. შემოსავლების სამსახურის ცნობით, აღნიშნული პუნქტის გავლით, სომხეთიდან საქართველოში სომხეთის მოქალაქე ნარა ს. შემოვიდა.

მან ფიზიკური პირის დეკლარაციაში მხოლოდ ძვირფასი ლითონების ნაწილი – 7 ბეჭედი, 2 წყვილი საყურე, 1 ჯვარი და 1 ყელსაბამი დააფიქსირა, თუმცა ბარგის, ხელბარგისა და მოქალაქის ფიზიკური დათვალიერების შედეგად, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის თანამშრომლებმა არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები – 7 ბეჭედი, 6 წყვილი საყურე, 7 კულონი, 4 ჯვარი და 3 ყელსაბამი აღმოაჩინეს.

არადეკლარირებული საქონელი თბილისის აეროპორტის ექსპერტიზის განყოფილების დასკვნის საფუძველზე 6726,59 ლარად შეფასდა.

შესაბამისად, სომხეთის მოქალაქე ნარა ს. საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილით დაჯარიმდა და სანქციის სახით 6726,59 ლარი შეეფარდა.

„ინტერპრესნიუსი“

ორმაგი მოქალაქეობის მსურველთათვის განმარტებები გაკეთდა

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელის, ლევან სამადაშვილის თქმით, სააგენტო აქტიურად მუშაობს საარჩევნო სიის გაუმჯობესებაზე და ამ მიზნით მუდმივად ახორციელებს მონაცემთა ბაზის ანალიზს. ამის შედეგად, სააგენტოსთვის ცნობილი გახდა, რომ მონაცემთა ბაზაში 24 000-მდე ისეთი ადამიანია, რომელთაც სხვა ქვეყნის მოქალაქეობა მიიღეს. აღნიშნული, კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს. კერძოდ, საქართველოს მოქალაქე, იმავდროულად, არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, გარდა კონსტიტუციით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევისა. ეს ის შემთხვევაა, როცა უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს პრეზიდენტი ანიჭებს ორმაგ მოქალაქეობას.

სამადაშვილის განმარტებით, საარჩევნო სიის სრულყოფის მიზნიდან გამომდინარე, სერვისების განვითარების სააგენტომ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება აღნიშნული პირებისთვის მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე. თუმცა, იმისთვის, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული მოქალაქეთა ინტერესები, ყველა მათგანს წინასწარ ეგზავნება შესაბამისი შეტყობინება მოსალოდნელი შედეგების თაობაზე.

სააგენტოს ხელმძღვანელობა განუმარტავს ყველა ამ ადამიანს ჩაერთონ საქმის წარმოებაში და სურვილის შემთხვევაში, მიმართონ სერვისების განვითარების სააგენტოს ორმაგი მოქალაქეობის მინიჭების თხოვნით. სააგენტოს მიერ მოხდება უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების მიზანშეწონილობის შეფასება, რის შემდეგაც, დასკვნა გადაეგზავნება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, გამოიცემა პრეზიდენტის ბრძანებულება.

უცხო ქვეყნის მოქალაქემ, რომელსაც სურს ამავდროულად გააჩნდეს საქართველოს მოქალაქეობაც, განცხადებით უნდა მიმართოს სერვისების განვითარების სააგენტოს. საქართველოს პრეზიდენტის სახელზე წარდგენილ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს: უცხო ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ორი ფიზიკური პირის რეკომენდაცია; ორი ფოტოსურათი და დაბადების მოწმობის ასლი თუ მოქალაქეობის მიღების მსურველი პირი დაბადებულია საზღვარგარეთ და აქვს აღნიშნული დოკუმენტი. საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხის განხილვისთვის მოქმედებს კანონით დადგენილია სამთვიანი ვადა.

„ინტერპრესნიუსი“

„ბატონო ბიძინა, კულტურის სამინისტროში იმაზე მეტი დომხალი და კრიმინალია, ვიდრე სოფლის მეურნეობის სამინისტროში იყო“

რატომ უპირისპირდება გურამ ოდიშარიას პოეტი ვაჟა ოთარაშვილი

ეროსუდან შელია
557-100-768

კულტურის სამინისტროს მიერ ჩატარებულ ტენდერს კრიმინალურ მაქინაციას უწოდებს და მინისტრ გურამ ოდიშარიას ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასი ათასი ლარის მერკანტილური მიზნებით ხარჯვაში ადანაშაულებს. პოეტი ვაჟა ოთარაშვილი ტენდერის შედეგების გასაჯაროებას ითხოვს და პრემიერ ბიძინა ივანიშვილს კულტურის სამინისტროში არსებული ვითარებით დაინტერესებას ურჩევს.

— 2006 წლის პირველი იანვრიდან, პატრიარქის ლოცვა-კურთხევითა და კლასიკოსი მწერლების, ჭაბუა ამირეჯიბისა და ოტია იოსელიანის მილოცვით, ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოცემა დაიწყო. მსგავსი ტიპის ჟურნალი საბჭოურ პერიოდშიც არსებობდა, თუმცა კეთილი ადამიანების დახმარებით, ხანაც საკუთარი სახსრებით, ჟურნალი აღვადგინე. რაც მთავარია, „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ ქართული კულტურის კორიფეების — ჭაბუა ამირეჯიბის, გურამ დოჩანაშვილის, რობერტ სტურუას, ოთარ მეღვინეთუხუცესის, ანა კალანდაძის, ოთარ ჭილაძის, რევაზ ინანიშვილის... წერილები იბეჭდებოდა. ყველა ნომერი სხვადასხვა თაობის ქართველი მხატვრების ნამუშევრებით იყო გაფორმებული. რაც მთავარია, გვერდების უმეტესობა ახალგაზრდა თაობას ეთმობოდა, ანუ ჟურნალი ძველ და ახალ თაობას შორის დამაკავშირებელი ხიდი იყო. საინტერესოა ისიც, რომ ჩვენი წარმომადგენლები იტალიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, პორტუგალიაში, საფრანგეთში გვყავდა, აღარაფერს ვამბობ თურქეთსა და რუსეთზე...

— და რა მიზეზით შეჩერდა ჟურნალის გამოცემა?

— ხუთი წლის განმავლობაში, ჟურნალი ყოველთვიურად გამოიცემოდა, თუმცა 2011 წლის მარტის შემდეგ, ნაცხელისუფლებისა და მწერალთა კავშირში მოკალათებული ავსულების დამსახურებით შეჩერდა. მაშინ მითხრეს, რომ ფინანსური გადაცდომა იყო, რის შემდეგაც ჩემი ქონება დააყადაღეს. დაახლოებით 250 ლარზე იყო საუბარი. თანხა გადავიხადე, თუმცა გაჩერებული ჟურნალის აღდგენა უკვე ვეღარ შევძელი. ჩემს წინააღმდეგ მაშინდელი ხელისუფლება ფსიქოლოგიურ და მორალურ ზეწოლასაც ახორციელებდა, რადგან ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ აქტიურად ვიბრძოდი. 7 ნოემბრის დარბევაც მაშინ დაიწყო, როცა მიტინგზე ჩემს ლექსს ვკითხულობდი — „იმაზე ცოტა მეტი ვარ, შენ რომ გგონია, მტერო...“ ბიძინა ივანიშვილს ძალიან დიდ პატივს ვცემ, რადგან მან ქვეყანას ნაცმოძრაობის ბანდა მოაშორა. სიმართლე გითხრათ, პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მეგონა, რომ კულტურის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკა შეიცვლებოდა, თუმცა როგორც ჩანს, შევცდი. რბილად რომ ვთქვათ, გურამ ოდიშარიამ მინისტრის სავარძელი ზედმეტად შეიფერა და დაავიწყდა, რომ ეს მდგომარეობა დროებითია.

— გურამ ოდიშარიას წინააღმდეგ რა კონკრეტული ბრალდებები გაქვთ?

— საქმე ისაა, რომ გურამ ოდიშარიას, თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ რამდენჯერმე შევხვდი და ჟურნალის აღდგენის პროექტი შევთავაზე. ისიც ვუთხარი, რომ ტირაჟსა და მოგებას სამინისტროს გადავცემდი, თუმცა მისგან კონკრეტული პასუხი არასოდეს მიმიღია. ცოტა ხანში ცნობილი გახდა, რომ სალიტერატურო ჟურნალის ხელშეწყობის მიზნით, სამინისტრომ ტენდერი გამოაცხადა. ითქვა, რომ კონკურსში მონაწილეობა მინიმუმ, ერთწლიანი გამოცდილების მქონე ჟურნალს შეეძლო. აღმოჩნდა, რომ ტენდერისთვის დარგობრივი მრჩეველთა საბჭოც შეიქმნა, რომელშიც გურამ ოდიშარიამ ისეთი პიროვნებები შეიყვანა, რომელთა ლიტერატურულ, სახელოვნებო გემოვნებაში ეჭვი მეპარება. ერთი სიტყვით, 11 მარტს გამოცხადებულ ტენდერში ორმა ჟურნალმა — „არილმა“ და „ახალმა საუნჯემ“ გაიმარჯვა. საინტერესოა, რომ ჟურნალი „არილი“ მთარგმნელობითი მიმართულებისაა, რაც წინასწარ გამოცხადებულ სატენდერო პირობებს აბსოლუტურად არ შეესაბამებოდა. პირიქით, კონკურსის ძირითადი მოთხოვნა იყო, რომ ჟურნალში მუსიკის, თეატრისა და სხვა პროფილის რუბრიკები ყოფილიყო. რაც შეეხება ჟურნალ „ახალ საუნჯეს“, მისი მხოლოდ სამი ნომერია გამოცემული, რადგან 2012 წლის 12 დეკემბერს შეიქმნა. არადა, ტენდერში ხაზგასმით იყო მითითებული, რომ კონკურსში მონაწილე ჟურნალს მინიმუმ, ერთწლიანი გამოცდილება უნდა ჰქონოდა. მეტიც, ის ადამიანები, რომლებიც საკონკურსო საბჭოში ტენდერში მონაწილე კონკურსანტებს განიხილავდნენ, „ახალი საუნჯის“ ავტორები და რედკოლეგიის წარმომადგენლები არიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ტენდერში საბჭოს წევრებმა თავისივე ჟურნალს გაამარჯვებინეს. არავის შემოქმედებას ვეხები, არც პიროვნებებთან მაქვს პრობლემა, თუმცა ამ შემთხვევაში, პირდაპირი მნიშვნელობით, საქმე კრიმინალთან გვაქვს. საზოგადოებას ვეკითხები, ამის შემდეგ, რით განსხვავდება გურამ ოდიშარია ვანო მერაბიშვილის ან გიგი უგულავასგან, რომლებიც ტენდერის გამოცხადებამდე ერთი თვით ადრე, კომპანიებს აფუძნებდნენ და ნათესავებსა თუ მეგობრებს ტენდერში გამარჯვებულის სახით სოლიდურ თანხებს ურიცხავდნენ.

— გამარჯვებული ჟურნალი რა თანხით უნდა დაფინანსებულიყო?

— ჟურნალი „ახალი საუნჯე“ და „არილი“ ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასი ათასი ლარით დაფინანსდა. კონკურსის დასრულების შემდეგ გურამ ოდიშარიას ვესაუბრე, რომელსაც იმედი მაქვს ეყოფა ვაჟკაცობა, რომ ეს შეხვედრა აღიაროს. როცა მას ვკითხე, რომელი კრიტერიუმების დაცვით გაიმარჯვა აღნიშნულმა ორმა ჟურნალმა-მეთქი, მიპასუხა, ორივე ჟურნალი მომავალში პროფილს შეიცვლისო.

გენაცვალე, ბატონო გურამ, ზურა ადეიშვილისა და გიგა ბოკერიას გზით მიდიხართ და კონკურსის გამოცხადება მხოლოდ პიარისთვის გჭირდებოდათ. თქვენნაირი ბევრი მჯდარა მინისტრის სკამზე, მაგრამ მოღვაწეობა ცუდად დაუმთავრებია. გურამ ოდიშარიასთან საუბრის შემდეგ ნატა ლომოურს, მწერალთა სახლის დირექტორ-მენეჯერს ველაპარაკე, რომელსაც იგივე კითხვა დავუსვი, მან კი მიპასუხა, ტენდერის ძველი პირობები შევცვალეთო. ეს იმას ნიშნავს, რომ კონკურსის დასრულების შემდეგ, გამარჯვებულებს ახალ პირობებს ხელოვნურად შეუსაბამებენ.

— კონკურსი უკვე დასრულებულია, ახლა როგორ აპირებთ საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლას?

— პირველ რიგში, ტენდერის შედეგების გასაჯაროებას მოვითხოვ, რათა საზოგადოებამ თავად განსაჯოს, რითი აჯობა „არილმა“ და „ახალმა საუნჯემ“ ჟურნალ „ლიტერატურასა და ხელოვნებას.“

თქვენი საშუალებით, ბიძინა ივანიშვილს მივმართავ: **ბატონო ბიძინა, კულტურის სამინისტროში იმაზე მეტი დომხალი და კრიმინალია, ვიდრე სოფლის მეურნეობის სამინისტროში იყო. შესაბამისად, სამართლიანობა ითხოვს, ფინანსურ მაქინაციებში ჩართულმა სახელმწიფო მოღვაწეებმა კანონის წინაშე პასუხი აგონ. პირადად მე, საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად ყველა შესაბამისი საბუთი გამაჩნია, პირველი ტენდერის ასლიდან დაწყებული, საკუთარი პროექტებით დამთავრებული. რკინის ქალამნებს ჩავიცვამ და სიმართლის დასამტკიცებლად სტრასბურგამდე მივალ, რადგან ნამდვილად არ მინდა, ნაციონალური მოძრაობის ტენდენცია დღესაც გაგრძელდეს და ქართველ მწერლებს იმედი გაუცრუვდეთ. კულტურის სამინისტროსა და ნატო ლომოურს ტენდერის შედეგებთან დაკავშირებით, ოფიციალური პასუხის გამოგზავნა ვთხოვე, რათა სასამართლოში შესაბამისი სარჩელი აღვძრა, თუმცა პასუხი დღემდე არ მიმიღია და არც სამინისტროს საიტზე დევს ამის შესახებ ინფორმაცია. მაინტერესებს, კულტურის სამინისტროა თუ პლატონას დუქანი? მეტიც, მხოლოდ სასამართლოში კი არა, ოფიციალური წერილის მიღების შემდეგ, ევროპის ხელოვანთა საბჭოსაც მივწერ, რომელიც ჟურნალ „ლიტერატურასა და ხელოვნებას“ კარგად იცნობს და მოვახსენებ, რომ საქართველოში კულტურის სამინისტრო ტენდერს კრიმინალური მაქინაციებით ატარებს.**

ქრისტინე მალანია
5-93-608-508

თბილისის სკოლებში სიცოცხლისთვის საშიში საკვები იყიდება!

ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საქართველოში დიაბეტის რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების რაოდენობამ იმატა, არახალია და „ვერსიამ“ ამ თემას უკვე მიუძღვნა არაერთი სტატია. აქსიომაა, ჭარბწონიანობა, რომელიც დიაბეტსა და სხვა უამრავ დაავადებას იწვევს, პირდაპირაა დაკავშირებული ბავშვის კვების რაციონთან — სპეციალისტები ამბობენ, რომ ჯანსაღ კვებას, ადრეულ და მოზარდ ასაკში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს; შესაბამისად, „ვერსია“ დაინტერესდა, რა საკვები პროდუქტი იყიდება სკოლის ბუფეტებში.

რატომაა სავსე ბუფეტების დახლები „ჩიპსით“, ჰამბურგერით, „კოკა-კოლით“ და რატომ არავინ აკონტროლებს მოსწავლეების სასკოლო კვების რაციონს

თავდაპირველად, თბილისის რამდენიმე სკოლას ვესტუმრეთ. ვაკის, ვერისა და ნაძალადევის რაიონებში რამდენიმე სკოლის ბუფეტების დათვალიერების შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ პროდუქტი, რომელიც იქ იყიდება, არაჯანსაღი საკვების კატეგორიაში გადის. ჰამბურგერი, ჰოთდოგი, ფენოვანი ხაჭაპური, ლობიანი, „ჩიპსი“, „სნიკერსი“, „კოკა-კოლა“ და „პეპსი“... სკოლის მოსწავლეების ყოველდღიური კვების რაციონია, სხვა სახის პროდუქციას კი საჯარო სკოლებში, უბრალოდ, ვერ იპოვით. №51 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილის, ნანა გიორგობიანის განცხადებით, სკოლის ბუფეტი არენდით აქვთ აღებული კერძო პირებს, რომლებიც თავად არეგულირებენ პროდუქციის ნაირსახეობას და მათ საქმიანობაში სკოლის ადმინისტრაცია არ ერევა.

ანალოგიური ვითარებაა თბილისის სხვა სკოლებშიც — კვებისთვის განკუთვნილი ფართი კერძო პირებს იჯარით აქვთ აღებული. სკოლასა და კერძო მეწარმეს შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით, ერთადერთი პირობაა, მეიჯარემ სანიტარული ნორმები დაიცვას და იურიდიული მხარე დაარეგულიროს.

როგორ ხდება სკოლების ბუფეტების იჯარით აღება? — კერძო პირი ოფიციალური განცხადებით მიმართავს სკოლის ადმინისტრაციას, ფართის იჯარით აღების თაობაზე. განცხადების საფუძველზე, სკოლა ნებართვის გასაცემად განათლებისა და ეკონომიკის სამინისტროებს უგზავნის წერილობით მოთხოვნას, თანხმობის შემთხვევაში, დგინდება ფართის ყოველთვიური ღირებულების ოდენობა და ცხადდება ტენდერი. ტენდერში გამარჯვებული შპს ან კერძო პირი თვითონ წყვეტს, რა სახის პროდუქციას შეიტანს და რა თანხაში გაყიდის მას იჯარით აღებული ბუფეტის ტერიტორიაზე. საკვები ობიექტის არც გაქირავებისა და არც ნებართვის გაცემის პროცედურაში არ ერთვება ჯანდაცვის სამინისტრო.

ვინაა პასუხისმგებელი მოსწავლეების ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო პროდუქტით მომარაგებაზე და არსებობს თუ არა რაიმე რგოლი რომელიმე უწყებაში, რომელიც ამ საკითხს დაარეგულირებს? ამ ლოგიკურ კითხვაზე პასუხის მისაღებად განათლების სამინისტროს დავუკავშირდით, სადაც განგვიცხადეს, რომ სკოლა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით სარგებლობს, მის საქმიანობაში განათლების სამინისტრო არ ერევა და მხოლოდ სანიტარულ, ბიუროკრატიულ ნორმებს არეგულირებს.

ბუფეტებში არაჯანსაღი პროდუქტის არსებობას მშობლებიც აპროტესტებენ, თუმცა რადგან „მთავარი დამნაშავე“ ვერ იპოვეს, ისღა დარჩენიათ, შვილებს ურჩიონ, სკოლაში არაფერი იყიდონ. მით უმეტეს, სკოლების უმეტესობაში ერთი „ოქროს წესი“ მოქმედებს — რაიმეს შეძენის შემთხვევაში, ბავშვებს, ხურდის ნაცვლად, უბრუნებენ საღეჭ რეზინს ან კანფეტს. რამდენიმე სკოლაში ეს მშობლებმა დირექტორის დონეზეც გააპროტესტეს და პრობლემაც თითქოს მოგვარდა.

სამაგიეროდ, კვლავ მოუგვარებელია რაციონის საკითხი და სკოლებში ბუფეტები ე.წ. სწრაფი კვების ობიექტებადაა ქცეული.

ენდოკრინოლოგი, დიაბეტის ცენტრის დირექტორი, პროფესორი რამაზ ყურაშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ არაჯანსაღი კვება ბავშვებში უმძიმეს დაავადებებს იწვევს, მათ შორის ჭარბწონიანობას, დიაბეტს, არტერიულ ჰიპერტენზიას, მხედველობის დაქვეითებას, ქვედა კიდურების განგრენას, ინფარქტს, ინსულტს... ამ ფონზე, მნიშვნელოვანია ბავშვების კვების რაციონის დარეგულირება — ისინი ძირითადად ხილს, ბოსტნეულს, რძის, ხორცის პროდუქტს, თევზეულს უნდა მიირთმევდნენ.

მიუხედავად ამისა, სკოლის მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე პასუხისმგებლობას ჩვენს ქვეყანაში დღეს არავინ იღებს.

„ვერსია“ პედიატრს, პროფესორ **ქეთი ნემსაძესაც** დაუკავშირდა. მისი თქმით, საქართველოში საერთოდ არ არსებობს ინსტანცია, რომელიც სკოლის მოსწავლისთვის ჯანსაღი საკვებით მომარაგებაზე იქნებოდა პასუხისმგებელი:

„საქართველოში მხოლოდ კომუნისტების პერიოდში იყო კვებისა და ჰიგიენის ინსტიტუტი, რომელიც იღებდა ამ პასუხისმგებლობას. ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს სასკოლო მედიცინა, ახლა იგეგმება გაერო-ს ბავშვთა ფონდის დახმარებით, ნუტრიციული პროგრამის შემუშავება, რომელიც ჭარბწონიანობისა და მცირეწონიანობის პროფილაქტიკას ითვალისწინებს, ეს ძალიან მნიშვნელოვანია და იმედია, მოხერხდება მისი განხორციელება“.

როგორც ნემსაძემ გაგვიმხილა, ბავშვთა ფიზიკური განვითარების შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ საქართველოში მოზარდთა 11%-ს სიმსუქნის ან ჭარბწონიანობის დიაგნოზი აღენიშნება. ამ პრობლემის წინააღმდეგ საბრძოლველად ბავშვთა სასკოლო კვების რაციონიდან ცომეულის, შოკოლადის, ტკბილი სასმელის ამოღება და ხილით, ბოსტნეულით, რძის, ხორცის პროდუქტით ჩანაცვლება აუცილებელია.

მსოფლიომ უკვე აღიარა, რომ ე.წ სწრაფი კვება, რომელიც მოსახერხებელია, არ არის ჯანსაღი. ამერიკის პედიატრთა აკადემიის მონაცემებით, აშშ-ში სასკოლო ასაკის ბავშვთა 16-33%-ს სიმსუქნე აღენიშნება. ამ დაავადების დიაგნოსტირება უმარტივესია, მკურნალობა კი თანამედროვე მედიცინის ურთულეს პრობლემად რჩება. პროფესორი **რამაზ ყურაშვილი** აცხადებს, რომ ამ მხრივ, საქართველოშიც საგანგაშო ვითარებაა: **„სამწუხაროდ, უცხოურ საიტებზე უკვე გამოჩნდა ძალიან მსუქანი ქართველი ბავშვების სურათები. ასეთი ბავშვები, მაღალი ალბათობით, მომავალში უნაყოფოებიც იქნებიან, მათ რეპროდუქციული ფუნქცია არ ექნებათ. სიმსუქნის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი კი, კალორიების ჭარბი მიღებაა. სიმსუქნის შედეგებია დეპრესია, შაქრიანი დიაბეტი, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, ნაადრევი სიკვდილი... ამიტომ, ბავშვების კვების რაციონი აუცილებლად უნდა ვაკონტროლოთ“.**

როგორც გავარკვიეთ, ქვეყანაში არავინ ზრუნავს, რომ სკოლის ბუფეტებში ჯანსაღი პროდუქტი შეიტანოს და კვების რაციონი სწორად განსაზღვროს, პასუხისმგებლობას არც სკოლა იღებს, არც განათლების სამინისტრო... რთულია, ცალსახად უპასუხო კითხვას — ვინ უნდა დაარეგულიროს ეს საკითხი? ქვეყანაში არ არსებობს შესაბამისი მარეგულირებელი ინსტიტუცია. გამოდის, ჩვენი შვილების ჯანმრთელობა მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, სკოლების ხელმძღვანელებმა მორალური პასუხისმგებლობა იგრძნონ და მეიჯარეებს მოსთხოვონ, ბუფეტში ჯანსაღი პროდუქტი შეიტანონ, ან მეიჯარეები შეაწუხოს სინდისმა, ბავშვების კვების რაციონი სწორად შეადგინონ და ბუფეტებში დახლები მხოლოდ „ჩიპსით“, ტკბილი გაზიანი სასმელითა და ჰამბურგერით არ გაავსონ.

ვერსიანიუსი

მთავრობა 4 წლის განმავლობაში 40 000-მდე დევნილს საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფს

საქართველოს მთავრობა 4 წლის განმავლობაში 40 000-მდე დევნილს საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფს, — ამის შესახებ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა, დავით დარახველიძემ ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის შემდეგ განუცხადა.

მისი თქმით, საქართველოს მთავრობის განკარგულება, დევნილებისთვის ახალი მშენებლობების და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების შესახებ, სხდომაზე დამტკიცდა. მინისტრის ინფორმაციით, უპირველეს ყოვლისა, ბინებით დაკმაყოფილდებიან დევნილები, ვისი ზოგადი მდგომარეობა და საყოფაცხოვრებო პირობები უფრო მძიმეა.

როგორც დავით დარახველიძემ განმარტა, ამისთვის დევნილები შეავსებენ სპეციალურ განაცხადებს, რომელთაც სამინისტრო საკუთარ ბაზაში და ადგილზე მისვლითაც გადაამოწმებს.

„ჩვენი გეგმა ოთხწლიანია; ოთხწლიან ვადაში ვსაუბრობთ იმ პირების დაკმაყოფილებაზე, ვისაც საბინაო უზრუნველყოფის განსაკუთრებით მწვავე აუცილებლობა აქვს. დევნილთა რიცხვი 40 000 უახლოვდება, თუმცა მოხდება მათი ხელახალი რეგისტრაცია, რის შემდეგაც უკვე ბინებით დაკმაყოფილების პროცესი დაიწყება“, — აღნიშნა დავით დარახველიძემ.

მინისტრის ინფორმაციით, ხელახალი რეგისტრაცია ივნისის ბოლოს დაიწყება და დევნილები საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილდებიან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

„ინტერპრესნიუსი“

შსს-მ ყაჩაღობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა და მოქალაქე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და ქუთაისის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1992 წელს დაბადებული გიორგი ხ. ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა 2013 წლის 22 მაისს ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით ქუთაისში 5 მაღაზია დააყაჩაღა. სამართალდამცველებმა, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად, ბრალდებული დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში, საკუთარ სახლში დააკავეს. მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას „ტეტე“-ს ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი, 6 საბრძოლო ვაზნა და ფული ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება ყაჩაღობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე მიმდინარეობს (სსკ-ს 179-ე მუხლის პირველი და 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს).

„ინტერპრესნიუსი“

ნათია ვასაძე
555-98-61-65

წიგნის რიგით მე-15 ფესტივალი გაიხსნა

გვანცა ჯობავა, გამომცემლობა „ინტელექტის“ საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი: „ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილ წიგნებზე დიდი ფასდაკლება გვაქვს. მთლიანი სერიის ყიდვა ჩვენთან ნახევარ ფასადაა შესაძლებელი. ვგეგმავთ ჩვენს მიერ გამოცემული ახალი წიგნების პრეზენტაციას. გაიმართება 2012 წლის 100 ლექსის კრებულის პრეზენტაცია. გვაქვს ახალი გამოცემებიც: ბორის აკუნინის „სასაფლაოს ამბების“ ახალი თარგმანი, თამაზ ბაძაღუას 6 პიესა და გურამ ოდიშარიას ახალი ლექსის კრებული „საგალობლები შენთვის“, რომლის პრეზენტაციაც 25 მაისს გაიმართება და მას კულტურის მინისტრიც დაესწრება“.

სოფო კილასონია, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი: „წიგნის ფესტივალს დიდი ფასდაკლებით ვუერთდებით — ზოგი წიგნი 1 და 2 ლარიც ღირს. წელს ჩვენი გამომცემლობის სლოგანია: „მთელი მსოფლიო ჩვენს წიგნებში“. ეს იმას ნიშნავს, რომ აქცენტს ვაკეთებთ თარგმანებზე და წიგნის, როგორც სხვადასხვა ქვეყნის კულტურებთან ურთიერთობის ფორმასა და მნიშვნელობაზე. ფესტივალის ყოველ დღეს ერთი რომელიმე ქვეყნის ლიტერატურას ვუძღვნით — გახსნაზე წარმოვადგინეთ გერმანულენოვანი ლიტერატურა, მომდევნო დღე სკანდინავიურ ქვეყნებს — შვედურ და ნორვეგიულ ლიტერატურას მიეძღვნება, 25-ში ფრანგულენოვანი ლიტერატურის დღე გვექნება. ამავე დღესაა დაგეგმილი ფრანგული კულტურის ატაშეს ლექცია თანამედროვე ფრანგული ლიტერატურის შესახებ. 26 მაისს გვექნება ქართული ლიტერატურის დღე. ამ დღეს, მეტი საზეიმო განწყობისთვის, ავტორი წიგნისა „თანამედროვე ქართული კულინარია“ ნათია მონტგომერი ქართულ კერძებსაც მოამზადებს. გოგა ჩანადირი კი წარმოადგენს ფოტოებს წიგნიდან „ეს საოცარი საქართველო.“

გუჯა მარიკაშვილი, ჯემალ ქარჩხაძის გამომცემლობა: „ჩვენს სტენდზე წარმოდგენილი წიგნები 50%-მდე ფასდაკლებით გაიყიდება. გვაქვს ახალი — საბავშვო „ვეფხისტყაოსანი“, 3D წიგნი „მაკნატუნა“ დისკთან ერთად... “

დალი ცომაია, გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის საგამომცემლო განყოფილების კურატორი: „ჩვენს სტენდზე, ძირითადად, მუზეუმის ფონდებში დაცული არქივების ლიტერატურაა წარმოდგენილი. ამ მასალებში არ ხდება სარედაქციო ჩარევები, არ სწორდება სტილი... არც მუზეუმში გვაკლია დამთვალიერებელი და არც მყიდველი მოგვაკლდება“.

მარიამ წიკლაური, გამომცემლობა „საუნჯეს“ მიმართულების მენეჯერი: „ჩვენთან თანამედროვე ქართველი ავტორების ფართო არჩევანია. ცნობილი ავტორების გარდა, ახალგაზრდა ავტორების საინტერესო დებიუტების შეძენაა შესაძლებელი“.

ფესტივალზე წელსაც გრძელდება პროექტი „მაკულიტერატურა“, რომელიც წიგნის მოყვარულებს საშუალებას აძლევს გარკვეული წონის მაკულატურა წიგნებში გადაეცვალათ.

ფესტივალის გახსნის პირველივე დღეს „ექსპო-ჯორჯიაში“ ხალხმრავლობა იყო. „ვერსიასთან“ საუბრისას, მოქალაქეებმა განაცხადეს, რომ ისინი, ცდილობენ, ფესტივალის დასაწყისისთვის ფული გადაინახონ, რადგან იციან, ამ ღონისძიების ფარგლებში, ბევრ საინტერესო წიგნს, ნახევარ ფასად ან უფრო იაფად შეიძენენ.

ზესტაფონის ფეროში „მონობის კოდექსის“ წინააღმდეგ გაიფიცნენ

მერაბ ბერიძე

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშაობა პარალიზებულია, 3 თანამშრომელი შიმშილობს. ფართომასშტაბიანი გაფიცვა ხელფასის ზრდის მოთხოვნით დაიწყო და აქციაში ასობით ადამიანი მონაწილეობს. დასაქმებულები მოითხოვენ, შრომის ანაზღაურება გაიზარდოს 50%-ით; ღამით ნამუშევარი საათების ანაზღაურება გაიზარდოს 20%-ით და ხელი მოეწეროს იმ კოლექტიური მოლაპარაკების პროექტს, რომელზეც მხარეები შეთანხმებულნი არიან. თანამშრომლებმა გამაფრთხილებელი აქცია 16 მაისსაც გამართეს, ფართომასშტაბიანი გაფიცვა კი ადმინისტრაციის უარის გამო დაიგეგმა.

ქარხნის ადმინისტრაციისთვის „ულტიმატუმის რეჟიმში“ მოლაპარაკებები მიუღებელია. „ჯორჯიან ამერიკან ევოისი“ მოლაპარაკებების გაჭიანურებაში სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირს ადანაშაულებს. საწარმოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, მაკა კვარაცხელიას ინფორმაციით, მხარეები ხელშეკრულებებზე შეთანხმდნენ, თუმცა პროფკავშირმა ხელმოწერა ბოლო მომენტში გადაიფიქრა: **„საწარმო ულტიმატუმის რეჟიმში მოლაპარაკებების გაგრძელებას არ გეგმავს, მუშებს კი განაცდურ დღეებზე ხელფასი არ დაერიცხებათ“.**

ამასთან, „ჯორჯიან ამერიკან ელოისისა“ და „ჯორჯიან მანგანეზის“ ადმინისტრაციის განცხადებით, ფეროშენადნობთა ქარხნის გაფიცვის ორგანიზატორთა მოთხოვნები არაადეკვატურია: **„კომპანიის ადმინისტრაცია შეშფოთებულია, რომ გაურკვეველ პირთა ჯგუფს ჩვენი თანამშრომლები შეჰყავს შეცდომაში და აძლევენ არარეალურ დაპირებებს, რითაც მათივე ინტერესების შემლახველი ქმედებების განხორციელებისკენ უბიძგებენ. კომპანია გრძნობს პასუხისმგებლობას თითოეული თანამშრომლის მიმართ და ცდილობს, თავიდან აიცილოს ის არასასურველი შედეგები, რომლებიც შეიძლება მოყვეს დაუფიქრებელ და პროვოცირებულ ქმედებებს.**

„ჯორჯიან ამერიკან ელოისი“ და „ჯორჯიან მანგანეზის“ ადმინისტრაცია აცხადებს, რომ გაფიცვის ორგანიზატორთა მოთხოვნები არაადეკვატურია. მეტიც, **„სცილდება ყოველგვარ რეალურ ზღვარს. შესაბამისად, ადმინისტრაცია არ აპირებს რაიმე სახის მოლაპარაკების წარმოებას მათთან. ჩვენდა სამწუხაროდ, კომპანია იძულებული ხდება, შეაჩეროს ყველა სახის გადახდა და დარიცხვები საგაფიცვო პერიოდის განმავლობაში, რაც მძიმედ აისახება ჩვენი თანამშრომლებისა და მათი ოჯახების მატერიალურ მდგომარეობაზე“.**

კომპანიის ადმინისტრაცია სთავაზობს თანამშრომლებს, შეწყვიტონ გაფიცვა და დაუბრუნდნენ სამუშაო ადგილებს, **„წინააღმდეგ შემთხვევაში, ადმინისტრაცია იძულებული ხდება: თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის შეზღუდოს სამედიცინო მომსახურება „ჯორჯიან მანგანეზის“ კლინიკა „ფერომედში“ და შეაჩეროს სამედიცინო დაზღვევის მოქმედება; დაიწყოს ახალი თანამშრომლების სამუშაოზე მიღების პროცედურები ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ნორმალური საწარმოო პროცესის აღდგენის მიზნით; კომპანიის ადმინისტრაცია იმედოვნებს, რომ კომპანიის თანამშრომლები მოუხმობენ კეთილგონიერებას. მოუწოდებს, დროულად დაუბრუნდნენ თავიანთ სამუშაო ადგილებს და ერთობლივი ძალისხმევით აღვადგინოთ საწარმოო პროცესი“.**

თავის მხრივ, მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების გაერთიანებაში აცხადებენ, რომ ფეროშენადნობთა ქარხნის გაფიცვა არ შეწყდება, ვიდრე შეთანხმება არ შედგება და მასში 800-მდე ადამიანი მონაწილეობს. გაფიცვის მიზეზი ადმინისტრაციის მიერ მოლაპარაკებების არაგონივრული ხანგრძლივობით გაჯანჯლება გახდა, რომელსაც იგი მეტალურგიულ, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირთან აწარმოებდა: **„პროფესიული კავშირის პრეზიდენტმა, თამაზ დოლაბერიძემ მოლაპარაკებების სხვადასხვა ეტაპზე რამდენჯერმე სთხოვა გენერალურ დირექტორს, ვოლოდიმირ ლოზინსკის, რომ დროზე მომხდარიყო შეთანხმებაზე ხელმოწერა. კომპანიის ხელმძღვანელობა ამ საკითხს სერიოზულად არ მოეკიდა“.**

თამაზ დოლაბერიძის თქმით, პროფკავშირი არ არის მოლაპარაკებების ულტიმატუმის რეჟიმში მიმდინარეობის მომხრე. კომპანიის ადმინისტრაციამ ბევრჯერ შეცვალა პოზიცია, პატივი არ სცა მოლაპარაკებების ფორმატს, რის შედეგადაც ფეროს მუშაკებმა დაკარგეს ჯერ მარტის, ხოლო შემდეგ კი აპრილის საპრემიო თანხა: **„კოლექტიური ხელშეკრულების პროექტიც, მემორანდუმის პროექტიც და საპრემიო დებულების პროექტიც ჩემი მომზადებულია. ყველაფერს ვაკეთებდით, რათა პროცესი დიალოგის ფორმატში დარჩენილიყო, მაგრამ არსებობს ზღვარი. ზესტაფონის ფეროში ღირსეული ადამიანები მუშაობენ, ისინი ნახევარი წლის განმავლობაში ელოდებოდნენ მოლაპარაკებების შედეგებს, მაგრამ ცხადია, რამდენ თვეზე გაიწელებოდა პროცესი, იმდენ თვეზე მუშა-ხელი პრემიას ვერ აიღებდა. ეს იყო გაჯანჯლების მიზანი, მაგრამ ძალიან მეშჩანური და იაფფასიანი. კომპანიამ მიიღო ახალი მოთხოვნა მუშებისგან, შრომის ანაზღაურების 50%-ით მატება. გაფიცვა არ შეწყდება, სანამ არ შედგება ხელმოწერილი დოკუმენტი“.**

ამასთან, პროფკავშირის პრეზიდენტი ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ადმინისტრაციის „დანაშაულებრივ ქმედებებზე“ მიუთითებს: **„სამუშაოზე იღებენ ახალ კადრებს — ამწის მემანქანეებს, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი მიიყვანეს სადნობ საამქროში და ამუშავებენ მუშებად, სხვადასხვა დისციპლინური დარღვევების გამო, გათავისუფლებულ ადამიანებს აბრუნებენ სამუშაოზე, გაფიცულ თანამშრომლებს ურეკავენ სახლში და ემუქრებიან. თუ ზემოაღნიშნული რესურსით ადმინისტრაციამ ქარხნის მცირე ნაწილის ამუშავება სცადა, უსაფრთხოება დაირღვევა, მათი მიზანია გაფიცვის ხელშეშლა. თუ ადმინისტრაცია არ მოეგება გონს, პროფკავშირი უფრო რადიკალურ ღონისძიებებს მიმართავს“.**

„ვერსიასთან“ საუბრისას უფლებადამცველი **ლაშა ჩხარტიშვილი** ზესტაფონის ფეროში გაფიცვას მიესალმება. აცხადებს, რომ ურთიერთსოლიდარობის პირობებში მუშები დასახულ მიზანს მიაღწევენ: **„საქართველოში, სააკაშვილის მმართველობისას მიიღეს არა შრომის, არამედ მონობის კოდექსი, რომელიც დაქირავებულს ყველა უფლებას ართმევდა და განსხვავებულ მდგომარეობაში არც ზესტაფონის ფერო ყოფილა. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, მუშები ბევრგან გაიფიცნენ. ეს წინა ხელისუფლების დროს შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის გამოძახილია. მისასალმებელია, რომ პროფკავშირები გააქტიურდნენ. სამწუხაროდ, პროფკავშირული გაერთიანებების უმრავლესობა წინამორბედ ხელისუფლებასთან გარიგებაში იყო ან დაშინებული. მთავარია, ყველა მოქალაქემ საკუთარი უფლებებისთვის ბოლომდე იბრძოლოს. ამ გზაზე პროფკავშირების არსებობა მნიშვნელოვანია. იმედია, საქართველოში პროფკავშირებს შორის კონკურენცია იქნება. ზესტაფონში გაფიცვამ, მუშებს შეიძლება გარკვეული ზიანი მოუტანოს; მაგრამ მათ ვერავინ აიძულებს მონურ პირობებში შრომას. მათი კონსტიტუციური უფლებაა პროტესტი გამოხატონ. დარწმუნებული ვარ, თუ სოლიდარობის ხარისხი მაღალი იქნება მუშებს შორის, ისინი წარმატებას მიაღწევენ“.**

ფაქტია, მუშები აბსოლუტურად სამართლიან მოთხოვნებს აყენებენ. ხუთი თვის განმავლობაში მათ ღამის საათებში მუშაობისთვის არც დანამატი მიუღიათ და არც პრემიები. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ამ დროის მანძილზე საწარმო გეგმას წარმატებით ასრულებდა, ქარხნის მენეჯმენტი იანვრიდან მუშებთან წინასწარ შეთანხმებული, კოლექტიური ხელშეკრულების ხელმოწერას წელავდა. მუშების მოთმინების ფიალა აივსო. ამ ხელებდაკოჟრილ, ნაადრევად დაბერებულ ადამიანებს, როგორც ხელისუფლებამ, ისე საზოგადოებამ სრული მხარდაჭერა უნდა გამოუცხადოს. თითოეული მშრომელის დაცული უფლება, ხვალ მთელ საზოგადოებას სასიკეთოდ დაუბრუნდება.

The Wall Street Journal საკაკაშვილის გასამართლებას ვარაუდობს

ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის, ვანო მერაბიშვილისა და კახეთის გუბერნატორის, ზურაბ ჭიაბერაშვილის დაკავებას უცხოური მედია ეხმაურება.

„საქართველოს პრეზიდენტის უახლოესი მოკავშირეები თანამდებობის უფლებამოსილების გადამეტებისთვის გაასამართლეს“, — ამ სათაურით აქვეყნებს ამერიკული გამოცემა Wall Street Journal ალან კულისონის სტატიას. როგორც ავტორი წერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გადაკვრით აღნიშნა, რომ 2006 წელს მომხდარი მკვლელობის გამოძიების სავარაუდო დაფარვისთვის, შესაძლოა, გასამართლდეს პრეზიდენტი სააკაშვილიც, მისი ორი მოკავშირე კი, თანამდებობის უფლებამოსილების გადამეტებისა და გაფლანგვის ბრალდებით დააკავეს, — წერს ალან კულისონი.

„ამ დაკავებებმა დემოკრატიის ვალდებულებების შესრულების მხრივ, შეშფოთება გამოიწვია საქართველოში, რომელსაც აშშ და ევროპა რუსეთის წინააღმდეგ საყრდენად მიიჩნევდნენ და სადაც ინვესტიციას დებდნენ“, — აღნიშნავს სტატიის ავტორი. როგორც ამერიკულ გამოცემაშია ნათქვამი, მიხეილ სააკაშვილმა ორივე დაკავება პოლიტიკურად შეაფასა, მისმა მთავარმა მოკავშირემ კი ეს ბრალდებები პრეზიდენტის პარტიისთვის დარტყმის მიყენების კამპანიად.

მიხეილ სააკაშვილმა, — წერს ალან კულისონი, — რომელმაც დასავლური ქვეყნების გული გაპრეზიდენტების მერე მოიგო, შარშან შემოდგომით საპარლამენტო არჩევნებში, მწვავე მარცხი განიცადა და ძალაუფლებას თავის მეტოქესთან, მილიარდერ ბიძინა ივანიშვილთან იყოფს – საქართველოს ახალ პრემიერ-მინისტრთან, ვინც რუსეთთან ახლო ურთიერთობებს უჭერს მხარს.

როგორც სტატიაშია ნათქვამი, სააკაშვილის პოპულარობა მისი პრეზიდენტობის განმავლობაშივე დაეცა — უამრავი ადამიანი ჩიოდა, რომ მისი მთავრობა მბრძანებლური იყო და მაღალჩინოსნები 9-წლიანი მმართველობის განმავლობაში, თანამდებობას ბოროტად იყენებდნენ.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, ახალმა მთავრობამ ბოლო თვეებში ციხიდან ასობით ადამიანი გაათავისუფლა, თუმცა საგამოძიებო საქმეები წამოიწყო ყოფილი მაღალჩინოსნების წინააღმდეგ. დაკავებები შეეხო სააკაშვილის უახლოეს მოკავშირეებსაც.

„ერთი მათგანი ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი და სააკაშვილის პარტიის ამჟამინდელი ლიდერი ვანო მერაბიშვილია, მეორე კი ჯანმრთელობისა და შრომის დაცვის ყოფილი მინისტრი და ამჟამინდელი გუბერნატორი ზურაბ ჭიაბერაშვილი. ორივე დასაქმების პროგრამის დროს თანხის მითვისებისთვისაა დაკავებული. მერაბიშვილს ასევე ბრალი ედება ზღვის სანაპიროზე სხვისი კერძო საკუთრების მითვისებაში. პროკურორთა განცხადებით, ისინი იძიებენ, მიუძღვის თუ არა ბრალი ვანო მერაბიშვილს 2011 წლის მაისში საპროტესტო აქციის დარბევაში, ასევე სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში, რომელიც რესტორანში მაღალჩინოსნებთან მომხდარი ინციდენტის შემდეგ, თბილისის გარეუბანში გარდაცვლილი აღმოაჩინეს“, — წერს ალან კულისონი.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, პრემიერ-მინისტრი არ გამორიცხავს, რომ ამ დანაშაულში თავად პრეზიდენტიც იყოს ჩართული და აცხადებს — **„მთავრობის ყველა წევრი კანონის წინაშე თანასწორია“.**

სტატიის ავტორი ციტირებს ქართველი პოლიტიკური ანალიტიკოსის, ალექსანდრე რონდელის სიტყვებს, რომელიც აცხადებს, რომ ყოფილი მაღალჩინოსნების დაპატიმრებით პრემიერ-მინისტრი პოლიტიკურ რისკზე მიდის, თუმცა ამ ნაბიჯით ხელისუფლება ცდილობს საარჩევნო კამპანიის წინ დადებული პირობის შესრულებას.

„მიუხედავად ბოლოდროინდელი დაკავებებისა, ივანიშვილის ხელისუფლება კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა სხვა დანაშაულების იგნორირებისთვის. გასულ კვირას, ათასობით ადამიანმა, ორთოდოქსი მღვდლების წინამძღოლობით, პოლიციის კორდონი გაარღვია და ჰომოსექსუალთა უფლებების დამცველი აქცია დაარბია, რის შედეგადაც, ათობით ადამიანი დაშავდა და საავადმყოფოში მოხვდა.

ივანიშვილმა, რომელიც ხელისუფლებაში ეკლესიის მხარდაჭერით მოვიდა, მომხდარი ძალადობა დაგმო, თუმცა დემონსტრაციის დარბევისთვის არავინ დაუკავებიათ, გარდა ოთხი ადამიანისა, რომლებიც ჯარიმის სანაცვლოდ გაათავისუფლეს“, — აღნიშნავს Wall Street Journal-ის ჟურნალისტი.

ალან კულისონი ასევე წერს — ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც ქონება რუსეთში დააგროვა, უარყოფს სააკაშვილის ბრალდებებს, თითქოს ის კრემლის ინსტრუმენტია. პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ დასავლეთთან ინტეგრაცია სურს, თუმცა მოსკოვთან ურთიერთობის გამყარებასაც ცდილობს.

„ნიუპოსტი“

The Washington Post „ქვეყნის ორ უძლიერეს პოლიტიკურ პირს შორის ბრძოლის ბოლო მაგალითი“

გავლენიანი ამერიკული გამოცემა The Washington Post შს ექსმინისტრისა და ყოფილი პრემიერის, ყოფილი მმართველი პარტიის, ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის, ვანო მერაბიშვილის დაკავებას ეხმიანება და წერს, რომ „ეს ქვეყნის ორ უძლიერეს პოლიტიკურ პირს შორის ბრძოლის ბოლო მაგალითია“.

„საქართველოს პრეზიდენტის მოკავშირეებს – ყოფილ პრემიერსა და ერთ-ერთი რეგიონის გუბერნატორს ბრალი წაუყენეს თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და თანხის გაფლანგვაში. ეს ბოლო მაგალითია ქვეყნის ორ უძლიერეს პოლიტიკურ პირს შორის ბრძოლისა. მერაბიშვილი, რომელიც სააკაშვილის პოლიტიკის მთავარი გამტარებელი იყო, ყველაზე მაღალი რანგის პირია პრეზიდენტის გარემოცვიდან, რომელიც ახლა ასეთი ბრალდებების წინაშე აღმოჩნდა. პროდასავლელი სააკაშვილის გუნდი, რომელიც ქართულ პოლიტიკაში ცხრა წლის განმავლობაში ლიდერობდა, შარშან შემოდგომით გამართულ საპარლამენტო არჩევნებში მილიარდერი ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ კოალიციასთან დამარცხდა. არჩევნების შემდეგ ივანიშვილი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახდა და ამ თანამდებობაზე სწორედ მერაბიშვილი შეცვალა. საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, სააკაშვილის ძალაუფლება უფრო შესუსტდა. ამ ცვლილებების მიხედვით, მეტი ძალაუფლება პარლამენტსა და პრემიერ-მინისტრს ენიჭება“, – წერს ამერიკული გამოცემა.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, ოქტომბერში საქართველოში მთავრობის არჩევნების გზით შეცვლის პირველი შემთხვევა დაფიქსირდა, თუმცა პრობლემებმა მალევე იჩინა თავი.

„სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადა ოქტომბერში იწურება, ამიტომ მას უწევს ხელისუფლებაში ყოფნა რუსეთისადმი მეგობრულად განწყობილ ივანიშვილთან ერთად — ძალაუფლებისთვის ინტენსიური ბრძოლის ვითარებაში“, – დასძენს The Washington Post.

„ფრონტნიუსი“



ნოტრდამის ტაძარში ჰომოსექსუალიზმთან ცნობილმა მებრძოლმა თავი მოიკლა

პარიზის ათასზე მეტი სტუმარი შოკისმომგვრელი სცენის მოწმე გახდა — ნოტრდამის ტაძარში, ცნობილმა პოლიტიკოსმა, ისტორიკოსმა და მწერალმა დომინიკ ვენერმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

საფრანგეთის აკადემიის ლიტერატურული პრემიის ლაურეატი ერთსქესიანთა ქორწინების კანონის წინააღმდეგ აქტიურად გამოდიოდა. ტრაგედიამდე ვენერმა თავის ბლოგში ემოციური მიმართვა დატოვა, რომელშიც გმობდა ჰომოსექსუალისტების მიერ ბავშვთა შვილად აყვანის ლეგალიზაციას. თვითმხილველთა მტკიცებით, დომინიკი გამოეყო ხალხის მასას, ავიდა საკურთხეველზე, ამოიღო სიკვდილის წინ დაწერილი წერილი და ტყვია დაიხალა.

„წარმომიდგენია, რა შოკს მიიღებდნენ მორწმუნეები და ტურისტები. ნოტრდამის საკათედრო ტაძარი — საფრანგეთის ერთ-ერთი ულამაზესი ღირსშესანიშნაობაა და ამიტომ სავსებით გვესმის, რამდენად სიმბოლურია დომინიკ ვენერის ნაბიჯი“, — განაცხადა საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა მანუელ ვალსმა.

ვენერს თან რამდენიმე წერილი ჰქონდა, რომელთა შინაარსს ჯერ არ ახმაურებენ. აღსანიშნავია, რომ თვითმკვლელობა პარიზში დაგეგმილი სექსუალური უმცირესობების მხარდამჭერი კონცერტის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე მოხდა.

„ჯეოვორდი“

ჰოროსკოპი

24 მაისი

ვერძი — დღეს უნდა მოხდეს მოვლენა, რომელსაც დიდი ხანია ელოდებით. შესაძლოა, გეგმების გადახედვა დაგჭირდეთ, რადგან ნანატრ ვითარებაში ყველაზე შეუფერებელ დროს აღმოჩნდებით.

კურო — თუკი ასე თავგამოდებით ცდილობთ აკრძალვების დარღვევას, მზად იყავით, რომ ამისგან კარგს ვერაფერს მიიღებთ. ნუ შეეცდებით დღეს იმით დაკავდეთ, რაშიც ძლიერი არ ხართ.

ტყუპები — დღეს ტყუპები ერთ ადგილზე ვერ გაჩერდებიან. შეეცადეთ, ყველაფერს არ მოედოთ — სჯობს, მთელი ძალისხმევა ერთ, კონკრეტულ საქმეს მოახმაროთ. საღამოს რომანტიკული შეხვედრის ალბათობა დიდია.

კირჩხიბი — საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულებმა დღეს, შესაძლოა, რეკორდული რაოდენობის სისულელე ჩაიდინოთ. ყური დაუგდეთ გარშემომყოფების რჩევებს — ისინი არც ისე გამოუსადეგარი აღმოჩნდება, როგორც გგონიათ.

ლომი — დღეს გჭირდებათ, ზუსტად იცოდეთ, ვის არ უნდა მიაქციოთ ყურადღება. თქვენი აკურატულობა დაგეხმარებათ, თავიდან აიცილოთ კონფლიქტი, რომლის ალბათობაც დიდია.

ქალწული — დღე, შესაძლოა, უსიამოვნებით დაიწყოს, ამიტომ მოთმინება გამოიჩინეთ, რათა თავი აარიდოთ კონფლიქტს ახლობლებთან. დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანაში ხელს ვერაფერი შეგიშლით. არის ალბათობა, რომ მოულოდნელად პრემია, ან რაიმე დაუგეგმავი შემოსავალი მიიღოთ.

სასწორი — დღეს დაძაბულ ვითარებაში აღმოჩნდებით, თუ საკითხის მშვიდობიანად მოგვარებას ვერ შეძლებთ, რადგან თქვენი მოსმენა არ სურთ, მაგრამ თავს უკან დახევის უფლება არ უნდა მისცეთ და წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

ღრიანკალი — ამ ნიშნის წარმომადგენლებს ვარსკვლავები ურჩევენ, დღეს ტემპი შეანელონ და ამოისუნთქონ. ეს ცოტა გონებას გაგინათებთ და ისიც გაგახსენდებათ, რისთვის იღვწით ასე გამალებით.

მშვილდოსანი — მშვილდოსნებს შეუძლიათ, დღეს დილიდან საღამომდე ინებივრონ და ყოველი წამით დატკბნენ. განსაკუთრებით კარგი კი საღამო იქნება, რომელსაც მარტოობაში ნამდვილად არ გაატარებთ.

თხის რქა — დღეს რეალური შანსი გაქვთ, გუშინდელი მტრები მოკავშირეებად აქციოთ, მხოლოდ ნუ იფიქრებთ, რომ ამის რეალიზება ძალიან ადვილი იქნება.

მერწყული — მერწყულებს დღეს, შესაძლოა, საკმაოდ მკაცრად მოექცნენ, მაგრამ თუ საქმეში იუმორის გრძნობას ჩართავთ, ყველაფერი ძალიან მარტივად მოგვარდება.

თევზები — არ არის გამორიცხული, კოლეგებმა და ხელმძღვანელობამ არასწორად გაგიგონ, ამიტომ სჯობს, თავშეკავება გამოიჩინოთ ყველა საკამათო საკითხში და თქვენი სწორი შეხედულებები მათ სხვა დროს გაუზიაროთ.

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატოპედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

ჰოროსკოპი

25 მაისი

ვერძი — ვერძებს დღე კოლეგებთან, მშობლებსა და ნათესავებთან ურთიერთობაში სირთულეს ჰპირდება. დღის განმავლობაში უფრო სერიოზული და შრომისმოყვარე იყავით, საღამოს, შესაძლოა, ფინანსური პრობლემებიც გაჩნდეს.

კურო — დღეს დიდი ხნის დაწყებულ საქმეს დაასრულებთ, რაც თქვენი ახლობლების ცხოვრების გაუმჯობესებისკენ იქნება მიმართული. გახდებით მნიშვნელოვანი მოვლენის მოწმე, რაც ცხოვრების წვრილმანების მნიშვნელობას შეგახსენებთ. ფინანსების მხრივ, საკმაოდ წარმატებული დღეა.

ტყუპები — დღე საუკეთესოა საქმიანი მოგზაურობისა და მოლაპარაკებებისთვის და შესაფერისი მომენტია საყვარელ ადამიანთან ურთიერთობების გასარკვევადაც.

კირჩხიბი — კირჩხიბებს დღეს ფინანსური დანაკარგი ელით. თქვენი ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო, საყვარელ ადამიანთან შეხვედრისას, ურთიერთობების გართულების ალბათობა დიდია, არის დაშორების რისკიც.

ლომი — დღეს დაუგეგმავი ხარჯი გელით, არ არის გამორიცხული, უსიამოვნო ცნობა მიიღოთ ან ნაკლებსასურველ ვითარებაში აღმოჩნდეთ, თუმცა დღის განმავლობაში წარმატება თქვენი თანმდევი იქნება საწინააღმდეგო სქესთან ურთიერთობაში და, შესაძლოა, ძველი სასიყვარულო ურთიერთობებიც განაახლოთ.

ქალწული — ქალწულები დღეს ყურადღების ცენტრში იქნებიან, მაგრამ წარუმატებელი დღეა ინტიმური ურთიერთობებისთვის, სამაგიეროდ, ყველა კომერციული ოპერაცია ისე დასრულდება, როგორც გეგმავდით.

სასწორი — კარგი დღეა როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი სამუშაოსთვის, სასიამოვნო და სასარგებლო იქნება ურთიერთობა ოჯახის უფროს წევრებთან, მეგობრებთან. ფინანსურ საკითხებში მეტი გამბედაობა გამოიჩინეთ.

ღრიანკალი — დღე მაღალი აქტიურობით იქნება გამორჩეული. თქვენი სამუშაო და ახლობლების წინაშე ვალდებულება მთელ ყურადღებასა და ენერგიას წაიღებს, ამიტომ აჯობებს, საღამო სახლის საქმეებს დაუთმოთ და არ დაიწყოთ ურთიერთობების გარკვევა შინაურებთან.

მშვილდოსანი — დღეს ადვილად შეძლებთ პატარა შეცდომების დამალვას, რის გამოც მხოლოდ ახლობლები დაზარალდებიან. არ არის გამორიცხული ფინანსური დანაკარგი, რომელიმე კომპანიონის უსინდისობის გამო.

თხის რქა — დღეს, შესაძლოა, ვალი დაგიბრუნონ ან ძვირფასი საჩუქარი მიიღოთ. თქვენი თავშეკავება ახლობელი ადამიანის მიერ უყურადღებობად იქნება აღქმული, რაც გაუგებრობასა და წყენას გამოიწვევს.

მერწყული — მერწყულებს დღეს ახალი აღმოჩენა გელით, ადვილი არ იქნება ცდუნებასთან გამკლავება, ასევე გარშემომყოფების ნეგატიური გავლენისგან გათავისუფლება, ამიტომ სჯობს, თავი აარიდოთ ზედმეტ წუწუნს უბედობასა და სხვების მხარდაჭერის არარსებობაზე.

თევზები — დღეს ფინანსური დანაკარგი გელით, სახლში დაძაბული ატმოსფერო კი იძულებულს გაგხდით, საღამო მეგობრების წრეში გაატაროთ. კარგი დღეა ახალი ნაცნობობისა და მგზავრობისთვის.

სუდოკუ

ადვილი

	5			1		9	8	
							2	
		9	4	8		6		
		8	2		1	5		
				3				
		1	8		6	7		
		7		4	8	1		
	6							
	4	2		5			7	

სტანდარტი

						1		8
		6	9					5
		5		1		6		
7	6				3			
			2	9	8			
			7				4	3
		2		7		4		
4					6	2		
1		8						

რთული

3				8			6	
				4				
		5	9		6	3		
	4	7	2				8	
		6		3		4		
	3				8	7	5	
		9	6		4	5		
				2				
	1			9				7

ექსპერტი

5	4							
		3			6	5		
7		2		4			9	
8	5				7	2		1
				5				
1		6	3				5	4
	2			9		4		3
		7	6			9		
							8	7

1. როსტეგანის ასული „ვეფხისტყაოსანში“
2. „წყალსადენი“ ხიდი
3. დიდი სათავსი ფქვილის შესანახად
4. ნაგვის ასაღები ნიჩაბი
5. აშშ-ის კონგრესის შენობა
6. ხელოვნების დარგი
7. შიშველი სხეულის კულტის თაყვანისმცემელი
8. მართლმსაჯულების ქალღმერთი
9. გამოუწყვავი აგური
10. ზუთხის ლორად გამოყვანილი გვერდი
11. ბანდერასის ნილბიანი კინოგმირი
12. ცხვირის ლორწოვანი გარსის ანთება
13. „ახალი“ ქალაქი იტალიაში
14. რამაზ ჩხიკვაძის ცნობილი როლი
15. დიდი ხვლიკი
16. მოხალული ფქვილის გულიანი ნამცხვარი
17. ზურგის ტვინის ანთება
18. იგივეა, რაც საჩუქარი
19. კოსოვოს დედაქალაქი
20. ვერდის ოპერა
21. ქვეყანა ევროპაში
22. კრემის ასათქვეფი ხელსაწყო
23. დამატებითი ტონი მუსიკაში
24. ბარონ მიუნჰაუზენის ლიტერატ. „ძაძა“
25. შემდგომში გადასახდ. დანახარჯი
26. ძველებური თოფი
27. მოაჯირის ფიგურული სვეტი
28. სუხიშვილების ანსამბლის ცეკვა
29. მონარქიულ სახელმწიფოთა კავშირი
30. კათოლიკეთა მღვდელი
31. მაიმუნი მულტფილმ „ალადინში“
32. ამერიკული თოჯინა
33. სადღესასწაულო ნამცხვარი
34. ძალიან იშვიათი ნივთი
35. სამოას დედაქალ.
36. ქიმ. ელემენტი
37. ტყავის ჭურჭელი ღვინისათვის
38. იგივეა, რაც მთამსვლელი
39. „ბითლზის“ წევრი ... მაკარტნი
40. სართულებზე ასასვლელი-ჩამოსასვლელი
41. პატარა ცხვირფართო მაიმუნი
42. დინჯი ტემპი მუსიკაში
43. მამალი ცხენი
44. ინდური კობრა
45. დამუხტული ატომი
46. ცხოველთა მეფე
47. იტალ. მომღერალი ტოტო ...
48. ბარსელონას ოპერის თეატრი
49. რუს. როკჯგუფი
50. თურქეთის ადმინისტრაციული ერთეული
51. თევზის ძვალი
52. არანამდვილი, მოჩვენებითი
53. წერილის მოძველებ. სახელწოდ.
54. ჭაობის მცენარე
55. საკონდიტრო ფხვნილი
56. რისამე მიღების უფლების საბუთი
57. ბტკიცეპირობა, აღთქმა
58. ბიბლ. იაკობის ტყუპისცალი
59. უნგრეთის ადმინისტრ. ერთეული
60. ფეხბ. ... კანტონა
61. ...-ვრეკო
62. მაგარმერქნიან მცენარეთა ზოგადი სახელწოდ.
63. ალუდას მიერ მოკლული ქისტი
64. მზის ღმერთი ინკების მითოლოგიაში
65. მასრჩობელა გველი
66. მატყლის ქსოვილი
67. ტბა ჩრდილო ამერიკაში
68. ძველრან. სიგრძის საზომი ერთეული

წინა ნომერში გასუდლი სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

1	4	9	7	5	8	3	2	6
2	3	8	1	6	4	9	7	5
6	7	5	3	2	9	1	4	8
3	2	7	8	4	1	6	5	9
9	1	6	5	3	2	4	8	7
5	8	4	9	7	6	2	3	1
8	9	3	2	1	7	5	6	4
7	6	2	4	9	5	8	1	3
4	5	1	6	8	3	7	9	2

სტანდარტი

8	9	4	7	3	2	5	6	1
7	6	5	1	4	9	3	2	8
3	2	1	8	6	5	9	7	4
4	5	7	3	2	1	8	9	6
6	1	3	5	9	8	2	4	7
9	8	2	6	7	4	1	5	3
1	3	9	4	5	7	6	8	2
2	4	8	9	1	6	7	3	5
5	7	6	2	8	3	4	1	9

ადვილი

4	6	3	1	2	9	8	7	5
2	7	5	4	8	6	3	9	1
8	1	9	7	3	5	6	4	2
1	8	2	9	7	3	5	6	4
9	5	4	6	1	8	2	3	7
7	3	6	2	5	4	1	8	9
6	2	1	8	9	7	4	5	3
3	9	8	5	4	2	7	1	6
5	4	7	3	6	1	9	2	8

სტანდარტი

9	6	5	3	4	2	8	7	1
4	8	7	1	9	6	5	2	3
3	2	1	8	5	7	9	6	4
8	9	2	7	3	5	1	4	6
1	7	6	4	8	9	3	5	2
5	4	3	6	2	1	7	9	8
7	5	4	2	1	3	6	8	9
6	3	8	9	7	4	2	1	5
2	1	9	5	6	8	4	3	7

რთული

3	8	7	4	2	1	9	6	5
6	5	2	9	8	3	4	7	1
1	4	9	7	6	5	3	2	8
2	7	3	6	5	9	1	8	4
5	1	4	3	7	8	6	9	2
9	6	8	1	4	2	7	5	3
8	3	1	2	9	7	5	4	6
7	2	6	5	1	4	8	3	9
4	9	5	8	3	6	2	1	7

ექსპერტი

3	6	1	8	7	9	4	2	5
2	8	7	6	5	4	1	3	9
9	5	4	3	2	1	8	7	6
8	7	9	5	4	3	6	1	2
6	4	5	2	1	8	3	9	7
1	3	2	9	6	7	5	4	8
7	9	3	4	8	6	2	5	1
5	1	8	7	3	2	9	6	4
4	2	6	1	9	5	7	8	3

რთული

3	8	4	7	6	2	1	9	5
1	2	7	9	5	8	6	3	4
9	5	6	4	3	1	2	8	7
8	1	3	6	4	7	5	2	9
7	6	5	3	2	9	4	1	8
4	9	2	1	8	5	7	6	3
6	7	1	8	9	4	3	5	2
2	4	9	5	1	3	8	7	6
5	3	8	2	7	6	9	4	1

ექსპერტი

8	9	5	2	4	6	7	3	1
1	6	7	3	9	8	5	2	4
4	3	2	7	5	1	6	9	8
7	5	8	6	2	9	4	1	3
6	4	3	1	8	7	2	5	9
9	2	1	4	3	5	8	7	6
5	1	6	9	7	4	3	8	2
3	8	9	5	6	2	1	4	7
2	7	4	8	1	3	9	6	5

მე-17 გვერდი: 1. პარაბოლა; 2. ლივადია; 3. ელისტა; 4. პარაშუტი; 5. ბურჯანაძე; 6. ლეიკემია; 7. კანიბალიზმი; 8. რაი; 9. აინი; 10. არმადა; 11. ინია; 12. მაღრიბი; 13. ოდა; 14. ჩოხა; 15. მარაო; 16. იავა; 17. აომინი; 18. ლელვი; 19. სოია; 20. ჯოკოვიჩი; 21. შადე; 22. ბიაზი; 23. ვისკოზა; 24. რენდი; 25. ბონსაი; 26. ნომადები; 27. იბისი; 28. სალონი; 29. ლავა; 30. მინა; 31. შარადა; 32. რუბიკონი; 33. ძლევაი; 34. ბეში; 35. სირია; 36. ნამი; 37. ამინ; 38. ძრავა; 39. ვარდანი; 40. ილეთი; 41. ზამბეზი; 42. ტაბიძე; 43. მიკ; 44. კეროლი; 45. უთო; 46. „ავეო“; 47. ეკო; 48. ინა; 49. კოლინ; 50. ია; 51. უჯრა; 52. აზია; 53. რური; 54. კირი; 55. აკმე; 56. ლივიო; 57. თუთია; 58. ჯობსი; 59. რემა; 60. ნაირობი; 61. მაი; 62. ბია; 63. პარიზი; 64. კანკანი; 65. იანკი; 66. ფრუ; 67. ალემაო; 68. ობი; 69. ალპაკა.

მე-20 გვერდი: 11. ვერმიშელი; 2. ირმა; 3. ბორში; 4. ლავრა; 5. პინია; 6. დეგენერატი; 7. ივლისი; 8. ერნესტო; 9. ელი; 10. რესტორანი; 11. მენიუ; 12. ეოსი; 13. აბაკი; 14. ფრონე; 15. შარფი; 16. ზია; 17. ტილ; 18. ისლი; 19. თმა; 20. ამუნიცია; 21. არაბია; 22. ლიმასოლი; 23. „დუნკანი“; 24. ლუმინალი; 25. ალიყური; 26. იაბო; 27. ლამბაქი; 28. თუთა; 29. თია; 30. უპე; 31. ბაბაჯანიანი; 32. დრამი; 33. „ნინია; 34. დიაოხი; 35. სემი; 36. მოდა; 37. იაუნდე; 38. ასი; 39. აბი; 40. ბაკურიანი; 41. მოციონი; 42. ირაო; 43. ნესი; 44. სადამ; 45. როი; 46. კაა; 47. იფი; 48. უჯრა; 49. ფრიდონი; 50. ურალი; 51. ქოსა; 52. იხვი; 53. ლემა; 54. გაუტამა; 55. „ალია“; 56. მაისი; 57. რიონი; 58. დია; 59. ადამსი; 60. აქტინია; 61. სუნა; 62. ღიღილო; 63. ოში; 64. ამაგი; 65. მორი; 66. ორი; 67. ტიტანი; 68. მალვინა; 69. აღუ; 70. ნბა; 71. ტრიადა; 72. მაშტოცი; 73. ფუგა; 74. ომი; 75. ტატი; 76. ფატა; 77. მონა; 78. არა; 79. ოლარი; 80. ინია; 81. ატა; 82. არგო; 83. ტატამი; 84. ნო; 85. ბანზაი; 86. ალაო; 87. რტო; 88. ხაო; ზედა სურათზე: ყველაზე მდიდარი; ქვედა სურათზე: ფატა.

ჰოროსკოპი
26 მაისი

ვერძი — შეეცადეთ, დღეს ოცნებამ შორს არ გაგიტაცოთ, რადგან მერე ძალიან გაგიჭირდებათ მიწაზე დაშვება. ფრთხილად იყავით — ბევრი ისეთი ადამიანი ტრიალებს თქვენს ირგვლივ, რომელიც მზად არის, ნებისმიერ დროს გიმტროთ, ამიტომ აჯობებს, ყველა მნიშვნელოვანი საკითხი მოაგვაროთ, სადამო კი მეგობრების წრეში გართობას დაუთმოთ.

კურო — დღეს შეგიძლიათ მოხერხებულად ისარგებლოთ ვითარებით და წარმატებაც არ დააყოვნებს, თუმცა გაითვალისწინეთ, რომ ზომიერების დაცვა ყველაფერში საჭიროა, წინააღმდეგ შემთხვევაში, პრობლემები შეგექმნათ საქმიან პარტნიორებთან.

ტყუპები — ტეუპებისთვის დღე კონფლიქტით დაიწყება, თავისმართლება არ გიშველით, რადგან დიდწილად, დამნაშავე თავად იქნებით. კარგი იქნება, საკუთარ შეცდომებზე დფიქრდებით და გაანალიზებთ, რისი გაკეთება სჯობს.

კირჩხიბი — დღეს განსაკუთრებით მობილიზებული უნდა იყოთ, რადგან შესაძლოა, თქვენს პარტნიორებზე გახდეთ დამოკიდებული. სანმოკლე საშსახურებრივი რომანი კოლეგებში გულისწერომას გამოიწვევს, ამიტომ უმჯობესი იქნება, ემოციების ათვშირებისგან თავი შეიკავოთ.

ლომი — არ არის გამორიცხული, ხელმძღვანელობამ არასწორად შეაფასოს თქვენი საქმიანი აქტიურობა, ფინანსურ პრობლემებსაც წააწყდებით, თუმცა წარმატებული საქმიანი შეხვედრა, ამ მცირე უსიამოვნებას გადაფარავს.

ქალწული — უურადღებით იყავით პარტნიორის არჩევისას, რადგან ურთიერთობა, შესაძლოა, საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდეს, თუმცა მოვლენებს ნუ დაჩქარებთ, რადგან ნაკლებად სასურველი დღეა კარდინალური ცვლილებებისთვის.

სასწორი — დღეს, შესაძლოა, ისეთ რთულ ვითარებაში აღმოჩნდეთ, რაც მოითმინებას საჭიროებს. სასიყვარულო პაემანი, სჯობს, გადადოთ, რადგან ის კარგს არაფერს მოგიტანთ. ვერც უსიამოვნო სერიოზულ საუბარს გაექცევით.

ღრიანკალი — ამ ნიშნის წარმომადგენლებმა დღეს უფროსობასთან საბრძნე და გამძღეობა უნდა გამოავლინონ. გულდია საუბარი საკუთარი თავის რწმენას დაგიბრუნებთ და ფინანსური მდგომარეობაც საგრძნობლად გაუმჯობესდება.

მშვილდოსანი — კარგი დღეა სერიოზული სამუშაოსა და გაბედული ჩანაფიქრის სასრულეში მოყვანისთვის. დღეს ტეუოელის თქმა ვერ გიშველით, ის მხოლოდ თქვენვე დაგაზარალებთ. გამოიჩინეთ თავშეკავებულობა და ნუ გაჯიუტდებით.

თხის რქა — შეგიძლიათ, თამამად აიღოთ ვალი და თანხა საქმეში დააბანდოთ, თქვენი გეგმები კოლეგებსა და უფროსობასთან განიხილეთ, სადამოს შეეცადეთ, კარგად დაისვენოთ.

მერწყული — დღეს ერთ-ერთი მეგობრის საქციელი სასიამოვნოდ გაგაკვირვებთ, თუმცა ამადლებული განწყობის შესანარჩუნებლად, სჯობს, წვრილმანებს ყურადღება არ მიაქციოთ.

თევზები — დღეს თქვენი ზედმეტი თავდაჯერებულობის გამო, შესაძლოა, ფინანსური დანაკარგი იწვნიოთ, ზედმეტი იმპულსურობა ნაჩქარევ ნაბიჯს გადაგადგმევინებთ და საეკარელ ადამიანთან გართულებული ურთიერთობები ჩიხში შევა.

სასტუმრო საზოგადოებრივ ტუალეტში

იაპონიის ქალაქ ოსაკაში მდებარე ერთ-ერთი პარკის ტუალეტში ამიერიდან შეგიძლიათ, მშვიდად და კომფორტულად გაათიოთ ღამე — ეს საზოგადოებრივი დაწესებულება ფეშენებელური სასტუმროს ერთოთახიან ნომრადაა ქცეული. 22 კვმ-იანი აპარტამენტები შხაპით, საწოლითა და სააბაზანო ოთახით კლიენტს დაახლოებით, 130 დოლარი დაუჯდება დღეში. სასტუმროს ნომერი ტუალეტში პროექტ Osaka Canvas-ის ნაწილია და ის თანამედროვე მხატვარმა, ნიშინომ მოიფიქრა. აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი საპირფარეშო, რომელშიც ოტელია განთავსებული, მოქმედია და იქ ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად შესული ადამიანების ხმა სასტუმროს კლიენტსაც ესმის.

სიღამაზე სამსახურის შოვნაში ხელს უშლის

33 წლის ბრიტანელი მანდილოსანი ლაურა ფერნი ამტკიცებს, რომ საკუთარი გარეგნობა სამსახურის შოვნაში უშლის ხელს, რადგან მისი მოხდენილი აღნაგობა და ლამაზი სახე კოლეგა მამაკაცების ყურადღებას იპყრობს და სუსტი სქესის წარმომადგენლები კი შურის თვალით უყურებენ. არც ზარმაცი ვარ და არც მსუბუქი ყოფაქცევის, მაგრამ ჩემი გარეგნობა პრობლემებს მიქმნის, როცა საქმე სამსახურზე მიდგება, — ამბობს ფერნი და დასძენს, — რა ჩემი ბრალია, ასე კარგად რომ გამოვიყურები? ქალი გულნატკენია იმის გამოც, რომ კოლეგები მის პროფესიონალიზმს არასერიოზულად აღიქვამენ და ყურადღებას მხოლოდ გარეგნობაზე ამახვილებენ. ლაურა სამეცნიერო და სამედიცინო ხასიათის კვლევებში მონაწილეობს, დოქტორის ხარისხი აქვს, თუმცა საქმეს ვერც ეს შველის და იძულებულია, უმუშევრობას შეეგუოს.

ვიტამინი კიბოს ებრძვის — რატომ მალავენ ფარმაცევტული კომპანიები სიმართლეს



ამერიკელი ავტორი ედვარდ გრიფინი, საკუთარ წიგნში — „სამყარო კიბოს გარეშე“, ერთ აღმოჩენაზე წერს, რომელსაც არ ახმაურებენ. საუბარია ვიტამინ „ბე-17“-ის სამკურნალო თვისებებზე, მას ასევე ლაეტრილს ან ამიგდალინს უწოდებენ. ეს ნივთიერება სწრაფად კლავს სიმსივნურ უჯრედებს. წიგნის ავტორს მოჰყავს ცნობები პაციენტთა წარმატებული განკურნების თაობაზე, ნივთიერების მოქმედებას მეცნიერულად ხსნის და სვამს კითხვას — რატომ არ გამოიყენებს მას ტრადიციული მედიცინა ამ ვერაგ სენთან ბრძოლაში? გრიფინის თქმით, ამ ვიტამინის საოცარი თვისებების აღმოჩენის შემდეგ ბევრი ადამიანი განიკურნა, ვიდრე პრეპარატს ფარმაცევტული კომპანიები აკრძალავდნენ. ავტორი ამბობს, რომ ვიტამინ „ბე-17“-ის მედიცინაში გამოყენების პრობლემა ონკოლოგიის სფეროში მსოფლიო ელიტის პოლიტიკას უკავშირდება. ყოველწლიურად მილიარდობით დოლარი იხარჯება კიბოს სამკურნალოდ, მილიარდები ჯდება ამ დაავადების საწინააღმდეგო ქიმიური პრეპარატების წარმოებაც... ეს საიდუმლო რომ გაჟღერდეს, გრიფინის თქმით, წერტილი დაესმება გიგანტური ფარმაცევტული ინდუსტრიის უზარმაზარ შემოსავლებს. ერთმა უბრალო ვიტამინმა სიმსივნე რომ განკურნოს, მომენტალურად დაიშლება მანქანა, რომლის საშუალებითაც ერთეულები ადამიანების ტანჯვისა და სიკვდილის ხარჯზე მდიდრდებიან. ფარმაცევტული კომპანიები არასოდეს გამოიკვლევენ ამ მარტივ პროდუქტს, რომელიც ყველგან იყიდება. ვიტამინ „ბე-17“-ს, ძირითადად, ჭერმისებური ნაყოფი შეიცავს და ყველა სახეობის კიბოს წამლად ჯერ კიდევ 35 წლის წინ აღიარეს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, დოქტორი მაქს გერსონი წარმატებით კურნავდა პაციენტებს. ამიგდალინს შეიცავს ჭერმის, ნუშის, მწარე ნუშის, ალუბლის, ატმის, ქლიავის კურკა, ზოგიერთი პარკოსანი მცენარე, ყურძნის წიპწა და სხვა პროდუქტები.

ვიტამინ „ბე-17“-ით მკურნალობა 35 წლის წინ აიკრძალა. მეცნიერებმა განაცხადეს, რომ თუ ადამიანი ყოველდღიურად მიიღებს ამ ვიტამინს, სიმსივნით არასოდეს დაავადდება. ფარმაცევტულმა გიგანტებმა და აშშ-ს ჯანდაცვის სამინისტრომ ზეწოლა მოახდინეს პროდუქტებისა და წამლების ხარისხის მაკონტროლებელ სამმართველოზე და ვიტამინ „ბე-17“-ის გაყიდვები უკანონოდ გამოაცხადეს, ასევე აიკრძალა ჭერმის კურკის მოხმარებაც. ტაქტიკა ჭორების გავრცელებას ითვალისწინებდა, თითქოს ეს პროდუქტები ციანიდს შეიცავს (რაც მართალია) და რომ ის წამლავს ადამიანს, თუმცა მსგავსი შემთხვევა არსად დაფიქსირებულა. წიგნის ავტორის აზრით, ეს მასონების საიდუმლო საზოგადოებების სტრატეგიაა, რათა გამდიდრდნენ, დედამიწის მოსახლეობაც შემცირდეს და ასე, თანმიმდევრულად დაამყარონ მსოფლიო წესრიგი. წამლებს, საკვებს, გენმოდიფიცირებულ პროდუქტს... ადამიანების დასამონებლად იყენებენ.

მსოფლიოში სიმარტოვის ეპიდემიაა

სიმარტოვისგან გატანჯული ადამიანების რაოდენობა მსოფლიოში გეომეტრიული პროგრესიით იზრდება, — აცხადებენ ფსიქოლოგები. სპეციალისტების მონაცემებით, პლანეტაზე ადამიანების 30%-ზე მეტს ჩაკეტილობა და ემოციური იზოლაცია აწუხებს. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ინტერნეტი უფრო აღრმავებს ამ პრობლემას, რადგან ვირტუალური ურთიერთობები ვერ ავსებს სიცარიელეს. როგორც ექიმები აღნიშნავენ, მარტოობისგან გაწამებული ადამიანები გარშემომყოფებთან არ საუბრობენ ამ პრობლემაზე, თუნდაც ძალიან სჭირდებოდეთ ახლობლების თანაგრძნობა და მხარდაჭერა. სწავლულების თქმით, ფიზიკური ტრავმა და სოციალური გარიყულობის ძლიერი გრძნობა ადამიანის ტვინში ერთნაირ რეაქციას იწვევს, სიმარტოვე კი მნიშვნელოვნად ამცირებს სიცოცხლის ხანგრძლივობას. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, დღეისთვის პლანეტაზე 350 მილიონი ადამიანი იტანჯება სიმარტოვის გამო. ეს სენი კი ყოველწლიურად ახალგაზრდავდება და ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა ხდება მსოფლიოში.

სუდოკუ

		2			6	3		
9					1	7		6
			2	3	9		8	
		7		6				3
		5				1		
4				9		5		
	5		9	7	2			
3		1	6					2
		9	3			6		

ადვილი

8		7				4		
	4					2		9
					4		7	5
			6			7	4	2
			5		7			
7	8	1			2			
1	7		3					
5		6					9	
		4				5		3

სტანდარტი

	8	2	6					
	3	9			7			
6							1	
	9	7	4				6	
				9				
	2				1	3	8	
	6							8
			5			1	7	
					3	5	2	

რთული

5			4	2				9
						2		
2	1			5	3			
						4	3	
	6			1			8	
	3	5						
			1	9			4	5
		6						
9				7	2			3

ექსპერტი

გაღატაკებული ამერიკელი მილიონერი გახდა

აშშ-ში, ჩიკაგოს შემოგარენში მცხოვრები რიკარდო სერეზო, რომელიც გაღატაკების ზღვარზე იყო, სახლის გენერალურმა „უბორკამ“ გადაარჩინა. მისმა მეუღლემ სამზარეულოს დალაგებისას, ორცხობილის ყუთში შენახული ლატარიის რამდენიმე ბილეთი იპოვა და ქმარს მათი შემოწმება დაავალა. 11-დან ერთ-ერთმა ბილეთმა სერეზო წამში გაამდიდრა — აღმოჩნდა, რომ მასში ექვსივე ციფრი ორი თვის წინანდელი გათამაშებისას დაემთხვა, მოგებულმა თანხამ კი 4,85 მილიონი დოლარი შეადგინა.

საუკეთესო ბანკნოტი გამოავლინეს

მსოფლიოში საუკეთესო ფულად ყაზახური ხუთი ათასი თენგეს ნომინალის ბანკნოტი აღიარეს. ყაზახურ კუპიურას ასეთი მაღალი ტიტული ბანკნოტების საერთაშორისო საზოგადოებამ უკვე მეორედ მიანიჭა ასობით პრეტენდენტს შორის. განსაკუთრებით აღინიშნა 5-ათასიანი თენგეს დიზაინი, იდეოლოგია, ტექნიკური შესრულება და დამცავი საშუალებები. 2007 წელს ყაზახური ფულის ახალმა კუპიურებმა საერთაშორისო სავალუტო ასოციაციის პრიზიც მოიგო. ბანგკოკში გამართულ ღონისძიებაზე 10-ათასიან თენგეს პირველი ადგილი მიანიჭეს. ის ბანკნოტების საუკეთესო, ინოვაციური დაცვისთვის პრიზით დააჯილდოვეს.

მოსწავლეები ვიაგრას საკრეფად გაუშვეს

ნეპალის თითქმის ყველა სკოლის კარს ახლა ბოქლომი ადევს და ამშვენებს წარწერა — „ვიაგრას მოსაკრეფად წავიდნენ“. იშვიათი მცენარის მოკრეფაში, რომელსაც „ჰიმალაის ვიაგრას“ უწოდებენ, ერთი დღის გამოტოვებაც კი ადგილობრივებს, შესაძლოა, ძალიან ძვირად დაუჯდეთ. საქმე ისაა, რომ ამ მცენარის ერთ კილოგრამ ფოთოლში თითქმის 20 ათას დოლარს უხდიან. ამიტომაც დიდი თუ პატარა ნეპალელი აგროვებს ფოთლებს. სწორედ მაისში იღებს მცენარე ჰიმალაის წიაღიდან სასწაულმოქმედ ძალას, ჩინელები კი ნაყენს ამზადებენ, მიირთმევენ და ამტკიცებენ, რომ ის ადამიანს ძალებს მატებს.

ზარმაცი ფოსტალიონი გამოიჭირეს

კუნძულ სარდინიაზე, პატარა დასახლება მორისში, ფოსტალიონის ავტოფარეხში პოლიციამ ადრესატთან არმისული 400 კილოგრამამდე კორესპონდენცია აღმოაჩინა, რის გამოც ფოსტის ზარმაც მუშაკს ახლა სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელის. სამართალდამცავები ფოსტალიონის პიროვნებით მას შემდეგ დაინტერესდნენ, რაც ადგილობრივებისგან პოლიციაში მრავალრიცხოვანი საჩივარი შევიდა, რომლებიც წლების განმავლობაში ვერ იღებდნენ წერილებსა თუ ამანათებს. ფოსტალიონის საცხოვრებლის ჩხრეკის შედეგად, უამრავი გზავნილი აღმოაჩინეს, მათგან ზოგიერთი 2009 წლით თარიღდება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ადამიანის საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო ბევრი ოჯახი დაზარალდა, ფოსტალიონს მაინც დადებითად ახასიათებენ. აღსანიშნავია, რომ ეს იტალიაში ზარმაცი ფოსტალიონის გამოვლენის პირველი შემთხვევა არ არის — ორიოდე თვის წინ, რომის პროვინციაში, ქალაქ სუბიაკოში დააკავეს ფოსტის თანამშრომელი, რომელსაც ბოლო სამი წლის განმავლობაში, წერილების ადრესატამდე მიტანის მაგივრად, ისინი სახლში მიჰქონდა და წვავდა. კარაბინიერები ამ 50 წლის ფოსტალიონით მას შემდეგ დაინტერესდნენ, რაც შემთხვევით მის სახლთან რამდენიმე ტომარა აღმოაჩინეს „იტალიის ფოსტის“ ემბლემით.



1. ერთგვარი ბრტყელი თევზი
2. მელ გიბსონის ფილმი ინდიელებზე
3. ცხელი ალკოჰოლური სასმელი
4. ბურატინოს მამილო
5. ფედერიკო ფელინის ძეულლე
6. ნებისყოფის პათოლოგიური სისუსტე
7. სახის მიმიკის მოშლა
8. ველური ცხვარი
9. კალათბურთის მეფე
10. დიდი ხვლიკი
11. ნოდარ დუმბაძის საბავშვო ქალაქი
12. დიდი, ფართო გზა
13. წესიერი წილადის ქვედა ნაწილი
14. დღეის მომდევნო დღეს
15.ქართული ხალხური ცეკვა
16.შენობაში ამოყვანილი ღია აივანი
17. ჰონდურასის ფულის ერთეული
18.სიახლოვე, გულითადობა, გულწრფელობა
19. ზღაპრული შინაარსის ოგავი
20.ინდოელი კინოვარსკვლავი ... რაი
21. რეზო ესაძის კინოქალაქი
22. ნამდვილად არსებული ნივთი
23. ბეკინას ვაჟი ... სამანიშვილი
24. იგივეა, რაც ბურუსი
25. თეთრი ტკბილი ფხვნილი
26. „ნისანის“ მოდელი
27. იგივეა, რაც გაზი
28. აღმოსავლური ტკბილეული
29. საფეხბ. კლუბი „... ჯორჯია“
30.რასობრივი დისკრიმინაციის ფორმა
31. განახლებული ძველი პიტი
32. ერთ-ერთი ღმერთი ინდუიზმში
33. იტალიის უდიდესი მდინარე
34.ორნაწილიანი მხატვრული ნაწარმოები
35. მსახიობი ... კილმერი
36.ოჯრედის შემსწავლელი მეცნიერება
37.პატარა მოძრავი რადიოსადგური
38. ქართველი ფეხბურთელი
39. ფრ. ფილმი „... და მისი ძმები“
40.ბურთის გასვლა სათამაშო მოედნიდან
41. რაიმე მოვლენის ბუნებრივი გავრცელების ზონა
42. პატარა კენგურუ
43.ყვითელი მინერალ. საღებავი
44. ცივი საბრძოლო იარაღი
45.ჰოლივუდის ლეგენდა ... ჰეპბერნი
46. ქართული ხალხური სიმღერა
47. ორი კვადრატი
48. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
49. ადამიანის პარაზიტი მწერი
50.მთიანი მხარე რუსეთში
51. მთავარი საწყობი
52. ინგლ. ფეხბურთელი ... ოუენი
53. ისრაელის სახელწმიფოენა
54. ჩრჩნეთის ეროვნული სახელწოდება
55.ჩოგბურთ. ... ფედერერი
56.ფრანგი კომიკოსი
57. ინგლისელი მომღერალი
58. გაგარინის სახელი
59.საახალწლ. გამომცხვარი პური კაცის სახისა
60.სოფელი ზუგდიდის რაიონში
61. ქონებრივი დანაკარგი, დანაკლისი
62. გოჩას მეგობარი „ძაღლუქში“
63.თუთიყუშის ჯიში
64.ჰომეროსის პოემა
65.საწერი ქაღალდის რაოდენობის ერთეული
66.კულტის მსახური წარმართებში
67. შექსპირის შეფე
68. ბიბლიური პერსონაჟი
69. მომღერალი ... მატიე
70. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია (აბრევიატ.)
71. ხუთი და ორი წერტილი კამათელზე
72. კვირის ერთ-ერთი დღე
73. გაბედული, მოურიდებელი
74. მუსიკალ. გაძის ॥ ნოტი
75. მდინარე ციმბირში
76. ნაპოლეონის მარშალი
77.„ჩემი ცოლის დაქალები“ - პერსონაჟი
78. ბალახის ჩრდილი
79. კვერნების ოჯახის ცხოველი
80.მბრუნავი დოლი ლატარიის ბილეთების გასათამაშებლად
81. ტექნიკური ზეთი
82.იაპონელი მწერალი ქენძაბურო ...
83. უუფლებო ადამიანი
84. სურვილი, უფლება
85. გერმანული კოსმეტიკური ფირმა

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ნინო ლურსმანაშვილი
ᲛᲔᲓᲘᲐᲯᲒᲣᲤᲘ: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘ: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.